პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრობის) ქ. № 68. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ. საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ. ტექსტში—3 მ. განმეორებითი განცხადების ფასი იკლება 10% საკლებით. თუ განცხადება იბეჭდება ხუთ-ჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური
- პეკინიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩერნიხი.
- გაფიცვა საფრანგეთის საავტომობილო მრეწველობაში.
- საბჭოთა პავილიონი მილანის გამოფენაზე დიდ ინტერესს იწვევს.
- კომუნისტების დაპატიმრება პოლონეთში.
- განიარაღების კომისიამ განაახლა მუშაობა.
- განაჩენი ქანიზონის და სხვ. საქმეზე.
- აფეთქება მაღაროში კუნძულ შპიცბერგენზე.
- შვეიცარიის კომპარტიის ც. კ. ახალი შემადგენლობა.

კვირა, 24 აპრილი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 92 (1847)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
მაისისათვის
ხელის მოწერა გარდა კანტორისა მიიღება აგრეთვე სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
კანტორა ა-რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ინგლისის მთავრობის იერიშები ტრედ-იუნიონების წინააღმდეგ

ბოლდუინის მთავრობამ საუცხოვო „სააღდგომო საჩუქარი“ მიუძღვნა ინგლისის მუშათა კლასს. რამდენადაც უფრო უკვირდები ტრედიუნიონების წინააღმდეგ მიმართულ კანონპროექტს, მით უფრო ცხადი ხდება, რომ ესაა თავისებური ცდა ნამდვილი მონობის ბორკილები დაადვან ინგლისის პროლეტარიატს. ერთი ხაზის მოსმით ინგლისის ბურჟუაზია სპობს კავშირებისა და გაფიცვის თავისუფლებას და სერიოზულად ემუქრება მუშების პოლიტიკურ უფლებებს.

კაპიტალისტური ბურჟუაზიის თავხედობა. მატულობს მუშათა მოძრაობის მეთაურების დანაშაულებრივ უილაჯობასა, უნიჭობასა და უნიათობასთან ერთად.

ეს კანონპროექტი წარმოადგენს უძლიერეს იერიშს, რომელიც ოდესმე მუშათა კლასის უფლებების წინააღმდეგ მიმართულა, მას ატყვია ერთსა და იმავე დროს ბირკენჰედის ვერაგობისა და ჯონსონ ჰიკსის მაგარი სულის ბეჭედი...

მაგრამ მსოფლიოს მუშათა კლსს ბურჟუაზიის თავხედობაზე უფრო, მუშათა პარტიის ბელადების პასივობა გააკვირვებს. მათი მჭერმეტყველი პროტესტები არაფერს შეიცავს დღეს.

გავეცნოთ კანონპროექტს.

„სიტყვა გაფიცვაო,—ნათქვამია იქ—ნიშნავს მუშაობის შეწყვეტას დაქირავებულთა მიერ, რომელნიც შეთანხმებით მოქმედებენ, ან კიდევ ნიშნავს შეთანხმებულად უარის თქმას მუშაობის მიღებაზე, ან მუშაობის გაგრძელებაზე იმ პირთ მიერ, რომელნიც მუშაობენ ან წინათ უმუშავიათ“.

ამრიგათ ბოლდუინის მთავრობა აცხადებს, რომ ყოველივე შეწყვეტა მუშაობისა, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ის გამოწვეული, არის გაფიცვა, შემდეგ გადადის არალეგალურ გაფიცვის ცნებაზე და ირკვევა, რომ ყოველივე გაფიცვა შეიძლება არალეგალურათ ჩაითვალოს. მაგრამ მივმართოთ კანონპროექტის ტექსტს.

„ყოველი გაფიცვა, რომლის დანიშნულება სცილდება სამრეწველო კონფლიქტის საზღვრებს იმ წარმოებაში, რომელიც მუშები იფიცებიან—უკანონოა, თუ მას მიზნათ აქვს აიძულოს მთავრობა და დააშინოს საზოგადოება. უკანონობა არის ასეთი არალეგალური გაფიცვებისთვის ხელის შეწყობა ფულადი დახმარებით. სამრეწველო კონფლიქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება კანონიერათ, როცა ის წარმოადგენს კონფლიქტს ამა თუ იმ ინდუსტრიის, დამქირავებლებსა და დაქირავებულს შორის და ეხება ამ ინდუსტრიის ქირისა და მუშაობის პირობების საკითხს“.

ეს ნიშნავს, რომ გადაჭრით აკრძალულია როგორც პოლიტიკური, ისე თანაგრძნობის გაფიცვები და კიდევ უფრო გენერალური გაფიცვები.

ერთი მაგალითი უკეთ გაგვაგებინებს ამ კანონის მიზანს.

წარმოვიდგინოთ, რომ ქვა-ნახშირის მრეწველობაში კონფლიქტი მოხდა, არც ერთს პროფკავშირს (ტრედ-იუნიონს), არც ერთს მუშას ამ მრეწველობის გარეშე უფლება არ აქვს მონაწილეობა მიიღოს ამ გაფიცვაში, ან ფინანსიურათ დახმარება გაუწიოს მას. ეს არის დაკანონებული ჩაღრჩობა გაფიცვის უფლებისა.

წარმოვიდგინოთ, რომ მაგალითად რკინიგზელები თანაგრძნობის გაფიცვას აცხადებენ მემაღაროების დასახმარებლად. მაშინვე ეს გაფიცვა უკანონოთ იქნება გამოცხადებული, ბელადებს დაატუსაღებენ, კავშირის თანხებს კონფისკაციას მოუხდენენ, ხოლო რკინისგზელების წინააღმდეგ რკინის გზის კომპანიები საჩივარს აღძრავენ არსებული ხელშეკრულობის დარღვევისათვის.

ყოველგვარი ზომაა ნავარაუდევი ამ კანონპროექტში, რათა განმარტოებული დარჩნენ ის მუშები, რომელნიც წინააღმდეგობის გაწევას გაბედავენ პატრონების წინააღმდეგ. კიდევ მეტს ვიტყვი: კანონის რედაქცია და ტენდენცია ისეთია, რომ ყოველივე გაფიცვა შეიძლება უკანონოთ გამოცხადდეს, იმ საბაბით, რომ მას სურს „მთავრობის იძულება ან საზოგადოების ერთი ნაწილის დაშინება“.

როგორც ამხ. კუკმა სამართლიანად აღნიშნა, კანონი საშუალებას იძლევა უკანონოთ იქნეს გამოცხადებული ყოველი გაფიცვა, რომელსაც რაიმე შანსი აქვს გამარჯვებისათვის.

ასეთია ეს კანონპროექტი.

ახლა ვიკითხოთ, როგორ ებრძვიან მას მუშათა რეფორმისტული ბელადები, „მუშათა პარტიის“ ხელმძღვანელები?

ჩვენ ხელთ არის აღწერა მუშათა ასეთი ხელმძღვანელების ერთი კრებისა, სადაც ირჩეოდა ეს კანონპროექტი.

რა წინადადება შეჰქონდათ მათ, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ პროექტის დაკანონებისათვის? თავისთავად ცხადია, რომ ყოველი არაკონსტიტუციური ზომა უარყოფილ იქნა. რასაკვირველია, წარმოითქვა აღშფოთების, მაღალფარდოვანი სიტყვები, დააყენეს ამ სიტყვათა კორიანტელი. ბოლოს გადაწყდა კანონპროექტის გარშემო კამათი გამართონ პარლამენტში და მიტინგების „კოლოსალური“ კამპანია მოაწყონ. ამ საშუალებით სურთ უკან დაახევინონ მთავრობას, რომელმაც დაამტკიცა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე. როგორც აღნიშნა კლაინსმა, თუ მთავრობამ ამ კანონპროექტის პარლამენტში შეტანა გაბედა ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტს კიდევაც მიაღებინებსო.

ამავე კრებაზე სთქვა ვილაცამ, რომ „პარლამენტარული გაფიცვა“ გამოვაცხადოთ და მუშ. პარლამენტი შევადგინოთ კონსტიტუციური პარლამენტის გარეშეო. მას პასუხიც კი არ გასცეს.

ერთმა ისიც სთქვა, რომ ლოღიკური იქნებოდა, თუ გაფიცვის აკრძალვას საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებით ვუპასუხებდითო.

ამხანაგებმა მას შეხედეს როგორც ჭკუაზე შეშლილს.

ასე მოგვითხრობს ეს საინტერესო ანგარიში ამ კრების შესახებ. ცხადია შეტევაზე გადასულ და ბრძოლის მცოდნე ბურჟუაზიის წინააღმდეგ საჭიროა სულ სხვა მასალით „შეზავებული“ ბელადები და ბრძოლის სხვა წესები, ვინემ ჩვენ ამ შემთხვევაში დავინახეთ.

ეს საქმე უნდა იდოს თავზე ინგლისის მუშათა კლასმა, ეგრედწოდებულ მემარცხენეებთან ერთად და კომუნისტების მეთაურობით.

როგორ მიმდინარეობს ფასების დაკლება

როგორც ეს არაერთხელ იყო აღნიშნული ჩვენს პრესაში, ჯერჯერობით დიდი წარმატება ფასების დაკლებაში არ გვაქვს, რადგან ეს დაკლება ოდნავ შეეხო ქალაქებს და ისიც უმთავრესად სამრეწველო საქონელს. მომხმარებლის ფართე წრე ამ შემცირებას ვერ გრძნობს, რადგან მის ყოველდღიურ ბიუჯეტში უმთავრესი ადგილი სასოფლო მეურნეობის პროდუქტებს უკავია.

ამ სახის საქონელზე კი, სამწუხაროთ, ჩვენ დაკლების მაგივრათ პრაქტიკაში მომატება გვაქვს. თბილისის საბჭომ, რომელიც თავისი საქმიანობის პირველ რიგში მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვას სვამს, ამისათვის სპეციალურათ მოწყობილ თავის აპარატს უახლოეს მოქმედების მიზნათ [illegible] ეს გადაუჭრელი ამოცანა დაუსახა. ამ ფრიად მნიშვნელოვანი დავალების ასრულებისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა მდგომარეობის სწორი გამორკვევა და ამ ნიადაგზე მიდგომის სწორი მეთოდების გამონახვა. მდგომარეობის შესასწავლათ ერთი კვირის მუშაობამ პირველ აპრილისათვის მოგვცა თბილისის **ბაზრის შემდეგი სურათი:**

1. მანუფაქტურაზე ფასები დაკლებულია—კოოპერაციაში ბამბეულზე 4,7 პროც. და სელის ქსოვილებზე—3,6 %. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კერძო ვაჭრობაც იძულებული იყო ამის გამო ფასები დაეწია ქსოვილებზე დაახლოებით 22,3 პროც. რასაკვირველია, აბსოლიუტურათ კერძო ბაზრის ფასები მაინც მეტია, ვინემ კოოპერაციაში და სახელმწიფო ვაჭრობაში, მაგრამ საერთოდ ამ ჯგუფის საქონლის სიცოტავის დროს 22,3 პროც. დაკლება ფრიად მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ამ მოვლენას გარდა იმისა, რომ კოოპერაციაში მოხდა ფასების დაკლება, ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ვაჭრობის კომისარიატის ინიციატივით დაარსდა მანუფაქტურით საცალო მოვაჭრეთა კომიტეტი, რომელიც ვალდებულია სინდიკატიდან გამოტანილ საქონელს დაადოს მხოლოთ კომისარიატის მიერ განსაზღვრული პროცენტი.

2. სამშენებლო მასალაზე კოოპერაციაში პირველი ხარისხის ფიცარზე დაკლებულია ფასი 8,2 პროც., მეორე და მესამე ხარისხისაზე კი მომატებულია 6-დან 18 პროც-მდე., კერძო ვაჭრობაში აქ ფასები უცვლელია.

3. ჭურჭლეულობაზე ფასი კოოპერაციას დაუკლია 25-28 პროც. კერძო ვაჭრობაში აქაც მდგომარეობა უცვლელია.

4. თამბაქოს ნაწარმოებზე კოოპერაციამ დაუკლო 3,7-დან 8,3 პროც., კერძოთ დაკლებულია 3,6 და 7,7 პროც.

5. ფეხსაცმელებზე კოოპერაციას დაუკლია 10 პროც. კერძო ვაჭრობაში ფასი უცვლელია, მხოლოთ ქალის ფეხსაცმელზე დაუკლია 14 პროცენტამდე.

6. ნატეხ შაქარზე კოოპერაციამ დაუკლო 7,7 პროც. და ფხვნილზე—3 პროც. კერძო ვაჭრობაში დაკლებულია ნატეხ შაქარზე—8,1 და ფხვნილზე 2,3 პროც.

7. საპონზე კოოპერაციას დაუკლია 7,4 პროც და ასანთზე 6,7 პროც., კერძო ვაჭრობაში მაგარი საპნისათვის მოუმატებიათ 11 პროც.

8. ლითონის ნაწარმოებზე კერძო ვაჭრობაში ფასი დაუკლიათ თითქმის 15 % (კოოპერაციის შესახებ გარკვეული ცნობა არ მოგვეპოება, თუ რაიმე ცვლილება მოხდა პირველ მარტიდან შედარებით).

9. ხორბლეულის ჯგუფის ფასებს კოოპერაციაში ცვლილება არ ეტყობა: როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის ფქვილზე ფასები უცვლელია; ამავე მდგომარეობაშია გამომცხვარი პურის ფასი; კერძო ვაჭრობაში ქერს აუწევია 14 პროც. და ბრინჯს დაუწევია 7 პროც., დანარჩენი ხორბლეულის ფასი უცვლელია.

10. [illegible] ჯგუფში შემავალ [illegible] საგნებზე კოოპერაციას ფასი [illegible] სახელდობრ. კარაქზე—2,3 პროც. ძროხის ადგილობრივ ყველზე 5,6 და კვერცხზე 10 პროც., კერძო ვაჭრობაში კარაქზე დაკლებულია 27 პროც., კვერცხზე 16,7 პროც., ყველზე კი აუწევიათ 5 პროც. დანარჩენ ამ ჯგუფის საგნებზე ფასები უცვლელია.

11. ხორცის ფასი კოოპერაციაში უცვლელია, კერძო ვაჭრობაში საგრძნობლათ მოიმატა ფასი ცხვრის და ღორის ხორცს.

12. ბოსტნეულის ფასი კოოპერაციაში აწეულია 50 პროც., კერძო ვაჭრობაში კი თითქმის 100 პროც.

ზემოდ მოყვანილი ცნობებიდან ცხადია, რომ ფასების დაკლება ხდება უმთავრესად სამრეწველო საქონელზე და წარმოებულ კამპანიას კერძო ვაჭრობაზეც მოუხდენია ერთნაირი გავლენა. **კოოპერაციაში წარმოებულ ფასების დაწევამ არამც თუ შეაჩერა კერძო ვაჭრობაში ფასების ზრდა, არამედ აიძულა ის ძალაუნებურად გაჰყოლოდა ამ კამპანიას და ზოგიერთ საქონელზე თვითონაც დაეკლო ფასები.** აღნიშნულ მოვლენას ადგილი აქვს მხოლოდ იმ საქონელზე, რომელიც საკმაოთ მომარაგებული ჰქონდა კოოპერაციას, ან სახელმწიფო ვაჭრობას, პირიქით, ის საქონელი, რომელიც კერძო ვაჭრობის ხელში მოგროვდა და მისი საშუალებით მიდიოდა მომხმარებლამდე, გაძვირდა. განსაკუთრებით ეს ითქმის სასოფლო - მეურნეობის პროდუქტებზე, რომლის უმეტესმა ნაწილმა მიმდინარე წელში კერძო ვაჭრობაში გაიარა; ამის გამო დღესაც ფასებს უკარნახებს ბაზარს კერძო ვაჭარი, რომელიც ამ შემთხვევაში ნაკლებათაა დაინტერესებული ფასების დაკლებაში იმ საქონელზე, რომელიც მას საწყობში აქვს გასაყიდათ დამზადებული. მაშასადამე, მდგომარეობის გამოსწორება ამ ჯგუფის საქონელზე პირველ ივნისამდე გაგვიძნელდება. რომ ეს სამწუხარო მოვლენა თავიდან ავიცილოთ მომავალ საოპერაციო წელს მაინც, საჭიროა ახლავე იქნეს მიღებული სათანადო წინასწარი ზომები; მომავალ დამზადების სეზონში კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ უნდა აიღოს თავის თავზე ამ პროდუქტების დამზადება, რომ უზრუნველჰყოს თბილისის მუშა-მოსამსახურენი საკმაო და მათთვის ხელმისაწვდომი კვების აუცილებელი საგნებით მაინც. ფასების დაკლებამ დიდი გავლენა იქონია მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტის შენაკრებზე. ასე მაგალითად, შენაკრების ღირებულობამ კოოპერაციაში დაიკლო 5,9 პროც., კერძო ვაჭრობაში კი—14 პროც. შენაკრების სამრეწველო საქონელმა კოოპერაციაში დაიკლო 8,2 პროც., კერძოთ—6 პროც. სასოფლო-მეურნეობის ჯგუფის საქონელმა დაიკლო 5 პროც. კერძო ბაზარზე კი 1,2 პროც. აქედან აშკარაა, რომ თბილისის მუშა-მოსამსახურენი, რომელთა ყოველდღიურ მოთხოვნილებაში სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებს უმთავრესი ადგილი უკავიათ მართლაც ვერ იგრძნობენ ფასების დაკლებას და ამით **რეალურათ ხელფასის მომატებას.** აქედან ცხადია, თუ საითკენ უნდა იქნეს მიქცეული მთელი ყურადღება თბილისის საბჭოსი და მისი აპარატის. რომ დანიშნული ვადისათვის (პირველი ივნისი ა.-წ.) განხორციელებულ იქნას პარტიისა და ხელისუფლების მიერ მოცემული დირექტივა.

მ. გავაშელი

სრულიად საკავშირო საბჭოთა მეოთხე ყრილობა

საბჭოთა კავშირის მთავრობის ანგარიში

ამხ. რიკოვის მოხსენება

მოსკოვი, 23 აპრილი. 19 აპრილის დილის სხდომაზე ამხ. რიკოვმა დაამთავრა მოხსენება საბჭოთა კავშირის მთავრობის მუშაობის შესახებ.

რა გვიანდერძა ლენინმა

„როცა თავდებოდა სამოქალაქო ომი—განაცხადა ამხ. რიკოვმა—და იწყებოდა მშვიდობიანი სამეურნეო აღმშენებლობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე, ვლადიმერ ილიჩმა სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-8 ყრილობაზე 1920 წელს განაცხადა შემდეგი: „ეს არის ყველაზედ უფრო ბედნიერი ეპოქის დასაწყისი, როცა პოლიტიკას ეძლევა თანდათან უფრო ნაკლები ადგილი, როცა პოლიტიკაზე ლაპარაკობენ უფრო იშვიათად და მოკლეთ, ხოლო მეტს ლაპარაკობენ ინჟინრები და აგრონომები“. შემდეგ: „პოლიტიკა ჩვენ, ეჭვს გარეშეა, შევისწავლეთ და აქ ჩვენი დამარცხება ძნელია—აქ ჩვენ გვაქვს დასაყრდენი. მეურნეობის საკითხებში კი საქმე ცუდათ არის. ამიერიდან ყველაზედ უფრო კარგი პოლიტიკაა—რაც შეიძლება ნაკლებ პოლიტიკა. წამოაყენეთ ინჟინრები და აგრონომები, მათგან ისწავლეთ, მუშაობა სისტემატიურად შეამოწმეთ, ყრილობები და თათბირები გახადეთ არა სამეურნეო ორგანოებათ, არამედ ნამდვილ მიღწევების შემმოწმებელ ორგანოებათ, ორგანოებათ, სადაც ჩვენ შევსძლებთ ნამდვილ სამეურნეო აღმშენებლობის შესწავლას“ (ლენინი, ტომი 17, გვერდი 426).

ეს განსაკუთრებით სწორია ეხლა, როცა დავსძლიეთ რა „აღდგენის“ პერიოდის ამოცანები და გავსცილდით რა ეკონომიკის მრავალ დარგში, ეგრედ წოდებულ, ომამდე არსებულ დონეს, ჩვენ უშუალოდ შევუდექით უფრო სერიოზულ და ძნელ ამოცანების გადაჭრას, სახალხო მეურნეობის ძირიან-ფესვიანად გარდაქმნას.

ოქტომბრის შემდეგ ოქტომბრის მონაპოვართა მთავარი ბაზისი, მუშათა და გლეხთა კავშირი, იზრდებოდა, ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. ეხლა მუშათა და გლეხთა კავშირის სიმტკიცემ უნდა უზრუნველყოს ჩვენი სახალხო მეურნეობის წინსვლა მსოფლიო მეცნიერების და ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევების საფუძველზე. ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში მეურნეობის ახალ საფუძველზე გარდაქმნა ნიშნავს სოციალიზმის მშენებლობას. ყოველი ნაბიჯი ამ გზით ასწევს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ დონეს და გააუმჯობესებს სახალხო მასების განსაკუთრებით, ნაკლებ უზრუნველყოფილი ფენების კეთილდღეობას.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა

რომელ გზას მივყევართ სოციალიზმისაკენ? ინდუსტრიალიზაციის გზას. მხოლოდ ინდუსტრიალიზაცია ადიდებს უაღრესად საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას, მასების კეთილდღეობას და შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიყენოთ მასების ინტერესებისათვის ჩვენი ქვეყნის გამოულეველი სიმდიდრენი.

საბჭოთა მესამე ყრილობის შემდეგ ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი მთავრობის პოლიტიკაში არის ის, რომ კურსი ინდუსტრიალიზაციაზე არამც თუ შემუშავებულია, არამედ ტარდება კიდეც პრაქტიკაში.

ამ კურსის პრაქტიკული გატარება არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო მთავრობის მუშაობის ყურადღების ცენტრში. ამ თვალსაზრისით უნდა შეაფასოს, პირველ ყოვლისა, ყრილობამ მთავრობის მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

ისტორიის ანალიზმა შესაძლებლობა მისცა მეცნიერ. კომუნიზმის მამამთავართ ურყევათ დაემტკიცებიათ, რომ მატერიალურ და საწარმოო ძალთა განვითარება, რომელსაც ახასიათებს მსხვილი ინდუსტრიის და სამრეწველო პროლეტარიატის არსებობა, აუცილებლად ქმნის მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის შეცვლას სოციალიზმით. ჩვენს პირობებში ინდუსტრიალიზაცია ნიშნავს გადასვლას ჭრაქიდან ელექტრონზე, ხის კავიდან ტრაქტორზე. უმეცრებიდან—კულტურაში. საბჭოთა სახელმწიფოში საქმე გვაქვს არა მარტო საწარმოო ძალთა განვითარებასთან, არამედ აგრეთვე მეურნეობის ახალი სოციალისტური ორგანიზაციის აგებასთან.

ინდუსტრიალიზაცია, რომელიც მისი დასრულებული სახით ნიშნავს სოციალისტური მეურნეობის მოწყობას, მიგვიყვანს კლასების სრულ მოსპობამდე და ამასთანავე ერთად მოსპობს განსხვავებას ქალაქსა და სოფელს შორის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კურსი ინდუსტრიალიზაციაზე არის კურსი ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური და კულტურული განსხვავების მოსპობაზე“.

იმის საილიუსტრაციოთ, თუ რა კონკრეტიული ცვლილებები მოხდა უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, ამხ. რიკოვს მოჰყავს მთელი რიგი დამახასიათებელი ციფრები.

„სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო ფონზე,—ამბობს ამხ. რიკოვი,—იზრდება: სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა, სამრეწველო პროდუქციის საწარმოო საშუალებათა დამზადება, ინდუსტრიალურ მოსახლეობის პროცენტი“.

მოჰყავს რა შემდეგ ციფრები მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპის და დონეს შესახებ 1913 წელთან შედარებით, ამხ. რიკოვი ამბობს, რომ ციფრებიდან აშკარად სჩანს, რომ ქვეყანა მიდის ინდუსტრიალიზაციის გზით.

„რასაკვირველია,—განაგრძობს ამხ. რიკოვი,—შეუძლებელია გადაჭარბებულად შეფასებული იქნეს ამ ფაქტის მნიშვნელობა, ვინაიდან ჩვენ ჯერ კიდევ ვიმყოფებით იმ ხანგრძლივი განვითარების დასაწყისში, რომლის განმავლობაში ჩვენი აგრარულ-ინდუსტრიალური ქვეყანა უნდა იქცეს ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად. ამ ყრილობაზე შეიკრიბენ მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილის მშრომელ მოსახლეობის დელეგატები. ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს ისეთ მივარდნილ „მიყრუებულ“ რაიონს, რომელსაც სრულებით არ შეხებია კულტურა და ცივილიზაცია. წარმოიდგინეთ მიყრუებული გლეხური რაიონი, სადაც მიწებს ხნავენ ხის სახნისით, არ სჭედენ ცხენებს და სადაც ნატურალური წესით ეწევიან მეურნეობას. ადრე თუ გვიან ასეთი რაიონის გლეხობამ უნდა შემოიღოს სამჭედლო, რომ დასჭედოს ცხენები. მთავრობის გადაწყვეტილება ააგოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა როსტოვში, სატრაქტორო ქარხანა სტალინგრადში, გაიყვანოს სემირეჩიეს რკინის გზა, რომელიც შუა აზიას შეუერთებს ციმბირს და სხვ., არსებითად წარმოადგენს ასეთივე სამჭედლოს, სახელოსნოს მოწყობის ცდას მთელი სახელმწიფოსათვის. რასაკვირველია, შეიძლება წარმოვიდგინოთ მეორე გზა, რომელიც აინტერესებს დასავლეთ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიას; ეს გზა გულისხმობს „შრომის ისეთ განაწილებას“ ჩვენს სახელმწიფოსა და კაპიტალურ გარემოცვას შორის, რომლის დროს საბჭოთა კავშირი უნდა დარჩეს აგრარულ ქვეყანად. რომ მას საზღვარგარეთ გაჰქონდეს პური და ნედლეული და იქ, საზღვარგარეთ, ყიდულობდეს მრეწველობის ნაწარმოებს. ეს ერთის მხრივ ნიშნავს მთელი სახალხო მეურნეობის მონურ დამოკიდებულებას უცხოეთის კაპიტალისაგან და მეორეს მხრივ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობის საუკუნოდ დატოვებას. ეს გზა ნიშნავს სავსებით ხელისაღების არა მარტო სოციალიზმის მშენებლობაზე ჩვენს ქვეყანაში, არამედ აგრეთვე მის ნამდვილ ეკონომიურ პროგრესზედაც.

ჩვენში, სადაც გლეხის დესეტინა მიწაზე 3—8-ჯერ ნაკლები მოსავალი მოდის, ვინემ მოწინავე ბურჟუაზიულ ქვეყნების სოფლის მეურნეობაში, სადაც ფაბრიკა-ქარხნები ცუდათ არიან მოწყობილი და ვერ უზრუნველყოფენ ქვეყნისათვის საკმაო რაოდენობით იაფ და კარგი ხარისხის საქონელს, მეურნეობის შემდეგში აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის გზით და ამასთანავე ეს აღორძინება შეიძლება და უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ერთდაიმავე დროს როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

ინდუსტრიალიზაცია უაღრესად ზრდის მოთხოვნილებას შრომაზე როგორც ქალაქში, ისე სოფლად და ჯერ ამცირებს და შემდეგ თანდათანობით სპობს ყოველგვარ უმუშევრობას და მიწების ნაკლებობას, აღმოცენებულს მოსახლეობის სიმრავლის ნიადაგზე.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამ გზას ჩვენ მტკიცედ დავადექით და უკვე მეორე წელია მივდივართ ამ გზით. უნდა ვაღიაროთ, რომ ინდუსტრიალიზაციის გატარების პირველი წლები განსაკუთრებით ძნელია მთელი ქვეყნისათვის

მთავარი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ პირდაპირი დადებითი შედეგების მიღება ინდუსტრიალიზაციიდან საჭირო წინასწარი ხარჯების მიღებისთანავე შეუძლებელია, რაც საშუალებების სიმცირის დროს საერთოდ უსათუოდ იწვევს ქვეყნის მთელი მეურნეობის ერთგვარ დაჭიმვას. ჩვენ ვიწყებთ, მაგალითად, „დნეპროსტროი“-ს აგებას, თურქესტან-ციმბირის რკინის გზის, ვოლგა-დონის არხის გაყვანას, ყოველივე ამ სამუშაოებზე, ერთად რომ ავიღოთ, რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთის დახარჯვა დაგვჭირდება. ეს ერთგვარ მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყანას მანამდე, სანამ ყველა ეს წარმოებები არ დამთავრდება და არ ამუშავდება.

დავსძლევთ თუ არა დასახულ ამოცანას

ავიტანთ თუ არა ინდუსტრიალიზაციის იმ ტემპს, რომელიც აღებული გვაქვს?

ქვეყანას შემდეგში არსებობა არ შეუძლია ეგრეთ-წოდებულ კაპიტალურ თანხების გაღების გარეშე. სამრეწველო ნაწარმოების ეხლანდელი სიძვირე, რასაკვირველია, დიდათ არის დამოკიდებული არა საკმაოდ კარგ ორგანიზაციაზე დიდ ზედნადებ ხარჯებზე და იმაზე, რომ ჩვენი მრეწველობა დიდათ ჩამორჩა თავისი ტეხნიკით. ჩვენ გვქონდა შემთხვევა, როცა უცხოეთში დაკვეთილ იქნა ისეთი მანქანები, რომლებიც იქ დიდი ხანია გამოსული არის ხმარებიდან, როგორც ძაძველებული, უხერხული და საზარალო. ყოველივე ამან მწვავედ დასვა ამოცანად რაც შეიძლება ჩქარა ავინაზღაუროთ დაკარგული დრო და რაც შეიძლება დაჩქარებით გარდავქმნათ მრეწველობა. ამ ამოცანის გადაუჭრელად შეუძლებელია მრეწველობის უფრო წინ წაწევა, შეუძლებელია ოდნავ წარმატებული ბრძოლა შეუძლებელია ოდნავ წარმატებული ბრძოლა სიძვირესთან.

ამ ხნის განმავლობაში ძალიან გაიცვითა ბინებიც. საცხოვრებელ ბინების რაოდენობა მინიმუმამდე დავიდა და შესაძლოა ამან შეაფერხოს მრეწველობის და მთელი მეურნეობის განვითარება.

ამ მხრივ კარგად ვერ არის საქმე ტრანსპორტზე, კერძოდ, რკინის გზის ტრანსპორტზე. რომ წინ წავიდეთ ტრანსპორტის დარგში, აუცილებელია აგრეთვე საგრძნობი ხარჯები და კაპიტალური სამუშაოების გაწევა. ტრანსპორტის და საბინაო მშენებლობის არა საკმაო განვითარებამ შესაძლოა შემაფერხებელი როლი ითამაშოს საერთოდ მთელი მეურნეობის განვითარებაში.

მესამე ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში ახალი აღმშენებლობა თანდათან უფრო ფართოვდებოდა და იზრდებოდა კაპიტალურ სამუშაოებზე დახარჯულ საშუალებათა რაოდენობა.

მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში დაბანდებულ კაპიტალურ თანხების ზრდა მოწმობს, რომ ჩვენ მტკიცე ნაბიჯით მივდივართ ინდუსტრიალიზაციის გზით.

შევსძლებთ თუ არა ჩვენ განვითარების იმ ტემპის უზრუნველყოფას, რომელიც დასახული გვაქვს?

რა არის საჭირო ამ ტემპის უზრუნველსაყოფათ?

პირველი — ის რომ კაპიტალური ხარჯები არ იწვევდეს სამეურნეო სისტემის წონასწორობის დარღვევას. მეორე—ამ ხარჯებთან ერთად უნდა ხდებოდეს ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესება.

1925 წლის შემოდგომაზე დაშვებულ შეცდომების გამოსწორების და გადაჭარბებულ გეგმების შემცირების შემდეგ ჩვენ უზრუნველვყავით აღებული ტემპი და აღმშენებლობის გაფართოება და რამოდენიმე საფეხურით წინ წავსწიეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება.

მიმდინარე წელს განხორციელებულ უნდა იქნეს კაპიტალურ ხარჯების გაფართოებული პროგრამა. განვლილი ნახევარი წლის გამოცდილება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მიმდინარე წელს ჩვენ ამ პროგრამას განვახორციელებთ უფრო წარმატებით, ვინემ წარსულ წელს. პურის დამზადების დარგში მიღწეული შედეგები საკმაოდ დამაკმაყოფილებელია. ფულის—სავალუტო ბაზრის მდგომარეობა არ იწვევს შიშს და მიმდინარე წლის [illegible] პროგრამის შესასრულებლათ საჭირო აღარ იქნება დამატებითი ემისია. ამჟამად არამც თუ არ არის ფულის კურსის რყევის ნიშნები, არამედ, პირიქით, ჩვენ ვართ ჩვენი ფულის სისტემის განმტკიცების და ჩერვონეცის სყიდვითი უნარიანობის გადიდების მოწამე.

წარსული წელი იყო პასიური ბალანსის წელი, როცა ჩვენ იძულებული ვიყავით შეგვემცირებინა ჩვენი რეზერვები საზღვარგარეთთან დავალიანების დასაფარავად. მიმდინარე წელს მთავრობამ მიზნად დაისახა აქტიური ბალანსის უზრუნველყოფა და ვალიუტის დაგროვება. პირველ ნახევარ წლის განმავლობაში ჩვენ უკვე შევსძელით 60 მილ. მანეთის დაგროვება. ბრძოლაში საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსის შესაქმნელად და ჩვენი სავალიუტო პოზიციების განსამტკიცებლად უდიდესი როლი ითამაშა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიამ.

საზღვარგარეთ დროგამოშვებით ვრცელდება ხმები, რომ ჩვენი დამოკიდებულება მონოპოლიისადმი იცვლება ან უნდა შეიცვალოს. ვსარგებლობ რა შემთხვევით კატეგორიულად ვაცხადებ, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია მთავრობის მთელი ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენს წარმოადგენს და არავითარ კომპრომისებს არ შეიძლება აქ ექნეს ადგილი. მონოპოლიის დროს სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს ისე მოაწყოს და გააფართოოს ჩვენი საგარეო ვაჭრობა, რომ ის მთლიანად ემსახურებოდეს მშრომელთა ინტერესებს. საგარეო ვაჭრობის განვითარებაში ყველაზედ უფრო დაინტერესებულია გლეხობა თუ საგარეო ვაჭრობის სისტემას უზრუნველვყოფთ საჭირო მატერიალურ-ტეხნიკური მოწყობილობით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ის მასა, რომელსაც არა აქვს ბაზარზე გასავლის საშუალება, იპოვიდა ამ გასავალს. ეს კი უაღრესად გააუმჯობესებდა გლეხობის მდგომარეობას.

მიმდინარე წელს მთავრობამ პირველად გადასდო საკმაოდ დიდი საშუალებები საციებლების, სახმობების, ელევატორების, საკონსერვო ქარხნების და სხვ. მოსაწყობად. ჩვენი საგარეო ვაჭრობის აპარატის და ქვეყნის შიგნით დამამზადებელ აპარატის გაუმჯობესების შემდეგ გლეხობა მათი სახით ჰპოვებს დასაყრდენს თავისი მეურნეობის განვითარებისათვის.

კვლავ ვუბრუნდები საკითხს კაპიტალურ ხარჯების მიზანშეწონილობის შესახებ. აქ საბჭოების ყრილობაზე არ უნდა დავფაროთ, რომ ეს გეგმა, რასაკვირველია, მეტად ფართეა, მაგრამ ჩვენი ქვეყანა უამისოდ ვერ შესძლებს თავი დააღწიოს თავის უდიდეს ჩამორჩენილობას და გახდეს კულტურული, მდიდარი და ინდუსტრიალური ქვეყანა. ასეთი ამოცანის განხორციელების დროს აუცილებელია ყველა საშუალებების დაჭიმვა.

ამოცანა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ აუცილებლად ვსთვლით რა გეგმის ამ დაჭიმულობას, არ მივიყვანოთ ის იმ დონემდე, რომლის დროს სახალხო მეურნეობაში თავს იჩენს კრიზისის ავადმყოფური მოვლენები და რომ კაპიტალურ ხარჯების ზრდასთან ერთად ხდებოდეს მუშათა და გლეხთა მასების კეთილდღეობის გადიდება.

რამდენადაც ვითარდება ჩვენი მეურნეობა და განუწყვეტლივ ყოველ წლობით იზრდება მთელი საერთო ნაციონალური შემოსავალი, იმდენად კაპიტალურ ხარჯების ზრდამ შესაძლოა და უნდა გამოიწვიოს ფართო მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე მუშის სამუშაო ხელფასის შედარება გვიხდება ომის წინანდელ დონესთან, ხოლო გლეხის ეხლანდელი მდგომარეობის შედარება—იმასთან, რაც მეფის დროს იყო. საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა მოვუღოთ ბოლო ასეთ შედარებას, უკან მოვიტოვოთ მეფის რუსეთის ცხოვრების დონე. მაგრამ ხალხთა ფართო მასების კეთილდღეობის ეს ზრდა უნდა სწარმოებდეს მთელს სახალხო მეურნეობაში კაპიტალების დაბანდების გაფართოებასთან ერთად.

რომ ჩვენ ის ფული, რომელსაც ინდუსტრიალიზაციაზე ვხარჯავთ, შეგვეჭამა, შემდგომი წლებისათვის კიდევ ნაკლები შესაძლებლობა გვექნებოდა სიღარიბის დასაძლევად. ამიტომ პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა აწარმოებდა ამ მხრივ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, სავსებით სწორია. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ინდუსტრიალიზაციის ისეთი წინსვლა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ დასახულ მიზანს რაც შეიძლება მოკლე ვადაში, რისთვისაც აუცილებელ პირობათ უნდა იქნეს მიჩნეული: პირველი, კავშირის განმტკიცება საბჭოთა სახელმწიფოს ორ ძირითად კლასსა—პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, ხოლო მეორე, მთელი სამეურნეო სისტემის მოძრავი წონასწორობის შენარჩუნება.

ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს

ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველი ანხორციელებს სოციალიზმის მშენებლობის ამოცანას, მაგრამ სამეურნეო მუშაობის წარმოება ამჟამად შეუძლებელია, არ გვაქვს მეურნეობის განვითარების მოფიქრებული გეგმა მომავალი წლებისათვის. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ამჟამად პირველად დასახა ხუთი წლის გეგმა, რომელიც ახლო მომავალში წარედგინება მთავრობას განსახილველად. ამ ხუთი წლის გეგმიდან გამომდინარეობს, რომ სახალხო მეურნეობაში დაბანდებული სახელმწიფო კაპიტალურ ხარჯების რაოდენობა ხუთი წლის განმავლობაში გამოიხატება საშუალოდ 15-დან 20 მილიარდ მანეთამდე. რაში და როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს თანხები, სამეურნეო აღმშენებლობის ერთ უმთავრეს და უძნელეს საკითხს წარმოადგენს.

იმის შემდეგ ,რაც წამოყენებულ იქნა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი, ზოგიერთებს დაებადა აზრი, რომ ეს ლოზუნგი მიმართული იქნება სასოფლო მეურნეობის წინააღმდეგ. რომ დავამტკიცოთ ასეთი შეხედულების უსაფუძვლობა, მე მოვიყვან ციფრებს. სულ მიმდინარე წელში სასოფლო მეურნეობაზე დაიხარჯება 550 მილ. მან. ჩვენ მიერ გადადებული თანხების ციფრი ორჯერ აღემატება 1913 წლის ციფრებს.

მოყვანილ ანგარიშში მხედველობაში არაა მიღებული სასოფლო მეურნეობაში დაბანდებული თანხები, რომელიც უმთავრესად გაიცემა მებამბეობის მთავარი კომიტეტის, შაქრის ტრესტის და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების საშუალებით, რომელთა სამეურნეო ხარჯები სასოფლო მეურნეობაზე ათეულ მილიონ მანეთებს უდრის.

უეჭველია, რომ ეს ხარჯები ჯერ კიდევ საკმაო არაა. იგი სავსებით არ ფარავს ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის იმ უდიდეს მოთხოვნილებებს, რომელნიც დაკმაყოფილებას საჭიროებენ. სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია გარდატეხასთან მის ორგანიზაციაში და მისი წარმოების მეთოდებში. მრეწველობის მოწყობილობა უნდა განვაახლოთ, ავაშენოთ ახალი ქარხნები და სხ.

ასეთი „მოწყობილობის განახლება“ არის საჭირო სასოფლო მეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი გზა არის მისი ინტენსიფიკაცია, რომლის აუცილებლობას ყოველ წლობით სულ უფრო და უფრო მეტად ვგრძნობთ, უმთავრესი უბედურება სოფლად—ეს ეგრედწოდებული ზედმეტი მოსახლეობა, ე. ი. მუშა-ხელის, რომელთაც არ შეუძლიათ სამუშაოს შოვნა თვით სასოფლო მეურნეობაში. ეს ზედმეტი მოსახლეობა ჩვენი სასოფლო მეურნეობის განსაკუთრებული ჩამორჩენილობის შედეგია, უკანასკნელი თავის გამოხატულებას ნახულობს მეტად დაბალ მოსავლიანობაში. თუ მომავალში მოსავლიანობა გაიზრდება ნახევარი პროცენტით წელიწადში, მაშინ სოციალიზმს ვერ ავაშენებთ. ცუდი მდგომარეობის ნიშნებია მესაქონლეობის და აგრეთვე ნედლი კულტურების დარგში.

მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ზომები, რომ გადალახულ იქნეს დაბრკოლებანი მესაქონლეობისა და ნედლი კულტურების განვითარებაში. ჩვენ მიერ მიღებული ზომები (დასამზადებელი ფასების აწევა ნედლეულის ცალკე დარგებზე, შეღავათები გადასახადზე, პურის შეტანა სათანადო რაიონებში და სხ). შეამსუბუქებენ მდგომარეობას უახლოეს წლების განმავლობაში. რომ წინ წავიდეთ, საჭიროა სამმინდროვან სისტემიდან მრავალ მინდვროვან სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა, გაუმჯობესებული თესლის გამოყენება, მიწის განოყიერების გაუმჯობესება და სხ. ნედლეული მეურნეობის პრობლემა, პირველი, ეხებიან სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციას და მეორე, ახალი ნედლეულის რაიონების შექმნას ისეთ ადგილებში, სადაც განსაზღვრული კულტურების განვითარება ბუნებრივი პირობებით ყველაზე უფრო ხელსაყრელია.

ჩვენ ბევრი გვაქვს ხელუხლები მიწები დაუსახლებელ რაიონებში, რომელნიც შეიძლება იქნას გამოყენებული და უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ ინტენსიფიკაციის მეთოდის, სასოფლო მეურნეობის ახალ უმაღლეს საფეხურზე ასვლის მეთოდის ინდივიდუალიზაცია უნდა მოხდეს ყოველი ცალკე რაიონის ხასიათის მიხედვით. ჩვენ დიდ ზიანს მივიღებთ, თუ ყოველი რაიონის სხვა და სხვაგვარ სპეციფიურ თავისებურებათა საკმაო გათვალისწინებას, პრაქტიკულად წინასწარ საკმაო შემოწმების გარეშე მექანიკურად გავატარებთ ამა თუ იმ ღონისძიებას. სასოფლო მეურნეობას ეხლაც უმთავრესად ნატურალური ხასიათი აქვს. ეს განსაკუთრებით ცხადად სჩანს ეგრედ-წოდებული „უხილავი“ პურის მარაგის დაგროვების ფაქტიდან. ცენტრ. სამმართველოს ცნობით, ამ ნატურალური დაგროვების შესაძლო მარაგი 1927 წლის 1 ივლისამდე დაახლოვებით 700 მილ. ფ. უდრის. ეს მარაგი ნიშნავს გლეხობის კეთილდღეობის უეჭველ ზრდას. იგი წარმოადგენს რეზერვს სასოფლო მეურნეობაში სტიქიურ უბედურებას, მოუსავლიანობის, გვალვის შემთხვევებისათვის. რაში მდგომარეობს დაგროვების ნატურალურ ფორმის უარყოფითი მხარე? უმთავრესი უარყოფითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ უდიდესი სიმდიდრე 700 მილ. ფ. პურის სახით სრულიად უმოძრაოდ სდევს.

დაგროვების ეს ნატურალური ფორმა შედეგია, პირველ ყოვლისა, სტიქიურობისა და მერყეობისა გლეხის მეურნეობაში, რომელიც ამ სახით თავს იზღვევს სტიქიურ უბედურებისაგან, მეორე, ქალაქისა და სოფლის შორის ბრუნვის საკმაო განუვითარებლობის და მათ შორის საკმაო კავშირის უქონლობისა. უმთავრესი მიზეზი, რომელიც აბრკოლებს კავშირის განვითარებას ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შორის,არის არახელსაყრელი შეფარდება ფასებში სოფლის მეურნეობის პროდუქტსა და მრეწველობის საგნებზე. ფასების დაკლება მრეწველობის ნაწარმოებზე აუცილებელი წინასწარი პირობაა როგორც ხალხის ყველა მასების, განსაკუთრებით გლეხობის მდგომარეობის საერთო გაუმჯობესების, ისე იმისათვის, რომ ამ საფუძველზე იქნას უზრუნველყოფილი აუცილებელი კავშირი ქალაქისა და სოფლის შორის და სასოფლო მეურნეობის სწრაფი განვითარება.

ზოგიერთი ამხანაგები, სამეურნეო განვითარების ახალ პირობებთან დაკავშირებით წინააღმდეგობას პოულობენ იმაში, რომ ერთის მხრით ჩვენ ვაყენებთ სასოფლო მეურნეობის განვითარების პროგრესიული ფორმების წახალისების, მანქანების ფართოდ გამოყენების და მიწის დამუშავების უფრო უკეთესს მეთოდებზე გადასვლის ამოცანას, მეორეს მხრით, ჩვენ გვინდა ჩვენს პოლიტიკაში კვლავ დავემყაროთ გლეხობის ღარიბ და საშუალო შეძლების მქონე მასებს.

არავითარი წინაღმდეგობა აქ არ არის. მთავრობა ემყარებოდა და მომავალშიაც დაემყარება საშუალო და ღარიბ შეძლების მასებს სოფლად. სასოფლო მეურნეობის განვითარება უფრო მაღალი ტეხნიკის საფუძველზე წარმატებით იწარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო მეურნეობის თვისობრივი ზრდის ინტენსიფიკაციის ამ პროცესში ჩაბმული იქნება საშუალო და ღარიბი შეძლების მთელი მასა. მთელი ჩვენი პოლიტიკა მიმართულია იმისაკენ, რომ დავეხმაროთ ღარიბ გლეხს მეურნეობის ფეხზე დაყენებაში და სიღარიბიდან თავის დაღწევაში. ჩვენი სისტემა მიმართულია სასოფლო მეურნეობის განვითარებისა, მის თვისობრივ გაუმჯობესებისა და ინტენსიფიკაციისაკენ, შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ მაშინ, თუ ამ პროცესში ჩაბმულ იქნება გლეხობის ძირითადი მასა.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგრესიული ფორმები გახდება მისაწვდომი მთელი გლეხობისათვის, მოვსპობთ სიღარიბეს გლეხობაში. ღარიბობასთან და მეურნეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ძირითადი მეთოდი იყო და არის კოოპერაცია. გლეხობის კოოპერაციაში შეკავშირება განსაკუთრებით აუცილებელია ამჟამად, როცა გლეხობა უნდა გადავიდეს მეურნეობის ახალ სისტემაზე, მეურნეობაში მან უნდა გამოიყენოს ისეთი მანქანები, და მიწის დამუშავების ისეთი მეთოდები, რომელიც ხშირად არ ძალუძს ცალკე ერთ გლეხს. ამიტომ ჩვენ ეხლა ვალდებული ვართ მტკიცედ გავატაროთ მოსახლეობის მრავალი მილიონიანი მასების კოოპერაციაში შეკავშირების კურსი, რომელიც მთავრობის პოლიტიკის უმთავრესი მომენტია ამ ხნის განმავლობაში არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქადაც.

როცა ვლაპარაკობთ კოოპერაციაზე, არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ ჩვენი ეკონომიური სინამდვილის ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, სახელდობრ, კერძო კაპიტალის წარმატებით განდევნას ვაჭრობის გადამწყვეტ პუნქტებში. თუ წინედ კერძო პირს ეჭირა ხელში თითქმის მთელი საცალო ვაჭრობა და საბითუმო ვაჭრობის დაახლოვებით ნახევარი ნაწილი, და არსებითად გაბატონებული იყო ბაზარზე, სამაგიეროდ წარსული ორი წლის განმავლობაში, კოოპერაციისა და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების მოქმედების გაძლიერების მეოხებით მოხდა კერძო ვაჭართა მნიშვნელოვნად განდევნა ბაზრიდან.

ნება მიბოძეთ ამით დავამთავრო ლაპარაკი იმ სამეურნეო პოლიტიკის უმთავრეს საკითხებზე, რომელსაც მთავრობა ატარებდა წარსული ხნის განმავლობაში, და იმ ძირითად ხაზებზე, რომლითაც იგი უნდა მიიმართებოდეს მომავალში. ეხლა, როცა ჩვენ შევუდექით ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას, საკითხს ტეხნიკური ინტელიგენციის შესახებ განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ შევუდექით მრეწველობის, ტრანსპორტის, სასოფლო მეურნეობის და ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიკის გარდაქმნას თანამედროვე ტეხნიკის საფუძველზე. გადამწყვეტი მიღწევები ამ საქმეში მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიღოთ, თუ, პირველი, გამოინახება იმ პირთა კადრი, რომელთაც საკმაო ცოდნა ექნებათ ამ დარგში და შეეძლებათ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, მეორე, თუ ეს კადრები იმუშავებენ ისეთი გულწრფელობით, მუყაითობით და ერთგულობით, როგორც ამას მოითხოვს სოციალიზმის აღმშენებლობის ამოცანები.

კავშირის სამეურნეო განვითარებას ჩემ მიერ აღნიშნულ სპეციფიურ ამოცანებთან დაკავშირებით უნდა გაიზარდოს ინტელიგენციის, სპეციალისტების და ტეხნიკოსების როლი ჩვენს მომწესრიგებელ ორგანოებში. მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ სპეციალისტების როლის გაძლიერებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს იმ კასტური ინტერესების აღდგენა, რომელშიაც თავის დროზე სწარმოებდა ინტელიგენციის აღზრდა.

რამოდენიმე სიტყვა მთავრობის მიერ, განსაკუთრებით მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულ კამპანიაზე ბიუროკრატიზმთან ბრძოლაზე. ჩვენ ამოცანას წარმოადგენს მოვაწყოთ იაფი, მიზანშეწონილი და ფართო მასებთან ახლო მყოფი სახელმწიფო აპარატი. უკანასკნელმა წლებმა მოგვცა ზოგიერთი მიღწევების პირველი ნიშნები ბიუროკრატიზმთან ამ ბრძოლაში. ეს მიღწევები არის შედეგი იმისა, რომ საბჭოებისა და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციების საშუალებით მივაღწიეთ მასების უფრო აქტიურ, და უშუალო მონაწილეობას ჩვენს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში.

საბჭოების მე-3 ყრილობის შემდეგ ძალიან გაიზარდა გლეხობისა და მუშების მონაწილეობა როგორც საბჭოების არჩევნებში, ისე თვით საბჭოთა და კოოპერატიულ მუშაობაში. პოლიტიკური აქტიობის უდიდესი ზრდა გამოაშკარავა მუშათა კლასმა და გლეხთა საშუალო და ღარიბი შეძლების ფენებმა. ჩვენს სასამართლო დაწესებულებათა მუშაობაში ეხლა მიზიდულია ნახევარ მილიონამდე მუშა და გლეხი.

საბჭოების სისტემა—ეს არის მშრომელთა ფართო ფორმით შეკავშირების სისტემა, და იგი ისეთ ლაბორატორიად უნდა გადაიქცეს, საიდანაც ყოველთვის დაწინაურდებიან მუშათა და გლეხთა ყველა საუკეთესო წარმომადგენელნი და აქტიურ განაწილებას მიიღებენ ჩვენი კავშირის მთელ აღმშენებლობაში. ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის უდიდეს ამოცანას ჩვენ განვახორციელებთ ან მუშებისა და გლეხების მთელ მრავალ მილიონიანი მასებთან ერთად, ან სულ ვერ განვახორციელებთ. (მხურვალე ტაში).

კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო

21 აპრილის საღამოს სხდომა

ამხ. სულთანოვი

(აზერბეიჯანი)

მომხსენებელმა, სთქვა ამხ. სულთანოვმა,—სრულად არ დაახასიათა ამიერ-კავკასიის სამთამადნო მრეწველობის მდგომარეობა, კერძოდ ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მაღაროების დამუშავების პერსპექტივა. მაშინ როდესაც ამ მაღაროებს საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს, კავკასიის მთების წიაღში ჩამარხულია ძვირფასი ფერადი ლითონის მადნეული და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის აუცილებელი გოგირდი და დარიშხანა, საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფრო მეტი სერიოზული ყურადღება უნდა მიექცია ამ რაიონისათვის და შედგომოდა კავკასიის სამთა-მადნო სიმდიდრის დამუშავებას. ამიერ-კავკასია მდიდარია არა მარტო ფერადი ლითონით, არამედ იქ არის აგრეთვე მშვენიერი ნიადაგი, რომელიც გამოსადეგია ბამბის დასათესად. განჯაში ამჟამად ფართოვდება ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების ქსელი და იქმნება მსხვილი ნაციონალური მრეწველობა. ერთად ერთი დაბრკოლება ნაციონალური მრეწველობის განვითარებაში არის საჭირო იაფი ენერგიის უქონლობა. გამოსავალი ამ მდგომარეობიდან ძალიან მალე შეიძლება იქნას გამონახული. კავკასია მდიდარია მდინარეებით, რომელთაც მინიმალური ხარჯების გაღებით შეუძლიათ იაფი ენერგიის მოცემა სახ. მეურნ. უმაღლესმა საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მხარეს, და თავისი მუშაობის გეგმაში უნდა შეიტანოს ამიერ-კავკასიის სამრეწველო რაიონების საელექტროფიკაციო მუშაობა. აქ გამოსულმა მრავალმა ამხანაგმა აღნიშნეს ის უდიდესი როლი, რომელსაც თამაშობს ნავთის მრეწველობა კავშირის მეურნეობაში.ბაქოს რაიონში არის მსხვილი ნავთის სარეწავები რომლებშიაც მუშაობენ ათეული მუშები. ნავთის ამოღების გაფართოების გამო წლიდან - წლამდე იზრდება მუშათა რიცხვი, რაიც იწვევს საბინაო კრიზისს, საბინაო საკითხი—უდიდესი საკითხია ბაქოს მუშებისათვის. მთავრობა მათ უნდა დაეხმაროს; მან თავისი ბიუჯეტიდან უნდა გამოჰყოს აუცილებელი თანხები ნავთის სარეწავებთან ბინების ასაგებად.

ამხ. ბალახნინი

(ივანოვო-ვოზნესენსკის მუშა)

მოითხოვს ივანოვო-ვოზნესენსკის მრეწველობის ენერგეტიული მეურნეობის მთლიანად გადაკეთებას. ის ფიქრობს, რომ ივანოვო-ვოზნესენსკის 45.000 კილოუატიანი ელექტროსადგურის აგებით გადაიჭრება ივანოვო-ვოზნესენსკის მრეწველობის რეორგანიზაციის საკითხი.

აღნიშნულ ორატორებს გარდა საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ: ამხ. **საჟინი** (ურალი), **სუხომლინი** (ხარკოვი), **პიტეროვი** (ნიჟნი-ნოვგოროდი), **საიტკულოვი** (ბაშკირეთი), **კურცი** (გერმანელების რესპუბლიკა), **მანუილენკო** (უკრ. სოც. საბჭ. რესპ.), **სტრიევსკი** (მოსკოვი) და **რუსაკოვა** (ბრიანსკის გუბერნია), რომლებმაც აღნიშნეს ცალკე ნაკლულევანებები სამრეწველო მშენებლობის დარგში.

22 აპრილის დილის სხდომა

მოსკოვი, 23 აპრილი. 22 აპრილის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო. მოსმენილ იქნა მომხსენებელის საბოლოო სიტყვა. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა **ლასიცკიმ** (ბესარაბია), **პიჩახჩიმ** (ყირიმი), **კორნეევმა** (ციმბირი), **პანკრატოვმა**, **მუხამედკულოვმა** (ბაშკირეთი), **სოლოვიოვმა** (ხარკოვი), **რეკისმა** (კიევი) დაახასიათეს იმ რაიონების მდგომარეობა,რომლებიდანაც ისინი წარმოგზავნილი არიან, აღნიშნეს, როგორც მიღწევები, ისე ნაკლულოვანებები სამრეწველო მშენებლობის დარგში, ორატორები აუცილებლად სთვლიდნენ ბრძოლის გაძლიერებას უმუშევრობის წინააღმდეგ, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ მრეწველობის უფრო მეტად უზრუნველყოფას საშუალებებით, კავშირის გაძლიერებას რესპუბლიკანურ და ადგილობრივ მრეწველობის შორის. საწარმოო გეგმები ცენტრმა თავის დროზე უნდა დაამტკიცოს, რათა ადგილობრივ წარმოებებს საშუალება ექნეთ წინასწარ შეიმუშაონ მუშაობის გეგმა და იქონიონ გარკვეული საწარმოო პერსპექტივები.

ამხ. ტოლოკონცევი

თავის სიტყვაში აღნიშნავს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გეგმიან მუშაობაში არსებულ ნაკლულოვანებებს. აუცილებელია გაძლიერებულ იქნეს საწარმოო დისციპლინა და მეტი ყურადღება მიექცეს მანქანების საამშენებლო მრეწველობის განვითარებას.

ამხ. ცხაკაია

აღნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები მრეწველობის აღდგენის დარგში.

„განა ეს ზღაპარი არ არის — ლაპარაკობს ამხ. ცხაკაია — როცა ქვეყანას, რომელიც წინად კაპიტალისტური ევროპის კოლონიას წარმოადგენდა, ჩვენ ვაქცევთ ინდუსტრიალურ ქვეყნად, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ სავსებით თავს დავაღწევთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისაგან დამოკიდებულებას“.

ამხ. ლარინი

ყრილობის ყურადღებას მიაქცევს უმუშევრობასთან ბრძოლას. მთავრობამ ყოველივე ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ შეანელოს უმუშევრობის სიმწვავე. ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ უნდა სწარმოებდეს შემდეგი საშუალებებით: იმ წარმოებებში, რომლებიც საკმაოდ ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ პროდუქციით ბაზარს, გადიდებული უნდა იქნეს წყებათა რაოდენობა; სამუშაო დღე 8 საათიდან თანდათანობით დაყვანილი უნდა იქნეს 6 საათამდე იმ წარმოებებში, რომლებშიაც შრომის ნაყოფიერება მაღალია, რისთვისაც საჭიროა ასეთ წარმოებებში მეოთხე წყების დაწესება; უფრო მეტად უნდა იქნენ გამოყენებული უმუშევრები სამრეწველო მშენებლობაში.

ამხ. ლოზოვი

(რ. ს. ფ. ს. რ-ის ს. მ. უ. ს: თავმჯდომარე)

აღნიშნავს, რომ წარმოების რაციონალიზაციის გარეშე შეუძლებელია პროდუქციის გაიაფება. რაციონალიზაციასთან პარალელურად შემცირებული უნდა იქნეს საქონლის გამტარებელი ქსელი, შემოკლებული უნდა იქნეს სავაჭრო დანართი ხარჯები.

საბოლოო სიტყვაში ამხ. კუიბიშევმა პასუხი გასცა კამათში გამოსულ ორატორებს.

საბჭოთა პრესა

შრომის დაცვა მრეწველობაში

შრომის ნაყოფიერების ზრდა და მისი თვისობრივი გაუმჯობესება ბევრადაა დამოკიდებული მუშაობის სანიტარულ-ჰიგიენურ და ტეხნიკურ პირობების სათანადოდ დაცვაზე, რასაც ამავე დროს მოითხოვს მუშათა ჯანმრთელობის ინტერესები. შრომის დაცვის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, ამაზე სულ უფრო ბევრი საშუალებები იხარჯება, მაგრამ შემდეგისათვის უფრო მეტია გასაკეთებელი. ამის შესახებ „ტორგოვა-პრომიშლენაია გაზეტა“ წერს:

„განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრავმატიზმთან ბრძოლას, წარმოების მავნე ელემენტების იზოლიაციას, ღონისძიებათა გატარებას მანქანების და დაზგების სახიფათო ნაწილებისაგან მოსალოდნელ უბედურების ასაცილებლად. სამეურნეო ორგანოებმა ყველა ეს საკითხები უნდა შეიტანონ ძირითად საწარმოო ამოცანების სიაში და მათ ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

წარმოების გაშლის სწრაფი ტემპი, მოწყობილების გაცვეთა, მრეწველობაში ახალ მუშების საგრძნობი რაოდენობის ჩაბმა ჰქმნიან მთელ რიგ პირობებს, რომელნიც ხელს უწყობენ უბედურ შემთხვევების ზრდას. ამიტომ საჭიროა, რათა წარმოებები არა მარტო აღნუსხავდენ უბედურ შემთხვევებს, არამედ შეისწავლიდენ მათ მიზეზებს და იღებდენ უმთავრესად გამაფრთხილებელ ხასიათის ზომებს. ეს მუშაობა უნდა ხორციელდებოდეს მუშათა მასების და სპეციალისტების ფართე მონაწილეობით. კერძოდ, აუცილებელია ამ დარგში მუშებ შორის კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერება ლექციების, კინო-სეანსების, ბიბლიოთეკების მოწყობით და სხვ.

არსებით ნაკლად შრომის დაცვისათვის წარმოებულ მუშაობაში უნდა ჩაითვალოს გეგმიანობის უქონლობა სამეურნეო ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებებში და მიღწევათა არა საკმარისი გაზიარება არა მარტო სხვადასხვა ტრესტების დაწესებულებებ შორის, არამედ ერთ და იმავე სამეურნეო ორგანოს დაწესებულებებს შორისაც. ტრესტები უნდა შეისწავლიდენ ცალკე ფაბრიკებსა და ქარხნებში არსებულ მიღწევებს და ავრცელებდენ ასეთებს მრეწველობის მთელ დაქვემდებარებულ დარგზე“.

წარმოების რაციონალიზაციასა და მრეწველობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, რაც დღეს ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენს, შრომის დაცვის საკითხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, რომელთა გადაჭრა არ უნდა შეაფერხოს მომჭირნეობის რეჟიმის დამახინჯებულად გაგებამ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩან-კაი-ში სიკვდილით სჯის მუშების ბელადებს

შანხაიში თავი მოკვეთეს პროფმოძრაობის რამდენიმე ხელმძღვანელს

ჩან-კაი-შის არმიის ჯარების შეტევა ჩრდილოელების წინააღმდეგ გრძელდება

მღელვარება იუნანის პროვინციაში.--ჩან-ძო-ლინის პროტესტი

ბრძოლა ჩინეთში

ჩან-კაი-ში — მილიტარისტებისაგან იღებს მაგალითს

შანხაი, 22 აპრილი. ინგლისური გაზეთების ცნობით, ჩან-კაი-შის განკარგულებით 22 აპრ. ჩაპეიში (შანხაის ჩრდილო და ჩინური რაიონი) სიკვდილით დასაჯეს მუშათა ორგანიზაციების დარბევის დროს დაპატიმრებული მუშათა ლიდერები. შანხაიში გრძელდება მუშათა ლიდერების დაპატიმრება. დაპატიმრებულია შანხაის პროფსაბჭოს 20 წევრი, რომელთაც ბრალად ედებათ ჩან-კაი-შის საწინააღმდეგო ფურცლების გავრცელება. ვუზუნში (ნავთსადგური შანხაიდან 10 კილომეტრის მოშორებით ჩრდილოეთისაკენ). დახურულია ყველა პროფკავშირები. დაპატიმრებულია პროფმუშაკების ნაწილი. (ადს).

არეულობა იუნინის პროვინციაში

შანხაი, 22 აპრილი. იუნინის პროვინციაში (ფრანგულ ინდო-ჩინეთის საზღვარზე) სწარმოებს ბრძოლა ორ გენერალს შორის—ნაციონალური მთავრობის მოწინააღმდეგე და მომხრეს შორის. სარგებლობენ რა ამ მდგომარეობით, ყაჩაღები ახდენენ თავაშვებულ ძარცვაგლეჯას. 1.500 კაცისაგან შემდგარმა ბრბომ გადასჭრა რკინის გზის ხაზი ინდო-ჩინეთის საზღვარზე და ხელში ჩაიგდო ფრანგი ინჟინერი და რკინის გზის რამდენიმე მოსამსახურე. ყაჩაღები მოითხოვენ გამოსასყიდ თანხას. (ადს).

ვაჭრობა პრემიერის სავარძლით

პეკინი, 22 აპრილი. ჩინური გაზეთები გამოსთქვამენ აზრს რომ პეკინის მომავალი კაბინეტის პრემიერად ჩან-ძოლინი დანიშნავს ჩინ-იუ-ნაის (გენერალი, რომელიც ჩამოშორდა უ-პეი-ფუს და რომელსაც უჭირავს ხენანის პროვინციის სამხრეთი ნაწილი) უფროს ძმას ჩინ-იუნ-პენს. გაზეთების ცნობით ჩინ-იუნ-პენმა რჩევისათვის გაუგზავნა საიდუმლო ელჩი ჩინ-იუ-ნაის. თუ ჩინ-იუნ-პენი დათანხმდება პეკინის მთავრობის პრემიერის ადგილის დაჭერაზე, მაშინ მნიშვნელოვნად გაიზრდება მუკდენელების გავლენა ხენანის პროვინციაზე.

ბენ. ფინ-იუ-სიანი

ჩინეთის სახალხო რევოლიუციონური ჯარების მთავარ-სარდალი.

ნანკინის „მთავრობა"

შანხაი, 22 აპრილი. ინგლისური გაზეთი შანხაიში „ნორდ ჩაინა დეილი ნიუზ" იუწყება, ნანკინში შედგენილმა მთავრობამ თავისი თავი აღიარა „ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალურ მთავრობად". გაზეთების ცნობით, ჩან-კაი-შიმ მიიღო ნანკინის მთავრობის არმიის მთავარსარდლობა და ფიცი მისცა მთავრობას, რომ მთელი თავისი ძალით დაიცავს ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალურ მთავრობას". (ადს).

მუკდენი პროტესტს აცხადებს

პეკინი, 22 აპრილი. „ჟურნალ დე პეკენ"-ის ცნობით, „ნაციონალური დაწყნარების არმიის" სარდლობამ, რომელსაც ჩან-ძო-ლინი ხელმძღვანელობს, ინგლისის და ამერიკის პეკინელ ელჩებს განუცხადა პროტესტი ჩრდილოელ ჯარებისათვის უცხოეთის კანონერკებიდან ყუმბარების დაშენის წინააღმდეგ პუკოუში. (ადს).

ეკონომიური ზეგავლენა ხანკოუზე

შანხაი, 22 აპრილი. ჩინელ ბანკირების ასოციაციამ შანხაიში გამოუშვა დეკლარაცია, რომელშიც აცხადებს, რომ ის ყოველგვარ კავშირს სწყვეტს ხანკოუს ბანკებთან იმის გამო, რომ „ხანკოუს ხელისუფლებამ გასცა განკარგულება მარტო იმ ბანკნოტების მიღების შესახებ, რომლებიც გამოშვებულია ნაციონალური მთავრობის ცენტრალური ბანკის მიერ". (ადს).

ჩან-კაი-შიმ განაახლა სამხედრო ოპერაციები ჩრდილოელების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 23 აპრილი. „ასოშიეტედ პრესის" საგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება: „ხმების მიხედვით, ჩან-კაი-შიმ განაახლა სამხედრო ოპერაციები ჩრდილოელების წინააღმდეგ. ნანკინში მყოფ ჩან-კა-შის ჯარებმა გადალახეს მდინარე იან-ცზი და ყუმბარებს უშენენ პუკოუს (მდ. იან-ცზის ჩრდილო ნაპირზე, ნანკინის პირდაპირ). (ადს).

ხუ-ხან-მინი

მოღალატე ჩან-კაი-შის მიერ ნანკინში შედგენილი „მთავრობის" თავმჯდომარე

უცხოეთის გემები

ლონდონი, 23 აპრ. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ამჟამად ხანკოუში იმყოფება უცხოეთის 43 გემი: 16 ინგლისის, 13 იაპონიის, 9 ამერიკის, 3 საფრანგეთის და 2 იტალიის. (ადს).

მილანის გამოფენაზე

რომი, 23 აპრ. მილანის ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონი საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. პავილიონს ყოველდღე ათვალიერებს 70.000-მდე კაცი. (ადს).

იაპონიის პოლიტიკა

ტოკიო, 23 აპრილი. „ძი-ძი" აცხადებს, რომ ახალ კაბინეტმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ჩინეთის საკითხში. თვით მილიტარისტული „კოკუმინ"-იც კი, რომელიც გმობდა პასიურ პოლიტიკას ჩინეთში, აცხადებს. „წინდაუხედავი სამხედრო ზომები სრულებითაც არ გამოხატავს იმას, რისკენაც ჩვენ მივისწრაფით". (ადს).

ინგლისის მეფის „საჩუქარი" ჩინელებს.



„მეფის მეოცდახუთე ბატარეის ჯარისკაცები ზარბაზანში დებენ ყუმბარას წარწერით—„ჩინეთს", ასეთი წარწერა აქვს ამ სურათს, რომელიც მოთავსებულია ერთ-ერთ ინგლისურ ჟურნალში. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა იციან, რომ ამგვარი „საჩუქრებით" ინგლის-ამერიკელმა იმპერიალისტებმა ნანკინში 2.000 ჩინელი ამოჟლიტეს.

ეკონომიური კონფერენცია

პარიზი, 23 აპრ. ჰავასის სააგენტო ჟენევიდან იუწყება:

„ამ ცოტა ხნის წინად მიღწეული რუსეთ-შვეიცარიის შეთანხმება აყენებს საკითხს საბჭოების მონაწილეობის შესახებ ჟენევის კონფერენციებზე, კერძოდ, ეკონომიურ კონფერენციაზე, რომელიც იხსნება მაისში. შესაძლოა აგრეთვე, რომ ერთა ლიგის ზოგიერთი წევრები შეეცდებიან დაითანხმონ მოსკოვი ხსენებულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე". (ადს).

შვეიცის კომპარტიაში

ბერლინი, 23 აპრილი. შვეიცარიის კომპარტიის ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტი შესდგება 23 კაცისაგან, მათ რიცხვში—16 ქარხნის მუშა. ცეკას დამფუძნებელ კრებაზე არჩეულ იქნა პარტიის პოლიტბიურო ბელტის, ბიზერის და ბოდემანის მონაწილეობით. (ადს).

კომუნისტების დევნა

გერმანიაში

ვენა, 23 აპრილი. კომუნისტების დეპუტატი გერნლე და რემედასის ვიურტემბერგის სექციის მდივანი დააპატიმრეს ვიურტემბერგის „ზიუდეიჩე არბეიტერ ცეიტუნგ"-ში საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისადმი და პოლიტიკურ პატიმრებისადმი მისასალმებელ წერილის გამოქვეყნებისათვის. დაპატიმრებულთ ბრალდებათ „მზადება სახელმწიფო ღალატისათვის". (ადს).

პოლონეთში

ვარშავა, 23 აპრ. ბრომბერგიდან იუწყებიან, რომ პოლიციამ დააპატიმრა კომპარტიის ადგილობრივ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრები. პოლიცია ამტკიცებს, რომ მან დააპატიმრა კომპარტიის პომორიის კომიტეტის 4 წევრი. (ადს).

ამხ. ჟ. დორიო

საფრანგეთის კომპარტიის ერთი ლიდერთაგანი, დეპუტატთა პალატის წევრი, რომელსაც პასუხისგებაში აძლევს საფრანგეთის მთავრობა აგიტაციისათვის კოლონიებში.

იაპონიის პარლამენტში

პარლამენტის სესია

ტოკიო, 23 აპრილი. შიმბუნ რენგოს საგენტო იუწყება, რომ 3 მაისს მოწვეულ იქნება იაპონიის პარლამენტის საგანგებო სესია, რომელიც გაგრძელდება 5 დღეს. (ადს).

გაფიცვა პარიზში

პარიზი, 23 აპრილი. სიტრენის საავტომობილო ქარხანაში სამუშაო ხელფასის გაცემის დროს მოულოდნელად გამოუცხადეს მუშებს სამუშაო ხელფასის დაკლების შესახებ. 8 ათ. მუშამ დაუყოვნებლივ შესწყვიტა მუშაობა. მუშაობის შეწყვეტის საპასუხოდ ადმინისტრაციამ დახურა ქარხანა და გამოაცხადა, რომ მუშაობა განახლდება ორშაბათს და რომ მუშების ნაწილი არ იქნება დაშვებული სამუშაოზედ. (ადს).

ფაშისტების შურისძიება

განაჩენი ძანიბონის საქმეზე

რომი, 23 აპრილი. სპეციალურმა ტრიბუნალმა ძანიბონის და სხვების საქმეზე გამოიტანა განაჩენი: ძანიბონის, კაპელოს და ურსელს (უკანასკნელის დაუსწრებლად) მიუსაჯეს —30 წლის, დუჩის —12 წლის, ნიკოლოზის და კოლიგარისს —10 წლ. და რივას—7 წლის ციხე. (ადს).

მენშევიკების ხრიკები

არჩევნების წინ

ვენა, 22 აპრილი. ბურგენლანდში (ავსტრია) საარჩევნო კომისიამ აკრძალა კომპარტიის მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში, რის საბაბადაც იყენებენ იმას, რომ თითქოს კომპარტიამ ვერ შეაგროვა ამომრჩეველთა საჭირო რაოდენობა. სინამდვილეში კომისიამ, რომელიც სოციალ-დემოკრატებისაგან შესდგება, გადამალა კომუნისტური სიის ნაწილი. კომპარტიას განზრახული აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე გაასაჩივროს საპარლამენტო არჩევნები ბურგენლანდში. (ადს).

აფეთქება მაღაროში

ოსლო, 23 აპრ. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ კუნძულ შპიცბერგენზე კინგსბეის მახლობლად ნახშირის მაღაროებში მოხდა გაზის დიდი აფეთქება. აფეთქების დროს დაიღუპა 4 მუშა. (ადს).

სხვადასხვა

ქარიშხალი

ლონდონი, 22 აპრილი. ფორ-დე-ფრანსში (მარტინიკის კუნძული) ქარიშხლმა გამოიწვია დიდი წყალდიდობა და დაანგრია სახლები. შეწყვეტილია სატელეგრაფო კავშირი. ქალაქის უდიდესი ნაწილი წყალმა დაფარა. ზარალი დიდია. (ადს).

მისისიპის ადიდების შედეგი

ლონდონი, 22 აპრილი. „დეილი მეილის" ცნობით, მისისიპის ადიდების გამო უსახლკაროდ დარჩენილთა რიცხვი აღემატება 60.000 კაცს. წყალმა დაფარა 5.000 კვ. მილი. დაზარალებულთა დასახმარებლად გაგზავნილია სპეციალური მატარებელი 18 მოტორიანი ნავით. ნავები დანიშნულია (არკანზასი) სადაც რამდენიმე ასეული მცხოვრები წყალმა მოსწყვიტა დანარჩენ არა-მარეს.(ადს).

ქარიშხალი

ლონდონი, 21 აპრილი. ოპრინგფილდის ბირჟის ცნობით, ქარიშხალის დროს შტატ ილინოისში დაიღუპა 30 კაცი და დაიჭრა 100 კაცი. (ადს).

ქარიშხალი ავსტრალიაში

ლონდონი, 21 აპრილი. სიდნეიდან მიღებული ცნობით, სიდნეის რაიონს გადაუარა არაჩვეულებრივმა ქარიშხალმა, რომელმაც იმსხვერპლა 6 კაცი. ნივთიერი ზარალი დიდია. (ადს).

ისტორიული კონგრესი პარიზში

ლონდონი, 21 აპრილი. პარიზში კოლეჟ დე ფრანსში გაიხსნა საერთაშორისო ისტორიული კონგრესი. პროგრამის მთავარი საგანია ქრისტიანობის ისტორია. (ადს).

ტრამვაების დაჯახება

ლონდონი, 21 აპრილი. ჰააგაში მოხდა ტრამვაის დაჯახება. დაჭრილია ბევრი, მათ შორის სამი მძიმედ არის დაჭრილი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სადაზღვეო გადასახადის გადახდის დაგვიანებისათვის

მოსკოვი, 23 აპრილი. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა პროკურატურას, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება - დაწესებულებების პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი არ მიიღებენ საჭირო ზომებს სადაზღვეო გადასახადის 3 თვეზე მეტ დამგვიანებელთა წინააღმდეგ, მისცენ ისინი პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის მე-133 მუხლის ძალით. (ადს).

საელჩოს თანამშრომელთა დაბრუნება

მოსკოვი, 23 აპრილი. საბჭოთა კავშირის საქმეებში რწმუნებული ჩინეთში ამხ. ჩერნიხი ჩამოვიდა საელჩოს თანამშრომლებითა და მათი ოჯახებით. (ადს).

წყალდიდობა

სვერდლოვსკი, 23 აპრილი. წყალდიდობის გამო, შეწყდა მიმოსვლა ტუმენის ხაზის ზოგიერთ უბნებში. (ადს).

მინის ქარხნის დათვალიერება

ვლადიმირი, 23 აპრილი. გაზ. „პრიზივ"-მა დაასრულა მინის უდიდესი ქარხნის დათვალიერება გუს - ხრუსტალნოიაში. დათვალიერებამ მრავალი ნაკლულოვანება აღმოაჩინა. ქარხნის დათვალიერებამდე 1300 მუშაზე ითვლებოდა მხოლოდ 6 მუშკორი. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო 541 კაცმა. შეტანილია 160 საქმიანი წინადადება. საბოლოო საწარმოო თათბირზე მრავალმა მუშამ მოიყარა თავი. რამდენიმე საათის განმავლობაში გარჩეულ იქნა 26 წინადადება, კამათში მონაწილეობა მიიღო 104 კაცმა. იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად გატარდა ცხოვრებაში თათბირზე მიღებული წინადადებები, რედაქციას განზრახული აქვს მოაწყოს რამდენიმე გამგზავრება ქარხანაში. (ადს).

რედაქტორების თათბირი

მოსკოვი, 22 აპრილი. 21 და 22 აპრილს ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების რედაქტორების თათბირზე ამხ. კნორინმა გააკეთა მოხსენება ზეპირი და ბეჭდვითი აგიტაციის შესახებ ფასების დაკლების კამპანიასთან დაკავშირებით. მოხსენება მასიური მუშური გაზეთის „კოპეიკა"-ს შესახებ, მოხსენება ზეპირი და ბეჭდვითი აგიტაციის ამოცანებისა და წარმოების რაციონალიზაციისთვის ბრძოლის შესახებ გააკეთა ამხ. გუსევმა. ყველა 3 მოხსენების შესახებ გაიმართა გაცხოველებული კამათი. ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება რაციონალიზაციის საკითხის განხილვისაგან მიღებულ მასალებს გამოიყენებს იმისათვის, რომ ცალკე წიგნაკი გამოსცეს ამ თემაზე. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

რემედასის ყრილობა

ნახიჩევანი, 23 აპრილი. დღეს გაიხსნა რემედასის მეორე საოლქო ყრილობა. მონაწილეობას იღებს 100 დელეგატი. ყრილობამ მოისმინა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და აზერბეიჯანის რემედასის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია პროტესტი და აღშფოთება შანხაის მუშათა დახვრეტის წინააღმდეგ. (ადს).

სომხეთი

კოოპერატიულ მუშაკთა გადასამზადებელი კურსები

ერევანი, 23 აპრილი. „აიკოოპი" კამარლიუში ხსნის სადუქნო კომისიების წევრთა და პასუხისმგებელ ნოქართა გადასამზადებელ კურსებს. კურსები დააკმაყოფილებენ ადგილობრივ მოთხოვნილებებს.

24 აპრილს ვაღაშაპატში იხსნება დაბალი სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობების, სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა და მოანგარიშეთა ერთკვირეული გადასამზადებელი კურსები. (ადს).

პურის ქარხანა

ერევანი, 23 აპრილი. სომხეთის ეკონომიურმა თათბირმა ამიერ - კავკასიის სახ. კომ. საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ ერევნის ბანკს მიეცეს კრედიტი 109.446 მან. რაოდენობით. კრედიტი გამოთხოვილია პურის ქარხნის ასაგებად სადგურის მახლობლად ერევანში. წარმოდგენილი ხარჯთ - აღრიცხვის მიხედვით მექანიკური ფურნის გადაკეთება პურის ქარხნად გამოიწვევს შემდეგ ხარჯებს: 61.090 მან. მანქანების შეძენა, 32.929 მან. დიდი შენობის აგება პურის მანქანებისათვის, 15.427 მან. სამონტაჟო მუშაობისათვის. (ადს).

მიწადმოწყობა

ერევანი, 23 აპრილი. სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკი მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს მიწადმოწყობის სამუშაოებისათვის მესამე და მეოთხე კვარტალში გაიღებს 40.000 მან. მიმდინარე წლიდან მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი შეუდგა შინა - სასოფლო მიწადმოწყობას. სოფელთა - შორისო მიწადმოწყობა მთელ სომხეთში უკვე დამთავრდა. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

მექსიკის ნავთის მრეწველობა.

1922 წლიდან დაწყებული ნავთის მოპოება მექსიკაში შეუჩერებლად კლებულობს. გასულ 1926 წ. ამოღებული იქნა 90.420.973 ბარრელი (ბარრელი 13 ვედრო) ნავთი, ნაცვლად 15.514.700 ბარრელისა 1925 წ., რაც ნიშნავს ნავთის ამოღების შემცირებას 25.093.727 ბარრელით მარტო ერთი წლის განმავლობაში.

ნავთის ამოღების შემცირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა დამოკიდებულების გამწვავებამ მექსიკის მთავრობასა და ამერიკის ნავთის მრეწველებს შორის. ნავთის მრეწველები უკმაყოფილო არიან მექსიკის მთავრობის მიერ გამოცემული კანონით, რომლის მიხედვით მიწის წიაღი სახელმწიფოს საკუთრებად ითვლება. უკანასკნელ წლებში ამერიკელი ნავთის მრეწველები ერიდებოდენ კაპიტალების დაბანდებას მექსიკაში, რომლის ნაცვლად უპირატესობას აძლევდენ ვენეცუელას. ამ პატარა რესპუბლიკის დიქტატორმა გომესმა მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა ნავთის მრეწველებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან, როცა „კანონი წიაღის შესახებ" ძალაში შევიდა, ძლიერ გაფართოვდა მოქმედება იმ კომპანიების, რომლებიც დაემორჩილენ ამ კანონს. პირველი იანვრიდან 10 თებერვლამდე მექსიკის მთავრობამ გასცა 114 ნებართვა ახალი ჭაბურღილების ამოღებაზე.

ყველაზე მეტი ნებართვები მიიღეს ინგლისის კომპანიებმა.

გერმანიის მენშევიკური ახალგაზრდობის კავშირი იშლება

გერმანიის მენშევიკური ახალგაზრდობის ორგანიზაციების დაშლის პროცესი ძლიერდება. ს.-დემოკრატიული ახალგაზრობის საუკეთესო ნაწილი უფრო ხშირ-ხშირად და საფუძვლიანად აკრიტიკებს პოლიტიკას სოც-დემოკრატიული ახალგაზრდობის ხელმძღვანელ ფირებისას, რომლებიც ახალგაზრდობის პროლეტარულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მაგიერ ახალგაზრდობის ბურჟუაზიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ.

დაშლის ამ ტენდენციამ განსაკუთრებით ნათელი გამოხატულება ჰპოვა სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ბერლინის კონფერენციაზე, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ შესდგა. რაიონული ორგანიზაციების [illegible] კონფერენციის [illegible] ოპოზიციამ ჯერ კიდევ [illegible] ორგანიზაციის [illegible] აკრიტიკებდა კავშირის ახლანდელ პოლიტიკასა და ხელმძღვანელობას და კატეგორიულად მოითხოვდა ახალგაზრდობის ბურჟუაზიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შეწყვეტას.

ოპოზიციამ კონფერენციაზე მოითხოვა ერთიანი ფრონტის შექმნა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან.

ორგანიზაციის რაიონულმა კომიტეტმა კონფერენციაზე მოახერხა, რომ ოპოზიციის ეს წინადადება უარყოფილ იქნა. კომიტეტი ამ „გამარჯვებით" არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა რაიონული კომიტეტის ხუთი ოპოზიციონურად განწყობილ წევრის გამორიცხვა ორგანიზაციიდან. კონფერენციის 24 დელეგატმა იქვე, სხდომაზე, თანაგრძნობა გამოუცხადა გარიცხულებს და მათთან ერთად მიატოვა კონფერენცია.

სოც.-დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის მოღვაწეობა სავსებით და მთლიანად წააგავს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობას. ეს ნათელი შეიქნა იმ დამოკიდებულების მაგალითზეც, რომელიც რაიონულმა კომიტეტმა გამოიჩინა ადგილობრივი ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს „მშრომელი ახალგაზრდობის კომიტეტის" მუშაობაში. ეს კომიტეტი იბრძვის მშრომელი ახალგაზრდობის მთლიანი ფრონტისათვის და კავშირი აქვს მშრომელთა საიმპერიო კომიტეტთან (რომელიც მშრომელთა კონგრესზე იქნა არჩეული). იმ ადგილობრივი ორგანიზაციების დელეგატები, რომლებიც „მშრომელი ახალგაზრდობის კომიტეტებთან" თანამშრომლობენ. რაიონული კომიტეტის მოთხოვნით არ იქნენ დაშვებული კონფერენციაზე.

მუშათა მოძრაობა

ინგლისის მემაღაროეთა მთლიანი კავშირის შექმნის პროექტი.

ინგლისის მემაღაროეთა ფედერაცია წარმოადგენს ცალკე ფედერაციების გაერთიანებას. ადგილობრივი ფედერაციები სარგებლობენ თითქმის დამოუკიდებელი ორგანიზაციებას უფლებებით.

თავის-თავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა იწვევს ინგლისელ მემაღაროეთა ძალების დაქსაქსვას. სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი იმის, რომ მემაღაროეთა გაფიცვის დროს, ზოგიერთი ლიდერები, მაგალითად, მოღალატე სპენსერი, გამოვიდენ ისეთი წინადადებებით, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ფედერაციის უმრავლესობის პოლიტიკას.

ჯერ კიდევ მემაღაროეთა გაფიცვის დროს წამოიჭრა მემაღაროეთა ერთი მთლიანი, სრულიად ინგლისის ორგანიზაციის დაარსების აზრი. ამ აზრმა, ამჟამად, მემაღაროეთა უმცირესობის (მემარცხენეები) ღონისძიებების წყალობით, კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა მემაღაროეთა სრულიად ინგლისის გაერთიანების ორგანიზაციის შექმნის პროექტში.

მემაღაროეთა მთლიანი გაერთიანების მოწყობის პროექტი გულისხმობს შემდეგ საორგანიზაციო პრინციპებს:

კავშირის ძირითად ორგანიზაციას წარმოადგენენ მაღაროს კომიტეტები. მაღაროს კომიტეტების თანამდებობის პირებს ირჩევენ ერთი წლის ვადით მემაღაროეთა საზოგადო კრებებზე.

კავშირის შემდგომ ინსტანციას წარმოადგენენ რაიონული კომიტეტები, რომლებიც აერთიანებენ განსაზღვრული რაიონის ან რომელიმე წარმოების მაღაროების კომიტეტებს (საწარმოო პრინციპის მიხედვით). კავშირის რაიონული ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს რაიონის თანამდებობის პირთა და რაიონში გაერთიანებულ ყველა მაღაროს კომიტეტების წარმომადგენლების კრება.

რაიონული კრებები იმართება ყოველთვიურად. რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე, როგორც თანამდებობის პირებს, ირჩევენ მაღაროების კომიტეტების საზოგადო კრებებზე.

კავშირის ცალკე რაიონული ორგანიზაციები გაერთიანებული იქნებიან საოლქო ორგანიზაციაში, რომლის ხელმძღვანელი ორგანო იქნება საოლქო კომიტეტი. საოლქო ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საოლქო კონფერენცია. საოლქო კონფერენცია დგება საოლქო კომიტეტის წევრებიდან და მაღაროს კომიტეტების წარმომადგენლებისაგან (თითო წარმომადგენელი თითეულ მაღაროს კომიტეტიდან). საოლქო კონფერენციები იმართება სამ თვეში ერთჯერ. საოლქო კომიტეტის თანამდებობის პირებს — თავმჯდომარეს, მდივანს, ხაზინადარს,—ირჩევენ კენჭის ყრით, საოლქო ორგანიზაციის ყველა წევრები. საოლქო კომიტეტი სდგება რაიონების წარმომადგენლობის პრინციპის მიხედვით — თითეული რაიონი კავშირის თითეულ 6.000 წევრზე გზავნის თითო წარმომადგენელს საოლქო კომიტეტში.

მთელი ინგლისი იყოფა კავშირის 9 საოლქო ორგანიზაციად.

სრულიად ინგლისის მემაღაროეთა კავშირის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ნაციონალური კონგრესი, რომელიც ყოველ 6 თვეში იკრიბება.

კონგრესის დელეგატებს ერთი წლის ვადით (ორ კონგრესზე დასასწრებათ) ირჩევენ რაიონები; წარმომადგენლობის ნორმა—თითო დელეგატი ყოველ 10.000 წევრზე. თითეული დელეგატის ხმების რაოდენობა განისაზღვრება კავშირის წევრების იმ რიცხვით, რომელსაც ის წარმოადგენს, სახელდობრ,—ერთი ხმა ათას წევრზე. რაიონებს შეუძლიათ უკანვე გამოიწვიონ (გამოსცვალონ) ნაციონალურ კონგრესზე გაგზავნილი დელეგატები.

ერთი ნაციონალური კონგრესიდან მეორე ნაციონალურ კონგრესამდე აღმასრულებელი ხელისუფლება იმყოფება კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ საბჭოს ხელში. ცენტრალურ აღმასრულებელ საბჭოს ირჩევენ სამი წლის ვადით. არჩევნებში მონაწილეობას იღებენ კავშირის ყველა წევრები. კენჭის ყრა ხდება საოლქო ორგანიზაციების მიხედვით. თითეულ 50.000 წევრზე აღმასრულებელ საბჭოში იგზავნება ერთი წარმომადგენელი. საოლქო კონფერენციებს შეუძლიათ შეუწყვიტონ რწმუნების ვადა ოლქის წარმომადგენელს აღმასრულებელ საბჭოში; მანდატის საბოლოოდ ჩამორთმევის საკითხი წყდება კავშირის საოლქო ორგანიზაციის ყველა წევრების კენჭის ყრით. რაც შეეხება კავშირის უმაღლესი თანამდებობის პირებს (თავმჯდომარე, მდივანი, ხაზინადარი). მათ ირჩევს არა აღმასრულებელი საბჭო, არამედ მემაღაროეთა მთელი მასა (კენჭის ყრის საშუალებით).

ასეთია, პროექტის მიხედვით, ინგლისის მემაღაროეთა მომავალი მთლიანი ორგანიზაციის სტრუქტურა. აყენებს რა მემაღაროეთა მთლიანი ორგანიზაციის შექმნის პრინციპს, ამ პროექტს ის უპირატესობაც აქვს, რომ თანამდებობის პირებს ირჩევს უშუალოდ მემაღაროეთა მასა და მასვე შეუძლია მათი უკან გაწვევა.

უმცირესობის პროექტის ყოველმხრივ და დაწვრილებით განხილვა უკვე დაიწყო ინგლისის მემაღაროეთა მასამ. მემაღაროეთა მასა იწონებს მთლიანი ორგანიზაციის შექმნის პროექტს. ახალ პროექტს მხარს უჭერს კუკი და აგრეთვე მემარცხენე მოძრაობის მთელი რიგი გამოჩენილი ლიდერები. ახალი კავშირის შექმნის პროექტი განხილულ იქნა აგრეთვე მემაღაროეთა საოლქო და ადგილობრივი კომიტეტების მიერ შოტლანდიაში, დერჰემში და ნოტინგამშირში და ყველგან მოწონებული იქნა. პროექტის ბედი საბოლოოდ გადაწყდება მემაღაროეთა სრულიად ინგლისის კონფერენციაზე.

ა. ტ.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

მდგომარეობა ჩინეთში.—იაპონიის ახალი მთავრობა.—რაპალოს ხელშეკრულების შეურყევლობა.—საბჭოთა კავშირი და ერთა ლიგა.—მუსოლინის ღირსეული მოწაფე.

ბრძოლა რევოლიუციასა და კონტრ-რევოლიუციას შორის ჩინეთში გაჩაღებულია. ხანკოუს მთავრობის ჯარებმა შეტევა დაიწყეს ნანკინის წინააღმდეგ, სადაც მოღალატე ჩან-კაი-შიმ ახალი მთავრობა შეადგინა. ჯარების უმრავლესობა ხანკოუს მხარეზეა. ბრძოლის შედეგი პირველ ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებენ გომინდანის მემარცხენე ფრთა და კომპარტია თავის რიგების შემჭიდროებას, აშკარა რეაქციონურ ფენების გარიყვას, მშრომელთა ფართე მასების და მოსახლეობის ყველა იმ ელემენტების მთლიანი სამხედრო ფრონტის შექმნას, რომელთაც გულწრფელად სწადიათ ქვეყნის განთავისუფლება მილიტარიზმისა და იმპერიალისტების ბატონობისაგან და შიგნით დემოკრატიული რეფორმების გატარება. დაყოვნება, გაუბედაობა და მერყეობა ამ საქმეში რევოლიუციის დასამარება იქნებოდა. ამავე დროს ცხადია, რომ საჭიროა დიდი ტაქტის გამოჩენა, რომ არ მოხდეს გათიშვა განმანთავისუფლებელ ბრძოლის მოზიარე ჯგუფებში, რაც ჩან-კაი-შის და ჩან-ძო-ლინს გაუადვილებდა თავიანთ მიზნის მიღწევას.

მემარცხენე ელემენტებს, ყველაფერი ეს შეგნებული აქვთ და ამ მიმართულებით კიდეც მუშაობენ.

მეორე მხრით, რევოლიუციის ბედს განსაზღვრავს იმპერიალისტების დამოკიდებულება შექმნილ მდგომარეობისადმი. მოინდომებენ ისინი ჩან-კაი-შის ღალატის გამოყენებას თავისი ძველი ბატონობის სავსებით აღდგენისა და უფრო განმტკიცებისათვის და რევოლიუციის საბოლოო განადგურებისათვის, თუ „დაკმაყოფილდებიან" თავის წინანდელი უფლებების და პრივილეგიების შეკვეცით, რომ პირველ მიზნისათვის გამოკიდებით ყველაფერი არ დაკარგონ,—ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში ინგლისი სწორედ „პროგრამა-მინიმუმ"-ის განხორციელებას ცდილობს. იგი ისწრაფის ხანკოუში დაკარგულ პოზიციების კვლავ დაბრუნებას და საერთოდ ჩინეთის ხალხის ისე „მოჰკუიანებას", რომ შემდეგში არ გაბედოს უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ ხმის ამოღება. „მანჩესტერ გარდიენი" ამისგან აფრთხილებს ინგლისის მესვეურთ: „დღითი-დღე უფრო საეჭვოდ ხდება,—სწერს ის,—შესძლებს თუ არა ჩემბერლენი (?!) წინაღუდგეს სამხედრო სამინისტროს და შანხაიში მყოფ ინგლისურ წრეების ზეგავლენას. თუ ჩვენ ჩაბმული ვიქნებით ახალ ომში ჩინეთთან, მაშინ ჩვენ მხოლოდ გავიმეორებთ წარსულის სამწუხარო შეცდომებს და გავადიდებთ სიძნელეებს მომავალში". რა თქმა უნდა, ზღაპარია, თითქო ჩემბერლენი რაიმე „ლიბერალურ" პოლიტიკას ადგეს ჩინეთის მიმართ, როგორც ხსენებული გაზეთი ცდილობს მოგვაჩვენოს. მაგრამ აქ საგულისხმოა ის, რომ ინგლისის იმპერიალიზმი აგრძელებს ჩინეთის სამხედრო ინტერვენციის განხორციელების ცდას.

ამისათვის ის ერთი მხრით სულ უფრო აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს ჩინეთში, რომ გადამწყვეტ მომენტში იანძის ნაპირების ბლოკადა მოახდინოს და ამით გაუადვილოს ხანკოუს წინააღმდეგ ბრძოლა ჩან-ძო-ლინსა და ჩან-კაი-შის, ხოლო მეორე მხრით განაგრძობს ერთიანი იმპერიალისტური ფრონტის შექმნას ინტერვენციის საკითხში. როგორც ევგ. ჩენსადმი ნანკინის ამბების გამო მიმართულ პირველ ნოტის შესახებ წარმოებდა ვაჭრობა იმპერიალისტურ მთავრობებ შორის, ისე ეხლა, ჩენის არა დამაკმაყოფილებლად აღიარებულ პასუხის შემდეგ, მათ შორის კვლავ გაჩაღებულია მოლაპარაკება უფრო ენერგიულ გამოსვლებისათვის, რომ სავსებით იქნეს დაკმაყოფილებული მათი ცნობილი მოთხოვნები. ამ მეორე ნოტის გაგზავნა გვიანდება აგრეთვე იმის გამო, რომ იმპერიალისტები უცდიან მოვლენათა განვითარებას რევოლიუციის შინაურ ფრონტზე. ერთი რამ აშკარაა, რომ იმპერიალისტების შეტევა ნაციონალურ მოძრაობაზე, ჩან-კაი-შის გადასვლა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში და ამით იმპერიალისტების მხარეზე, უეჭველად გააძლიერებს მშრომელთა მთლიან ფრონტს მათ წინააღმდეგ.

⁂

ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია რომ ეხლაც შესაძლებელი გახდეს იმპერიალისტების ერთიანი ფრონტი შეიარაღებული ძალით ჩინეთის დამორჩილების საქმეში. ეს ერთიანობა მაინც და მაინც არ სჩანდა ჩენისადმი გაგზავნილ პირველ ნოტაში, ის უფრო ამ მთლიანობის შთაბეჭდილების შექმნას ისახავდა მიზნად. ყოველ შემთხვევაში, ჩემბერლენის პირვანდელმა ულტიმატურ ხასიათის წინადადებებმა ვერ ჰპოვეს მასში გამოხატულება. ამასთან, ნოტის არა კოლექტიურმა, არამედ თვითეულ სახელმწიფოს მიერ ცალ-ცალკე გაგზავნამ მოწმობდა, რომ ამერიკა და იაპონია ბოლომდე არ მიყვებიან ინგლისს, თვითეულ მათგანს სურს შეინარჩუნოს დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა და ისინი დიდ ხალისს არ იჩენენ ლონდონის იარაღად გახდენ. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავთ ინტერესთა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობს სამ დიდ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის (ინგლისი, ამერიკა, იაპონია) და რომელთა შერიგება საბოლოო ანგარიშით შეუძლებელია.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელ იმპერიალისტებს ჩინეთის ინტერვენციის საკითხში იაპონიასთან შეთანხმების მიღწევის იმედი გაუძლიერა ახალი მთავრობის შედგენამ იაპონიაში; რეაქციონური „მორნინგ პოსტი" წერს, რომ ტანაკას მთავრობის შექმნა იაპონიაში გამოიწვევს იაპონიის გადამჭრელ პოლიტიკას ჩინეთში. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ვაკაცუკის კაბინეტის (კენსეკაის პარტია) დაცემა გამოწვეულია უმთავრესად ქვეყნის შინაურ ეკონომიური—პოლიტიკური კრიზისით. მისი მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა მტკიცე. მას უმრავლესობა არ გააჩნდა პარლამენტში და ძალა-უფლების შესანარჩუნებლად ის იძულებული იყო დროებით ბლოკების შექმნის მანევრი ეწარმოებია. პარლამენტის მთავარ პარტიებს შორის (კენსეკაი მეტ წილად სამრეწველო ბურჟუაზიის ორგანიზაცია, სეიუკაი—აგრარულ-ფეოდალური ელემენტების, კოლონიალურ ბურჟუაზიის და სამხედრო კასტის გაერთიანება, სეიუჰონტო—ყველაზე უფრო რეაქციონური ჯგუფი ქვედა პალატაში—მემარჯვენე მემამულე—მრეწველების და მემამულე—ვაჭრების ინტერესების დამცველი) მკაცრი ბრძოლა სწარმოებს, რასაც ასაზრდოვებს ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისის და კლასთა ბრძოლის გამწვავება იაპონიაში.

ეს კრიზისი კარგა ხანია რაც დაიწყო. იაპონია კარგავს მსოფლიო ომის დროს საერთაშორისო ბაზარზე მოპოვებულ პოზიციებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ევროპიული სახელმწიფოები ეხლა მას დიდ კონკურენციას უწევენ აქ, მეორე იმიტომ, რომ ჩინეთში, ინდოეთში და სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც იაპონიის კაპიტალმა გზა გაიკაფა წინეთ, საკუთარი მრეწველობა ვითარდება, მესამე იმიტომ, რომ, თუ იაპონიის მრეწველობის პროდუქცია თავის სიაფით წინედ უცხოეთის ბაზარს იპყრობდა, რაც მუშახელის სიაფის შედეგი იყო, ეხლა ამ უკანასკნელ ფაქტორის გავლენა თანდათან კლებულობს, რამდენადაც მუშათა კლასი, რომელიც სულ უფრო ცნობიერდება და ირაზმება, მედგრად იბრძვის თავის ნივთიერ (და მასთან უფლებრივ) მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, და მისი ძველებური ექსპლოატაცია მოუხერხებელი ხდება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 1923 წ. დიდმა მიწის ძვრამ, რომელმაც დაანგრია ტოკიოს და იაკოჰამას რაიონები და აურაცხელი მატერიალური ღირებულება მოსპო, მეტად გააუარესა იაპონიის ეკონომიური მდგომარეობა.

ყველა ამან, გარდა სამრეწველო განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობებისა, როგორიცაა საკუთარი ნედლეულის სიმცირე ან სრული უქონლობა და უცხოეთიდან მისი შემოზიდვის აუცილებლობა, გამოიწვია იაპონიის საგარეო ვაჭრობს საგრძნობი პასივობა, მისი დავალიანება სხვა სახელმწიფოებისადმი, პირველ ყოვლისა ამერიკისადმი და ის ფინანსიური კრიზისი, რომელიც ეხლა იქ მძვინვარებს. კერძოდ ფინანსიური კრიზისი, ფორმოზოს და სხვა ბანკების გაკოტრება, აიხსნება იმითაც, რომ მათ უსახავდენ გადაჭარბებულ, მათ რესურსებთან შეუფარდებელ იმპერიალისტურ მიზნებს, კოლონიალურ ქვეყნების სიმდიდრეთა დაუფლებას, რაც ვიწრო ეკონომიურ-კომერციულ თვალსაზრისით ხშირად საზარალო იყო ამ ბანკების ოპერაციებისათვის.

ასეა თუ ისე, შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა კონსერვატიულ სეიუკაის პარტიამ, რომელმაც დაამხო ვაკაცუკის კაბინეტი და შეადგინა თავისი მთავრობა ბარონ ტანაკის მეთაურობით. როგორი იქნება მისი პოლიტიკა? პირველ ყოვლისა ის მემარჯვენე კურსს აიღებს ქვეყნის შიგნით და შეეცდება მუშათა მოძრაობის ჩახშობას და განზრახულ სხვადასხვა დემოკრატიულ რეფორმების უკუგდებას. რაც შეეხება მის საგარეო პოლიტიკას, უნდა ითქვას, რომ სეიუკაი, თუმცა უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ვაკაცუკი - შიდეხარას „ზომიერების" გამო ჩინეთისადმი, მაგრამ უფრო შესაძლებელია, რომ ტანაკას მთავრობა ვერ გაბედავს ისეთ „სარისკო" ნაბიჯის გადადგმას, როგორც შეიარაღებული ინტერვენცია ჩინეთში. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ გაზ. „ძი-ძი" აფრთხილებს ახალ კაბინეტს განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს ჩინეთის საკითხში; სამხედრო კასტის ორგანო „კოკუმი"-ც კი აცხადებს, რომ უნდა გაურბოდეთ ხელაღებულ სამხედრო ზომებს.

ამასთან ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ არის მოსალოდნელი დამოკიდებულების გართულება საბჭოთა კავშირთან. იაპონიის მესვეურთ კარგად ახსოვთ, თუ რა მარცხი განიცადა მათმა აგრესიულმა პოლიტიკამ ჩვენდამი. ამის შემდეგ მათ თანდათან შეიგნეს, რომ საბჭოთა სახელმწიფოსთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარება აუცილებელია იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების და ეკონომიურ განვითარების ინტერესების თვალსაზრისით. ამას მოწმობს, სხვათა შორის, იაპონიის მიერ აღებული სატყეო კონცესიები შორეულ აღმოსავლეთში, ნავთის და ქვანახშირისა სახალინში. ვიმეორებთ, იაპონიის ინტერესები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან პოლიტიკურ და სამეურნეო დამოკიდებულების განმტკიცებას,—და ტანაკის მთავრობაც იძულებული იქნება ამას ანგარიში გაუწიოს.

⁂

ასე რომ ჩემბერლენს მაინც და მაინც იმედის დამყარება არ შეუძლია იაპონიის ახალ მთავრობაზე, რომლის გამოყენებას, ცხადია, შეეცდება არა მარტო ჩინეთის რევოლიუციის, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ სულ ყოველთვის მარცხდება მისი ცდა, მიმართული ევროპაში ანტი-საბჭოთა მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ. ლონდონის მთავრობის განზრახვას იმ თავიდანვე შეადგენდა სხვათა შორის, გერმანიის ჩათრევა თავის ანტისაბჭოთა კომბინაციებში, მაგრამ აქედან არაფერი გამოუდის რა.

როგორც ვიცით, ხუთი წლის წინედ, 1922 წ. აპრილში, დადებულ იქნა რაპალოს ხელშეკრულება. ეს იყო გენუის კონფერენციის დროს, რომელზედაც პირველად შეხვდენ პირისპირ „სამშვიდობო" მოლაპარაკების საწარმოებლად კაპიტალისტურ სახელმწიფოების და ოქტომბრის რევოლიუციის ქვეყნის წარმომადგენლები მას შემდეგ, რაც პირველთათვის გამოირკვა საბჭოთა რესპუბლიკის იარაღით დამარცხების შეუძლებლობა. მაგრამ ამ შეხვედრის მიზანი, რა თქმა უნდა, იყო არა მეგობრობის ხელის გამოწოდება ჩვენკენ, არამედ გენუის დიპლომატიურ მაგიდასთან საბჭოთა მთავრობის წამოჩოქების მიღწევა, „მშვიდობიანი" გზით არსებითად იმის განხორციელება, რაც მათ ბრძოლის ველზე და იარაღით ხელში ვერ მოახერხეს.

ამ კონფერენციაზე დაშვებულ იქნა გერმანიაც, რომელსაც, მსოფლიო ომში დამარცხებულს და ვერსალის „ზავის" სიმძიმით ქედმოხრილს, იქ უხმო სტატისტის და საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ იარაღის როლი უნდა ეთამაშა ანტანტის მესვეურთა აზრით. სწორედ იმ მომენტში, როცა კონფერენციის ინიციატორები ახალ მზაკვრულ გეგმებს იმუშავებდნენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს მოსასპობად და დამონებულ გერმანიისაგან ტყავის ასაძრობად, ყუმბარასავით გავარდა ცნობა გერმანია-საბჭოთა რესპუბლიკის შეთანხმების შესახებ.

რაპალოს ხელშეკრულება იყო პირველი მძლავრი გარღვევა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ერთიანი ფრონტის, რომელიც მანამდე არსებობდა და რომლის შექმნის ცდა დღემდე გრძელდება. ინგლისს არაფერი დაუკლია, რომ რაპალოს შედეგები გაექარწყლებია. ამ მიზანს ისახავდა ლოკარნოს პაკტი და გერმანიის შეყვანა ერთა ლიგაში. სულ ბოლო დროს, ერთა ლიგის გასულ მარტის სესიაზეც, ეს შეადგენდა ჩემბერლენის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგანს.

მაგრამ რაპალოს ხელშეკრულების შენარჩუნება იმდენად აუცილებელია გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა კავშირთან ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დამყარება ეგრე რიგად საჭიროა მისთვის, რომ გერმანიას არ შეუძლია მაზე უარის თქმა, თუ არ სურს თავის დამოუკიდებელ არსებობას და მომავალს სერიოზული საფრთხე შეუქმნას. ამიტომაა, რომ რაპალოს ხელშეკრულება, მიუხედავად ინგლისელ იმპერიალისტების ცდისა ურყევი რჩება. ამიტომაა, რომ მის ნიადაგზე 1925 წ. დადებულ იქნა სავაჭრო ხელშეკრულება, ხოლო 1926 წ. საგარანტიო პაქტი თავდაუსხმელობის და ნეიტრალიტეტის შესახებ. ეკონომიური დამოკიდებულება ორივე ქვეყანას შორის ღრმავდება, რაც გამოიხატა ოთხას მილიონ მარკამდე, გერმანიის მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ სესხის გახსნაში საბჭოთა მთავრობისათვის და ჩვენი მსხვილ შეკვეთებში გერმანიის ფაბრიკა-ქარხნებისათვის.

5 წელი გავიდა რაპალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში სავსებით ნათელი გახდა მისი უაღრესი მნიშვნელობა ორივე ქვეყნისათვის. ამიტომ გასაგებია, რომ ამხ. ლიტვინოვი, ამ ხუთი წლის შესრულების გამო, შტრეზემანისათვის გაგზავნილ დეპეშაში და შტრეზემანიც თავის პასუხში, აღიარებენ რაპალოს პრინციპების ურყევლობას და აუცილებლად სცნობენ შემდეგშიც ამ პრინციპების მიხედვით გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებას.

⁂

ბოლო ხანებში კიდევ მრავალი სხვა ფაქტები მოგვეპოვება იმის ნათელსაყოფად, რომ საბჭოთა კავშირი თანდათან არღვევს იმ „ჩინურ კედელს", რომელიც ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყნებს კიდევ სურთ შემოგვარტყან. აიღეთ თუ გინდ სულ უკანასკნელი მაგალითი ამ სფეროდან: შვეიცარია—საბჭოთა კავშირის კონფლიქტის ლიკვიდაცია. უეჭველია, რომ ეს ნიშნავს ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური წონის ზრდას.

ამავე დროს, ხსენებულ კონფლიქტის ამოწურვასთან დაკავშირებით, კვლავ ისმება ერთა ლიგასთან საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების საკითხი. როგორც ვიცით, საბჭოთა და შვეიცარიის მთავრობების შერიგებაში დაინტერესებული იყვენ ევროპის ცალკე ქვეყნები, რომ საშუალება მოგვეცეს გავგზავნოთ ჩვენი წარმომადგენლები ერთა ლიგის სხვადასხვა კონფერენციებზე, რომლებიც ჩვეულებრივ შვეიცარიაში იმართება. ეს ერთი მხრივ კიდევ ააშკარავებს, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოების საერთო ფრონტი ჩვენს წინააღმდეგ ძნელი განსახორციელებელია, მეორე მხრივ მაჩვენებელია მათ შორის არსებულ ურთიერთ წინააღმდეგობისა, რის გამო თვითეული მათგანი ცდილობს საბჭოთა მთავრობის მიმხრობას ამა თუ იმ საკითხის გადაჭრის დროს ერთა ლიგის კონფერენციებზე; ბოლოს, შვეიცარია-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარება ზოგიერთებს შეიძლება იმიტომაც სურდათ, რომ ამ გზით ჩაგვაბან ერთა ლიგაში ჩვენი „მოშინაურების" მიზნით.

აქედან, ვიმეორებთ, ერთხელ კიდევ იბადება საჭიროება ერთა ლიგასთან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ. როგორც არა ერთხელ თქმულა, ეს დამოკიდებულება წინანდებურად გადაჭრით უარყოფითია. ერთა ლიგა იყო და არის „დიდ" იმპერიალისტურ სახელმწიფოების იარაღი სხვა ხალხების დასამონებლად და მათზე იმპერიალისტების ძალადობის გასამართლებლად. ამიტომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა კავშირი ერთა ლიგის წევრი არა და ვერ გახდება.

სხვა საქმეა ლიგის მიერ მოწვეულ კონფერენციებზე ჩვენი მონაწილეობის საკითხი. როგორც ვიცით, საბჭოთა მთავრობას ამ მონაწილეობის საშუალებას უსპობდენ კონფერენციების შვეიცარიის ტერიტორიაზე დანიშვნით, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საბჭოთა წარმომადგენელი იქ გადაშლიდა მსოფლიოს ეკონომიურ და პოლიტიკურ გაჯანსაღების ნამდვილ პროგრამას და ამხელდა იმპერიალისტების მახინაციებს, რაც, რა თქმა უნდა, მათთვის სასურველი არ იყო, მეორეც იმიტომ, რომ ჩვენი უარის თქმით კონფერენციაში მონაწილეობაზე გაემართლებიათ მისი თავისთავად აუცილებელი დამარცხება და საბჭოთა კავშირი! მთავრობა გამოეყვანათ ყოველგვარ „უბედურების" მიზეზად.

ეხლა ასეთ ფანდებს უკვე არა აქვს გასავალი. და მოსალოდნელია ჩვენი მიწვევა ლიგის კონფერენციებზე, როგორც ამას ფიქრობს ჰავასის სააგენტო. (იხ. დღევანდელი ცნობა). ასეთი კონფერენციები ჯერჯერობით განზრახულია ორი: ეკონომიური—მომავალ ოთხი მაისისათვის—და განიარაღების—შემოდგომაზე.

ეკონომიურ კონფერენციას მთავარი კაპიტალისტური ჯგუფები, სხვათა შორის, მიზნად უსახავენ საერთაშორისო კარტელების შექმნას და აგრარულ ქვეყნების დამორჩილებას თავისთვის ხელსაყრელ სავაჭრო ტარიფების დაწესებით და ამ ქვეყნების პროტექციონულ სისტემის აუქმებით, რომელი სისტემის მიზანია ნაციონალური მრეწველობის განვითარება და კაპიტალისტურად წინ წასულ სახელმწიფოების ეკონომიურ კონკურენციის ატანა. ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ აქ მოხდება ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შერყევის ცდაც.

რაც შეეხება განიარაღების კონფერენციას, ჩვენ ვიცით, რომ აქედან არაფერი გამოვა. განიარაღების მაგიერად ხდება საყოველთაო შეიარაღების გაძლიერება და საერთოდ ფუჭია ლაპარაკი განიარაღების განხორციელებაზე დღევანდელ იმპერიალისტურ ეპოქაში.

ორივე ამ საკითხის შესახებ (მსოფლიო ეკონომიური გაჯანსაღება და განიარაღება) საბჭოთა ხელისუფლებას აქვს გარკვეული თვალსაზრისი, რომელიც არსებითად განირჩევა კაპიტალისტურ ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხედულებებისაგან და რომელსაც ჩვენ გადავშლით კონფერენციაზე, თუ ჩვენი წარმომადგენლები მაზე მოწვეულ იქნენ. ამასთან თავის თავად ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობა ვერ გახდება რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკის იარაღად, როგორც ეს შეიძლება ვინმეს უნდოდეს.

იტალიის დიქტატორს, ბენიტო მუსოლინის ბევრი მიმდევარი და მოწაფე ყავს. მათ შორის, ეჭვს გარეშეა, უკანასკნელი ადგილი არ უკავია უნგრეთის ეხლანდელ პრემიერს, ბეტლენს. ბეტლენი „ცნობილი" პირია. მან პირველ ყოვლისა სახელი გაითქვა ყალბი ფულების, ფრანგულ ათასფრანკიანების მოჭრით, რომლითაც ერთ დროს ევროპის ფულის ბაზარი აივსო და რამაც ხელი შეუწყო ისედაც დაცლახაკებულ ფრანკის კურსის უფრო დაცემას. ამის გამო „კეთილშობილმა" ბრიანმა ხელიც არ ჩამოართვა მას ერთა ლიგის შარშანდელ სესიაზე.

მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მუსოლინისათვის დიდის ამბით მიეღო რომში ჩასული ყალბი ფულების მჭრელი და იტალიის საპატიო ორდენები ებოძებია მისთვის. ეს იყო დამონსტრაცია საფრანგეთის წინააღმდეგ. მართლაც, დადებულ იქნა იტალია-უნგრეთის ხელშეკრულება, რომელიც ამტკიცებს იტალიის გავლენას ბალკანეთში და ძირეულად არყევს იქ საფრანგეთს პოზიციებს.

მაგრამ დღეს ჩვენ უფრო სხვა რამ გვაინტერესებს. ბეტლენს ძალიან მოსწონებია (ოღონდაც!) ფაშისტური რეჟიმი. მისი განცხადებით, „უნგრეთი შეეცდება გადმოიღოს ფაშიზმიდან ყველაფერი სასარგებლო, განსაკუთრებით ეკონომიურ და სოციალურ დარგებში". ეს „სასარგებლო", როგორც ვიცით მდგომარეობს თეთრ ტერორის მძვინვარებაში, მუშათა მოძრაობის განადგურებაში მათრახით, ხიშტით; სახრჩობელებით. და რა საჭირო იყო ბეტლენისათვის მმართველობის ასეთი „მეთოდების" შესათვისებლად იტალიაში გამგზავრება. ყველაფერი ეს ხომ თვით უნგრეთში ზედმეტი სიუხვით ტარდება!

ბეტლენი ამითაც არ კმაყოფილდება, როგორც „დეილი ჰერალდ"-ი იტყობინება, ბეტლენს მუსოლინთან ჰქონია არაოფიციალური მოლაპარაკება უნგრეთში მონარქიის აღდგენის შესახებ და ფაშისტების მამამთავარს კიდეც აღუთქვამს თავის ღირსეულ მოწაფისათვის ამ საქმეში მხარის დაჭერა. ამგვარად, უნგრეთის მეთაურები ემზადებიან მონარქიული გადატრიალებისათვის. სიმართლე რო ითქვას, უნგრეთის ეხლანდელი რეჟიმი რითი სჯობია თუგინდ თვითმპყრობელურ მონარქიას!

ბეტლენის რომში ჩამოსვლის გამო გაზ. „ტრიბუნა" წერდა: „ორივე ქვეყანას ერთნაირად აქვთ წარმოდგენილი ევროპის ხსნა ბოლშევიზმისაგან". მუსოლინების აზრით, ეს „ხსნა" მდგომარეობს ფაშისტურ დიქტატურის დამყარებაში.

მაგრამ ფაშისტურ ტალღასთან ერთად ძლიერდება მუშათა კლასის და საერთოდ მშრომელ მასების რევოლიუციონური მოძრაობა, რომლის ჩახშობას, ცხადია, ბეტლენები ვერ მოახერხებენ. პროლეტარიატის ჯალათების გასამართლების დღე არც ისე შორსაა.

ბ. ქ—ლი.

პარტიული ცხოვრება

საქ. კომ. პ. (ბ) საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტებს, ახალციხის, ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის, შორაპნის, ლეჩხუმის, დუშეთის, გორის, სიღნაღის, თელავის და ბორჩალოს სამაზრო კომიტეტებს.

29 აპრილს უნდა მოეწყოს საოლქო, სამაზრო, საქალაქო კომკავშირულ აქტივთან გაერთიანებული აქტივთა კრება (თემკომის მდივნების, წევრების, აღმასკომის კომუნისტ თავმჯდომარეების).

მოხსენება ჩინეთის რევოლიუციის შესახებ—მომხსენებლები იგზავნებიან საქ. კომპარტიის ცეკას მიერ.

ც. კ. აგიტპროპი.

კომუნისტები სამეურნეო მუშაობაზე

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ კომუნისტების უპარტიო მასაზე გავლენის განმტკიცების შესახებ, მხედველობაში გვაქვს არა მარტო პარტიის წევრების პოლიტიკური და კულტურული მომზადების დონე, არამედ მათი პრაქტიკული, სამეურნეო საქმიანობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენი ქვედა ქსელის ორგანიზაც. რომლებიც ყველაზე ახლო დგანან პარტიის წევრების ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ნაკლებ აქტიობას იჩენენ. ბევრი პარტუჯრედები, არ ადევნებენ თვალყურს თავიანთ წევრების სამეურნეო მუშაობას. თუ ასეთ ნაკლს ადგილი აქვს ქალაქის უჯრედებში, კიდევ უფრო თვალსაჩინოა ის სოფლის ქვედა პარტორგანიზაციებში.

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტის უპარტიო მასაზე გავლენის ზრდისათვის იმას, თუ რამდენათ ენერგიული და ბიჯითი მეურნეა ესა თუ ის კომუნისტი. უნდა ითქვას, რომ ასეთი მეურნე—პარტიულები ძალიან ხშირი შემთხვევაა ჩვენს ორგანიზაციებში და ეს უფრო იმიტომ, რომ პარტია უმთავრესად იზრდება დაზგის მუშების და მეურნე ღარიბ და საშუალო გლეხების ხარჯზე. მაგრამ ამავე დროს არიან ისეთებიც, რომელნიც გულაცრუებით ეკიდებიან თავიანთ სამეურნეო საქმეს და ამით ხშირად ჰკარგავენ გავლენას უპარტიოების შორის.

ამიტომ კომუნისტების სამეურნეო საქმიანობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მიზნით პარტუჯრედები თავიანთ წევრების ერთგვარ შემოწმებას უნდა ახდენდენ. ისინი სისტემატიურად უნდა ისმენდენ პარტიის წევრების მოხსენებას იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მათი სამეურნეო საქმიანობა. პარტუჯრედმა უნდა მისცეს თავის წევრს სათანადო ახსნა-დარიგება სამეურნეო საქმიანობის გამოსწორების შესახებ, თუ კი ამას უჯრედი საჭიროდ დაინახავს. პარტუჯრედზე უნდა ისმებოდეს აგრეთვე საკითხი ისეთი კომუნისტების შესახებ, რომელნიც სამეურნეო საქმიანობის დარგში ვერ იჩენენ ან არ იჩენენ სათანადო ფხას და ენერგიას.

გარდა ამისა ზედმეტი არ იქნება, რომ პარტორგანიზაციებმა აღრიცხვაზე აიყვანონ მოწინავე მეურნე კომუნისტები. განსაკუთრებით საჭიროა ეს სოფლად. პარტიის ასეთ წევრებს უჯრედმა მოხსენებები უნდა გააკეთებინოს პარტიულ კრებებზე თავიანთი მუშაობის შესახებ. კომუნისტების სამეურნეო მუშაობის შემოწმება და ამ მუშაობის ხელმძღვანელობა ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისათვის ერთ-ერთ საზრუნავ საგანს უნდა წარმოადგენდეს. თუ ამ საკითხს ზოგიერთი ორგანიზაციები დღემდე სათანადო ყურადღებას არ აქცევდენ, მომავალში ამას ადგილი აღარ უნდა ექნეს.

ლ. ბ—ძე.

პარტგანათლების საქმე ჩვენს თემში

(ავჭალა, თბილ. მ.)

მიმდინარე სამოსწავლო წელს თემში გაიხსნა ოთხი მოძრავი პოლიტ-სკოლა, თბილისის კომიტეტის საგიტ. საპროპაგ. განყოფილებამ პოლიტ-სკოლების მსმენელები უზრუნველჰყო—როგორც ხელმძღვანელობით, აგრეთვე სახელმძღვანელოებით, რაც გამოიხატა სახელმძღვანელო წიგნების და სხვა სასწავლო ნივთების მოწოდებაში. აღნიშნული სასწავლო ნივთები მსმენელებს უფასოდ ურიგდებოდათ, რაც აადვილებდა მეცადინეობას და შეთვისების საქმეს. პირველად დეკემბრის პირველ რიცხვებიდან გაიხსნა ორი მოძრავი პოლიტსკოლა—ერთი ჩამოყალიბდა სოფელ გლდანში, მეორე ზემოავჭალაში. ორივე სკოლა აერთიანებდა 60 მსმენელს. სოციალური მდგომარეობით ყველა გლეხები იყვნენ. მათ რიცხვში ოთხი ქალი. 19 ა. პ. წევრი. 35 კომკავშირელი ექვსი უპარტიო. მეცადინეობა მიმდინარეობდა კვირაში ერთხელ—ორი საათით. მეცადინეობა საუბრის მეთოდით—კითხვა-პასუხით და ახსნა-განმარტებით სწარმოებდა. დასწრება 80 პროცენტს აღწევდა.

15 იანვარს პროგრამა ამოიწურა, რის შემდეგაც მოხდა ორივე სკოლის გამოშვება და მსმენელთა ცოდნის შემოწმება. საერთოდ შედეგები დამაკმაყოფილებელი იყო. კერძოდ გლდანის სკოლამ უფრო კარგი შედეგი მოგვცა—რაც გამოწვეული იყო მსმენელთა დიდი ინტერესით სწავლისადმი. ამ სკოლებში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ გაიხსნა კიდევ ორი მოძრავი სკოლა. ერთი ჩამოყალიბდა წყალ სადენის მუშებთან—მეორე რკინის გზის ლიანდაგის მუშებთან. ორივე სკოლაში მსმენელთა რიცხვი უდრის—70. მათ შორის უმრავლესობა—კომპარტიის წევრებია—დანარჩენი უპარტიო. სოციალური მდგომარეობა—მუშები და გლეხები. ქალები ნაკლებათ მოიპოვება. ორივე სკოლაში მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას ხელს უწყობს ერთი მხრით—თემკომის ხელმძღვანელობა და მეორე მხრით—თვით მსმენელთა პირადი დაინტერესება. განსაკუთრებით წყალსადენის მუშები დიდ ინტერესს იჩენენ მეცადინეობისადმი—სადაც დასწრება 100 პროცენტს აღწევს. ეს გარემოება აძლიერებს შეთვისების საქმეს. და უნდა ითქვას, რომ ეს სკოლა შესაფერის ნაყოფს გამოიღებს. მეცადინეობა დამთავრდება მაისის რიცხვებში. რის შემდეგაც მოხდება მსმენელთა გამოშვება—შეთვისების სათანადო შემოწმებით.

ნ. ფუ—ძე.

დისციპლინა მოისუსტებს

(სადურგლო, საამქრო, მთავარი სახელოსნოები)

ჩვენი უჯრედის მთავარ მტკივნეულ მხარეს დისციპლინის სისუსტე წარმოადგენს. ამ სენიდან კი, როგორც ეს ვიცით, გამომდინარეობს მრავალი ანტიპარტიული დანაშაულობანი. კერძოთ ჩვენს უჯრედში უდისციპლინობამ ჯერ-ჯერობით შემდეგი მდგომარეობა შექმნა. პარტიის წევრებს შორის დაუსრულებელი კინკლაობა, „შენ-ჩემობა", ერთმანეთზე მიწევ-მოწევა და მუქრობა.

ამას გარდა პარტიის ზოგიერთ წევრებს ჩვენი უჯრედიდან ერთობ უყვართ იარაღის ტარება. სამუშაოზედაც კი შეიარაღებული დადიან. ვინ უნდა შეაშინოს კაცმა იარაღით წარმოებაში ან ვისგან უნდა დაიცვას თავი? შეიძლება ეს აიხსნება განსაკუთრებული სიყვარულით იარაღისადმი? შეიძლება ამით ამხანაგებს თავი მოსწონთ და ერთგვარ გმირობათ მიაჩნიათ, როცა წელს იარაღი უმშვენებთ. მაგრამ კომუნისტისთვის ეს ხომ ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ გვწამს იარაღი, როგორც საშუალება მტერთან ბრძოლაში. მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ იარაღის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მშვიდობიან მუშაობაში, როცა კომუნისტს ხელში უნდა ეჭიროს შრომის იარაღი.

პარტიის ცენტრალურმა და ადგილობრივ ორგანოებმა არაერთხელ მიუთითეს კომუნისტებს, რომ იქ, სადაც სამსახურის მიხედვით და სადაც არსებულ პირობების გამო საჭირო არაა იარაღის ტარება, პარტიის წევრებმა ხელი უნდა აიღონ რევოლვერებისა და თოფების ტარებაზე. სჩანს ეს დირექტივა ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია მთავარ სახელოსნოების სადურგლო საამქროს კომუჯრედის ზოგიერთ წევრებს.

საჭიროა მთავარ სახელოსნოების კოლექტივის ბიურომ მეტი ყურადღება მიაქციოს სადურგლო საამქროს უჯრედს. საჭიროა მან მიიღოს ენერგიული ზომები ამ უჯრედების მუშაობის გამოსაცხოველებლად.

ჩიკო.

რა ნაკლი აქვს ქალთა შორის მუშაობას.

(ზუგდიდი).

ქალთა შორის მუშაობა წელს წინა წელთან შედარებით ზუგდიდის მაზრაში უფრო გამოცოცხლებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ-ჯერობით ეს საქმე ისე არ არის დაყენებული, როგორც საჭიროა. ქალთა აქტივობა ძალზე სუსტია, ამის მიზეზია, სხვასთან ერთად, ისიც, რომ ქალებში საკმაოთ არის დარჩენილი ძველი ჩვეულებები. უნდა ითქვას. რომ პარტიისა და კ. კავშირის ადგილობრივი უჯრედები ძალზე მოისუსტებენ ქალთა შორის მუშაობაში. კიდევ მეტი, პარტიის თუ კ. კავშირის ზოგიერთი წევრები არაკომუნისტურად უყურებენ ქალთა შორის მუშაობას. ისინი უკრძალავდენ თავიანთ ცოლებს, თუ დებს სადელეგატო კრებებზე სიარულს. ეს გარემოება აღინიშნა სამაზრო პარტკონფერენციაზე. ამის შედეგია ის, რომ ქალთა შორის მუშაობა სუსტია და მცირეა აგრეთვე ქალების რიცხვი როგორც პარტიაში, ისე კ. კავშირშიაც.

საჭიროა მომავალში მიექცეს ამ გარემოებას სათანადო ყურადღება როგორც პარტიის, ისე კომკავშირის უჯრედების მიერ. ქალთა შორის მუშაობის გაცხოველება გადაუდებელ ამოცანათ უნდა იქნეს მიღებული, ვინაიდან მარტო ერთ-ერთი ამხანაგის მიმაგრება და ისიც ისეთის, რომელიც ბევრ შემთხვევაში არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს, ვერას გვიშველის. საჭიროა აგრეთვე პარტიის და კომკავშირის წევრმა თავდაპირველად თავისი და და ცოლი ჩააბას დელეგატ-ქალთა მუშაობაში.

დღეს ხშირად გაიგონებთ უპარტიო ქალთაგან ასეთ საყვედურს: „თუ კარგია დელეგატობა, კომუნისტმა რატომ აუკრძალა თავის დას სადელეგატო კრებაზე სიარული, როდესაც ის დელეგატად იქნა არჩეული"-ო. აუცილებლად საჭიროა კომკავშირის უჯრედების მიერ აღებულ იქნეს გეზი, რათა 1928 წლამდე კომკავშირში ქალთა რიცხვი აყვანილი იქნეს 20 პროცენტამდე მაინც.

ა. მირცხულავა.

ფასების დაკლებისათვის

მუშა და დიასახლისი ქალები ფასების დაკლების კამპანიაში

ფასების დაკლების კამპანიაში, როგორც ვიცით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საცალო ფასების დაკლებას. ეს ჯერ ერთი იმიტომ რომ საცალო ფასების დაკლებით ფართე მომხმარებელ მასისათვის უშუალოთ საგრძნობი ხდება ამ კამპანიის მიღწევები. გარდა ამისა საცალო ბაზარზე ჩვენ გვყავს სერიოზული მოქიშპე — კერძო ვაჭრების სახით. საბითუმო ვაჭრობაში კი ასეთი მდგომარეობა არაა, რადგან მრეწველობის პროდუქციის დამმზადებლად უმთავრესად გამოდის სახელმწიფო, ჩვენი სოციალისტური მრეწველობა.

ამ მხრივ, ე. ი. საცალო ფასების დაკლების მხრივ, განსაკუთრებული სამსახურის გაწევა შეუძლია მშრომელ ქალებს. რუსეთის ზოგიერთ სამრეწველო ქალაქებში მუშების ცოლების და მუშა-ქალების დახმარებით ჩატარებულ იქნა საცალო ბაზრის ნაწილობრივი გამოკვლევა, რომელმაც მეტად საყურადღებო მასალები მოგვცა.

ჩვენი სავაჭრო აპარატის, კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების მრავალ მტკივნეულ მხარეებს ყველაზე უკეთ ამჩნევენ მუშა და ღარიბი ქალები. მათ ყოველ დღე უხდებათ ჩვენს კოოპერატივებთან და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებთან საქმის დაჭერა. მათ შესწავლილი აქვთ ჩვენი სავაჭრო აპარატის მუშაობის ყველა წვრილმანები.

ამდენადვე კარგათ იციან დიასახლის მუშა-ქალებმა კერძო ბზრის ხრიკები და ვაჭრული ოინები. ამ გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენება დიდ სარგებლობას მოუტანს ფასების დაკლების კამპანიას. კოოპერატივების გამგეობებმა, ადგილკომებმა და სოფლად კი თემსაბჭომ და გლეხკომმა სისტემატიურათ უნდა მოიწვიონ დიასახლის მშრომელ ქალების საერთო კრებები, სადაც უნდა კეთდებოდეს მოხსენებები ფასების დაკლების შესახებ. ამ მოხსენებებს არ უნდა ექნეს ზოგადი და „პრინციპიალური" ხასიათი. ისინი უნდა იყოს აგებული უმთავრესათ იმ ფაქტიურ მასალაზე, რომელიც მოიპოვება ფასების დაკლების დარგში ამა თუ იმ კოოპერატივის ან სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს საქმიანობაში.

დღემდე მუშა და დიასახლის ქალების მონაწილეობას ფასების დაკლების კამპანიაში სათანადო ყურადღება არ ექცევა, ეს ნაკლი, რაც შეიძლება დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. მშრომელ ქალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ უაღრესი ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობის ამოცანის მოწესრიგებაში.

ა. ბ—ძე.

ამიერ-კავკ. კოოპ. კავშირის ღონისძიებები

ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა კავშირმა დააწესა და დასამტკიცებლად წარადგინა შრომის სახალხო კომისარიატში ზედნადები ფასების, ხარჯებისა და მოგების საზღვრითი ნორმები ამიერ-კავკასიის ნაციონალურ კოოპერატიულ ცენტრებისათვის (ცეკავშირი, აზერიტიფაკი, აიკოოპი).

ნორმები გამომუშავებულია თვითეული კოოპერატიული ორგანიზაციის სამეურნეო-ფინანსიური შეძლებისა და მათი სამუშაო პირობების მიხედვით.

ცეკავშირისათვის ზედნადებ ფასების ნორმად დაწესებულია—4,5 პროცენტი, ხარჯების ნორმად—3,5 პროცენტი და მოგების ნორმად—1 პროცენტი.

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოებისათვის: ზედნადებ ფასების ნორმად—12,6 პროცენტი, ხარჯების ნორმად—10,6 პროცენტი და მოგების ნორმად—2 პროცენტი.

ფასების დაკლება პროვინციაში

ეს არის შეღავათი?

(საჯამიასერის თემი, ოზ. მ.).

ჩვენი თემის სას.-სამ. საკ. ამხანაგობა, რომელმაც შეიძინა სიმინდი გლეხებისათვის შეღავათიან ფასებში მისაწოდებლად. მაგრამ ეს შეღავათი მან თავისებურად გაიგო. როდესაც კერძო ბაზარზე სიმინდი ღირს 1 მ. 10 კაპ. და უფრო ხშირად მანეთი, ის თავის სიმინდზე აწერს 1 მ. 40 კაპეიკს.

გლეხობა იქ, სას-სამ. ბანკში არ ყიდულობს სიმინდს, მიდიან ისევ კერძო ვაჭართან.

მ. კარეთელი.

ახალქალაქის მაზრა.

ახალქალაქის (ჯავახეთი) მაზრის მთელ კოოპერატიულ ქსელში მოხდა საქონლის გადაფასება ფასების შემცირების მიზნით. ფასი დაიკლო ყოველგვარ საქონელს, კერძოთ მანუფაქტურაზე ფასები დაკლებულია 7 პროცენტით. თვით ახალქალაქის სამომხმარებლო საზოგადოებაში შემოკლებულია შტატები და შემცირებულია დანართი ხარჯები. ამ ღონისძიებით წლის განმავლობაში დაზოგვილი იქნება 3.000 მანეთამდე, რაც აუცილებლად გავლენას მოახდენს საქონლის გაიაფებაზედაც. საქონელზე ფასების დასაკლებად წარმოებულ მუშაობის შესათანხმებლად მაზრაში ჩატარდა სასოფლო კოოპერატივების მუშაკთა პირველი თათბირი, რომელმაც გამოიმუშავა ღონისძიებები აპარატის განსამარტივებლად და დანართი ხარჯების შესამცირებლად.

ველისციხე (კახეთი).

ველისციხის კოოპერატიულ მაღაზიებში საქონლის გადაფასების შემდეგ ფასები საქონელზე დაკლებულ იქნა შემდეგი რაოდენობით: სტრიკოტაჟის საქონელზე—10—15 პროცენტით, სელის და ბამბის ქსოვილებზე—5, კამვოლის საქონელზე—6 პროც., ფეხსაცმელზე—15—18 პროც., დანარჩენ საქონელზე 3-დან 5 პროცენტამდე.

პრესა

ფასების დაკლება სოფლად.

ფასების დაკლების კამპანია თუმცა მნიშვნელოვანი დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჰპოვებს გამოხმაურებას სოფლის კოოპერაციაში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ სოფლის კოოპერატივები ბევრათ უფრო მოხერხებულ ხრიკებს მიმართავენ ფასების დაკლებისაგან თავის დასაღწევად, ვიდრე ამას ადგილი აქვს ცენტრალურ სავაჭრო ორგანოების პრაქტიკაში. გარდა ამისა, თავის-თავად გასაგებ მიზეზების გამო, სოფლად ძნელია კონტროლისა და რევიზიის წარმოება. ამით კი ზოგიერთი კოოპერატიული ორგანოები მოხერხებულად სარგებლობენ და მოხერხებულად აძვრენენ თავს პარტიისა და ხელისუფლების კატეგორიულ დირექტივას ფასების დაკლების შესახებ.

ამ საკითხს ეხება, სხვათა შორის, გაზეთი „სოვეტსკაია სიბირ"-ი, რომელიც სწერს:

„კოოპერაციის ქვედა ქსელის შემოწმებისას აღმოჩენილ იქნა მეტად იშვიათი კომბინაციები. ასე, მაგალითად, უკლებენ რა ფასებს საბიუჯეტო შენაკრებში შემავალ საქონელზე, კოოპერატორები ამავე დროს ადიდებენ ფასებს თევზს, გალანტერეიას და სხვას, ე. ი. აძვირებენ იმ საგნებს, რომელნიც საბიუჯეტო შენაკრებში არ შედიან.

იყო ასეთი შემთხვევებიც, როცა სოფლის კოოპერატივები დაბალ ხარისხის საქონელს მაღალ ხარისხის საქონლად აძლევდენ. გარდა ამისა, ზოგჯერ იგივე კოოპერატივები ათი სხვადასხვა სახის საქონელზე უკლებდენ ფასებს 5 პროცენტით და 15 სახის სხვა საქონელზე უმატებდენ ფასებს 3 პროცენტით".

საბოლოო ანგარიშით, კოოპერატივის სალარო, რასაკვირველია, არაფერს ჰკარგავს. გარეგნულათ კი თითქოს მოხდა ფასების დაკლება.

„ამ მოვლენებს,—განაგრძობს გაზეთი,—ადგილი აქვს მრავალ რაიონებში. სოფლის ზოგიერთი მომხმარებელი საზოგადოებანი ჯერ კიდევ არ არიან განთავისუფლებული ჩარჩული წესით ვაჭრობისაგან".

ჩვენ, სამწუხაროდ, არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ფასების დაკლების კამპანია სოფლად. ერთი რამ კი შეიძლება წინდაწინვე ითქვას,—ფასების დაკლების კამპანია სოფლად უფრო ნელი ნაბიჯით და უფრო მეტი დაბრკოლებებით მიმდინარეობს, ვიდრე ქალაქად. ამას მოწმობენ ის კანტი-კუნტი ცნობები, რომელნიც ჩვენ მოგვდის სოფლად ფასების დაკლების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანოებმა ამ გარემოებიდან სათანადო პრაქტიკული დასკვნები უნდა გააკეთონ.

სამრეწველო აღმშენებლობა

(საუბარი ამხ. ვ. ავაქოვთან)

ამ დღეებში დასავლეთ საქართველოს პროვინციების მოვლის შემდეგ თბილისში დაბრუნდა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ავაქოვი, რომელმაც ადგილობრივ დაათვალიერა დაწყებული ქარხნები და სამრეწველო რაიონები. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ავაქოვმა რესპუბლიკაში წარმოებულ აღმშენებლობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ჩვენი გამგზავრების მიზანი იყო ახლად დაწყებულ აღმშენებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების განხილვა და გამორკვევა. ჩვენს მიერ დათვალიერებულ იქნა გორის მაზრა, სადაც აგებულ უნდა იქნეს ერთი საკონსერვო და ორი ხილის საშრობი ქარხანა. საკონსერვო ქარხანაში ყოველწლიურად გადამუშავდება 130.000 ფუთი ხილი. ამ ქარხნის ასაგებ პროექტს და ხარჯთაღრიცხვას ამუშავებს ს. მ. უ. ს. ახალშენებათა განყოფილება. ხილის საშრობი ქარხნების ასაგებათ ავირჩიეთ სოფ. მეჯვრისხევი და სოფ. შინდისი.

1919 წელს გორში მომხდარი დიდი მიწის ძვრის გამო, ამჟამად გორში და ხაშურში განსაკუთრებული სიმწვავით სდგას საბინაო კრიზისი; ამასთან დაკავშირებით, საჭირო არის საბინაო აღმშენებლობის წარმოება გაცხოველებული ტემპით. ამ მოსაზრებით განზრახვა გვაქვს ავაგოთ აგურ-კრამიტისა და კირის ქარხნები გორში და ხაშურში. ეს ქარხნები სავსებით უზრუნველყოფენ საბინაო აღმშენებლობას საამშენებლო მასალით.

ქუთაისში დავათვალიერეთ ბარიტის საფქვავი ქარხნის ასაგები ადგილი. ამჟამად უკვე დასრულებულია ქარხნის საწყობების აგება და მისასვლელი რკინისგზის ჩიხის გაყვანა. ქარხნის მთავარი კორპუსის აგება დაიწყება მაისის პირველ რიცხვებში. ქარხნისათვის საჭირო მანქანები და მოწყობილობები გამოწერილია გერმანიიდან.

ქუთაისშივე გამოსარკვევი იყო კიდევ ერთი საკითხი: რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა იქ აბრეშუმის სახვევი ქარხნის აგება. როგორც ამის შესახებ უკვე იყო ცნობები გაზეთებში, ხონში ან ქუთაისში უნდა აგებულიყო 200-ტაშტიანი აბრეშუმის სახვევი ქარხანა. საკითხთან ადგილობრივ გაცნობის შემდეგ, გადავსწყვიტეთ ეს ქარხანა აგებულ იქნეს ქუთაისში ბარიტის ქარხნის ახლოს; აქ განზრახულია აგრეთვე სალებავების ქარხნის აგება; იქვე იწარმოებს აბრეშუმის შეღებვა. ხონში კი უკვე არსებობს ასეთი ქარხანა და ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მისი კიდევ უფრო გაფართოება.

ქუთაისიდან ჩვენი კომისია გაემგზავრა ტყიბულში, სადაც დავათვალიერეთ ნახშირის მაღაროები. ამჟამად ტყიბულში სწარმოებს დიდი მუშაობა ორი ახალი მაღაროს გასაკეთებლად. ახალი მაღაროების გაყვანის დასრულების შემდეგ ქვანახშირის ამოღება გადიდებულ იქნება ათი მილიონი ფუთით. ომამდე კი ტყიბულის მაღაროების პროდუქცია უდრიდა 3.500.000 ფუთ ნახშირს, ეხლა უდრის 7 მილიონ ფუთს და რამოდენიმე ხნის შემდეგ კი იქნება 10 მილიონი ფუთი.

ტყიბულის შემდეგ გავემგზავრეთ სამტრედიაში და ოზურგეთში, სადაც უკვე აგებენ აბრეშუმის სახვევ ქარხნებს. სამტრედიაში სწარმოებს ძველი ქარხნის გაფართოება. იქვე აგებულ იქნება აბრეშუმის პარკის გასაშრობი ქარხნები მექანიკური მოწყობილობებით.

ახლად ასაგებ აბრეშუმის სახვევი ქარხნებისათვის შესაფერი დაზგების დამზადების ცდა სწარმოებდა ს. მ. უ. ს. ლითონის ტრესტის ქარხნებში. ამ ცდებმა დადებითი შედეგები მოგვცეს, და ეხლა უკვე დავიწყეთ აღნიშნული დაზგების დამზადება.

საბჭოთა დიდი გადაფრენები

ამიერ-კავკასიის თავდაცვა—ავიაქიმის საზოგადოებაში მიღებული ცნობით, საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმს უკვე დაუმტკიცებია 1927 წლის საბჭოთა დიდი გადაფრენების გეგმა.

სულ მოეწყობა ექვსი გადაფრენა.

პირველი გადაფრენა მოხდება უმოტორო ჰაეროსტატით (უმოტორო ჰაეროსტატების ფრენა დამოკიდებული ქარის მიმდინარეობაზე) აპრილის დამლევს, ან მაისის პირველ რიცხვებში: გასაფრენი ჰაეროსტატი დამზადებულია საბჭოთა კავშირში.

გაფრენის მიზანია გაფრენის მანძილის გამოკვლევა.

მეორე რიგში, ივლისის პირველ ნახევარში მოხდება ორი ავიეტკის (პატარა ჰაეროპლანი) „რუთიმა"-ს და „იაკოვლევის" გაფრენა შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი-ტულა-კურსკი-ხარკოვი - მოსკოვი.

მესამე რიგში ვლადივოსტოკიდან გაიგზავნება ექსპედიცია ვრანგელის კუნძულზე. უკან დაბრუნებისას ის ექსპედიცია დაბრუნდება მდ. ლენის ან მდ. ამურის წინამთიგი მიმართულებით. ერთ-ერთ ამ მდინარის მიმართულებით გაფრენას ექნება საგიტაციო მნიშვნელობა.

უფრო დიდი გადაფრენა მოეწყობა მეოთხე რიგში, ივლისის მეორე ნახევარში. გაფრინდება 12 აეროპლანი შემდეგი ცხრა მარშრუტით.

1) ლენინგრადი-ნოვოგოროდი-ოსტოშკოვი-რჟევი-მოსკოვი. 2) პოლოცკი-ველიკიელუკი-გჟატსკი-მოსკოვი. 3) მინსკი-მ[illegible]ლიოვი-როსლავლი-მედინი -მოსკოვი. 4) ბობრუისკი-როსლავი-მედინი-მოსკოვი. 5) კიევი-ჩერნიგოვი - ჩერნიგოვი-სტაროდუბი-ბრიანსკი-კოლუგა - მოსკოვი. 6) ხარკოვი-სადგ. ოსკალი.ელეცი-სარპუხოვი - მოსკოვი. 7) როსტოვი-კამენსკაია-როსსოში - ვორონეჟი-კოზლოვი-რიაზანი-მოსკოვი. 8) ლიპეცკი-ტამბოვი-რიაზანი-მოსკოვი. 9) კაზანი-არზამასი-მური-ორეხოვო-მოსკოვი.

გაფრენათა სისწრაფის გამორკვევისათვის მეხუთე რიგში მოეწყობა ფრენა ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ირგვლივ. გაფრენა მოხდება აგვისტოში შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი-ლენინგრადი-რეველი - სტოკჰოლმი-კოპენგაგენი-ბერლინი-პარიზი-პრაღა-ვენა - ლვოვი-კიევი-ხარკოვი-მოსკოვი.

ამ გაფრენის მიზანია რეკორდის დაწესება.

უკანასკნელი გაფრენა მოხდება აგვისტოშივე მოსკოვიდან-შორეულ აღმოსავლეთში—მარშრუტით: მოსკოვი - ნოვოსიბირსკი-ირკუტსკი-ვლადივასტოკი.

ფოსტა-ტელეგრაფი დასავლეთ საქართველოში

(საუბარი ამხ. ე. კვანტალიანთან)

გუშინ თბილისში დაბრუნდა ამიერ - კავკასიის ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველოს სპეციალური კომისია ფოსტა - ტელეგრაფის სახ. კომისარიატის რწმუნებულის ამხ. კვანტალიანის მეთაურობით. ამ კომისიამ შემოიარა დასავლეთი საქართველო, აფხაზეთი და აჭარისტანი ფოსტა - ტელეგრაფის უწყებათა მუშაობის გამოსაკვლევად.

გამოკვლევის შედეგების შესახებ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კვანტალიანმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

კომისია დასავლეთ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობის გამოსაკვლევად გაემგზავრა გორში, ხაშურში, ზესტაფონში, ქუთაისში, ხონში, მათხოჯში, სამტრედიაში, ახალსენაკში, ფოთში და ზუგდიდში, აჭარისტანში—ბათომში და აფხაზეთში — გალში, ოჩემჩირეში, დრანდში, გუდაუთაში და სოხუმში. დასახელებულ ქალაქებსა და პუნქტებში კომისიამ ფოსტის, ტელეგრაფის და ტელეფონის მუშაობის დეტალური გამოკვლევის გარდა შეისწავლა საგაზეთო კორესპონდენციის გავრცელებისა და ჩაბარების საკითხი და აგრეთვე ქვედა საფეხურის ფოსტა - ტელეგრაფის საქმის დაყენება, რომელიც მიყრუებული ადგილების მცხოვრებლებს აკავშირებს ქალაქთან.

ფოსტა - ტელეგრაფის მუშაობა გამოკვლეულ პუნქტებში კომისიამ მთლიანად დამაკმაყოფილებლად სცნო. რაც შეეხება მუშაობის პირობებს, ამ მხრივ საქმის ვითარება მეტად ცუდია. დაწესებულებათა უმეტეს ნაწილს არ აქვს სათანადო შენობები; მუშაობა უხდებათ ნახევრად დანგრეულ შენობებში ან ისეთ შენობებში, რომელნიც კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებენ. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან ქ. გორის, ხაშურის, მუხიანის, ხონის და სხვ. ფოსტა - ტელეგრ. დაწესებულებანი. მათი შენობები მოსალოდნელია დაინგრეს ყოველ წუთში და თან დაიტანოს მოსამსახურენი. ამის გამო გორში შესყიდულ იქნა ახალი შენობა, ხაშურში კი გამოყოფილ იქნება განსაკუთრებული მიწა სადგურის მახლობლად და ამ შენობის ასაგებად გაღებულ იქნება ჯერ - ჯერობით 9.000 მან.

სხვა პუნქტების შესახებ და საერთოდ ფოსტა-ტელეგრ. მუშაობის გასაუმჯობესებლად კომისიამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებათა. აფხაზეთის ქალაქებში კი — ოჩიგვარში, ცებელდაში, ნიკოლაევოში და ოკუმში ეწყობა სააგენტოები და გადიდებულ იქნება წერილების დამტარებელთა რიცხვი.

სატელეფონო ქსელი გამოკვლეული ადგილების უმეტეს ნაწილში ცუდ მდგომარეობაშია. იგივე უნდა ითქვას აფხაზეთის მიმართ, რომლის ქსელი ამ დღეებში გადავიდა ფოსტა - ტელეგრაფის სახ. კომისარიატის გამგებლობაში. ამ ქსელის ნორმალურ მდგომარეობაში მოსაყვანად საჭიროა დიდი ხარჯები. აქ საჭიროა მთელი ქსელის გადაკეთება ერთ მავთულიანიდან ორ მავთულიანად და კომუტატორის გამოცვლა. ბათომში მუშაობა უკვე დაიწყო და მასალები ქსელის გადაკეთებისათვის უკვე მიღებულია. ძველი კომუტატორები გადააქვთ ქუთაისში.

დასასრულ ამხ. კვანტალიანმა აღნიშნა, რომ ფოსტა - ტელეგრაფის წარმოებათა არსებული დაყოფა ოლქებად აუცილებელია ადმინისტრატიულ - ფინანსიურის მხრივ. ფოსტა - ტელეგრაფის ქსელის დაყოფა უნდა შეესაბამებოდეს რესპუბლიკების ადმინისტრატიულად დაყოფის მაზრებად. ფოსტა - ტელეგრაფის უწყებას ამიერ - კავკასიის მასშტაბში სამაზრო ცენტრში უნდა ჰყავდეს პირი (წარმოების უფროსი), რომელიც პასუხისმგებელი იქნება მთელი ფოსტა-ტელეგრაფის მდგომარეობისათვის ამა თუ იმ მაზრაში. გარდა ამისა, ამხ. კვანტალიანმა განაცხადა, რომ გაზეთების გავრცელება ადგილობრივ რედაქციების კანტორების მიერ, მეტად ძვირი ჯდება. ამხ. კვანტალიანის აზრით, მიზანშეწონილი იქნება, რომ გაზეთების გავრცელება ადგილობრივ გადაეცეს ფოსტა - ტელეგრაფის უწყებებს.

პირველ მაისის ჩატარების წესი

პირველმაისობის ჩამტარებელი ცენტრალური კომისიის დადგენილება

1) პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული დაიწყება 30 აპრილის საღამოს და დასრულდება ღამის 3 მაისს.

2) 30 აპრილს ყველა კლუბებში კეთდება მოხსენებები 1-ლი მაისის დღის მნიშვნელობის შესახებ, კინო - თეატრებში უფასოდ წარმოდგენილი იქნება მუშათა კლასის ბრძოლის დამახასიათებელი სურათები ხოლო პროფსაბჭოს რადიო-მომბე სადგურები აწყობს ფართე რადიოგადაცემას. ქალაქი უნდა მოირთოს დროშებით, ხალიჩებით, მწვანეულობით და გაჩირაღდნებით, მორთულობა და ილიუმინაცია დარჩება 3 მაისის დილამდე.

3) 1 მაისს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ქუჩებში ხმამაღლა მაუწყებლებისა და საკლუბო რადიო მოწყობილობის საშუალებით გაიმართება რადიო - კონცერტები.

4) საღამოთი ყველა თეატრებში, კინო - თეატრებში და კლუბებში მუშათა რაიონებში კი — ცის ქვეშ გაიმართება უფასო წარმოდგენები; ბილეთებს ანაწილებენ პროფკავშირები.

5) დღისით 1-ლ მაისს ქვემოდაღნიშნული წესის თანახმად, იმართება მუშების, მოსამსახურეების, წითელ არმიელების, პიონერების და მოსწავლეთა მასიური დემონსტრაციები.

6) ყოველი კავშირის ცენტრალურ გამგეობას ევალება პასუხისმგებელი ხელმძღვანელის გამოყოფა რომელიც კავშირზე მიმაგრებულ სამხედრო ნაწილის უფროსთან ერთად, პასუხისმგებელია თავისი კავშირისა და სამხედრო ნაწილის მიერ წესრიგის დაცვისათვის დემონსტრაციის დროს.

7) ყველა კავშირები სამხედრო ნაწილები, პიონერები და მოსწავლენი დილის 10 საათისათვის უნდა შეგროვდენ და გამწკრივდენ მათთვის მიჩნეულ ადგილზე.

8) პროფკავშირების წევრები და მათზე მიმაგრებული წითელ არმილეთა ნაწილები მწკრივდებიან ერთად 8-8 კაცი თითო რიგში.

9) დემონსტრაცია დაიწყება დილის სრულ 11 საათზე.

10) ცალკე კავშირების დემონსტრანტების კოლონებს თან მიჰყვებიან პროფესიონალური და სამხედრო ორკესტრები, გუნდები, თეატრალური და ცოცხალი გაზეთების წრეები პოლიტიკური შარჟის გამომხატველ კარიკატურულ ტანსაცმელში და სხვ.

11) რუსთაველის პროსპექტზე იმართება სპეციალურად მორთული სასცენო მოედნები, რომლებზედაც გამოვლენ ქართული აკადემიური გუნდი; „აიარტუნის" სომხური გუნდი, პროფკავშირების გაერთიანებული გუნდი და ცოცხალი გაზეთები. ქუჩაში იმართება აგრეთვე ცირკი, ხალხური ნაციონალური ცეკვა და უკრავს აღმოსავლური მუსიკის ორკესტრი, ჩინური მუსიკის ორკესტრი და სხვ.

12) 1-ლი მაისის დილის 7 საათიდან დემონსტრაციის დასრულებამდე ქალაქში შესწყდეს ყოველგვარი მიმოსვლა.

შენიშვნა: საზოგადოებრივი საჭიროებით გამოწვეული მანქანების მოძრაობა ნებადართული იქნება ქალაქის კომენდანტის მიერ, რომელიც სამისოდ გასცემს სათანადო ნებართვას.

13) დემონსტრაციის დროს წესრიგის დაცვის მიზნით, მილიცია უნდა ჩამწკრივდეს მთელს რუსთაველის პროსპექტზე.

14) დემონსტრანტებმა უნდა იმოძრაონ მარჯვენა მხარეზე შემდეგი წესით:

1-ლი წყება

1) წყების თავში — 8 საბარგო ავტომობილი ბავშვებით. საბარგო ავტომობილებისა და ბავშვების შესაკრები ადგილი — რუსთაველის პროსპექტი (ჭავჭავაძის ქუჩასთან). მოძრაობის მიმართულება თავისუფლების მოედანი.

2) საბარგო ავტომობილებს უკან მწკრივდებიან და მისდევენ 1 ათასი პიონერი და ტეხნიკუმებისა და შრომის სკოლების მე-8 და 9 ჯგუფის 1.000 მოსწავლე უკანასკნელთა შესაკრები ადგილი — ყოფილ სამხედრო სობოროს ეზო.

ფიზკულტურის წრეების წევრები იკრიბებიან ყოფ. სამხედრო სობოროს ეზოში და მიიმართებიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის (რუსთაველის პრ.) გაჩერდებიან მოსწავლეების უკან და მიჰყვებიან მათ.

4) მბეჭდავები და № ათასეული იკრიბებიან რუსთაველის პროსპექტზე „ზარია ვოსტოკას" ახალ შენობასთან და მიჰყვებიან ფიზკულტურის წრეების წევრებს.

5) მელითონეები და № ბათალიონი იკრიბებიან ლენინის ქუჩაზე ყოფ. ზემელის აფთიაქთან და მისდევენ მბეჭდავებს.

6) გემო - კვების კავშირის მუშაკნი და მძიმე საარტილერიო დივიზია იკრიბებიან ლენინის ქუჩაზე და მიჰყვებიან მელითონეებს.

7) საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურენი და ქართული საარტილერიო ათასეული იკრიბებიან გრიბოედოვის ქუჩაზე, პირით ლენინის ძეგლისაკენ და მიჰყვებიან გემო - კვების კავშირის მუშაკებს.

8) ხის დამმუშავებელნი და ქართული დივიზიის მესანგრე ათასეული იკრიბებიან ფეოდოსიევის ქუჩაზე და მიჰყვებიან საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეებს.

9) ხის დამმუშავებელნი და ქართული საკავშირო ასეული იკრიბებიან, აგრეთვე, ფეოდოსიევის ქუჩაზე.

10) მედსანშრომის მუშაკნი და № მესანგრე ბათალიონი იკრიბებიან მოსკოვის ქუჩაზე, გადიან ფეოდოსიევის ქუჩაზე და დგებიან მელითონეების უკან და მიჰყვებიან მკერავებს.

11) სახალხო კავშირი, შინამრეწველ - ხელოსანთა კავშირი და საკავშირო ბათალიონი იკრიბებიან გუნიბის ქუჩაზე და განუწყვეტლივ მისდევენ მელითონეებს.

12) მიწა - ტყის მუშაკთა კავშირი, სამთამადნო მუშათა კავშირი და № ათასეული იკრიბებიან ბელინსკის ქუჩაზე, პირით ლენინის ქუჩისაკენ და მისდევენ ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკებს.

13) სახელმწიფო უნივერსიტეტი და უმაღლესი პარტსკოლა იკრიბებიან მელიქიშვილის (ყოფ. წყნეთის) ქუჩაზე, პირით ლენინის ქუჩისაკენ, გადიან ბელინსკის ქუჩაზე და მიჰყვებიან სამთამადნო მუშებს.

14) ქართული ცხენოსანი ათასეული იკრიბება ახალ გზატკეცილზე და მელიქიშვილის ქუჩით მიჰყვება სახელმწიფო უნივერსიტეტს.

მთელი კალონა სრული წესრიგით მიდის თავისუფლების მოედნამდე და აღმასკომის (ყოფ. სოლოლაკის), განოვის და ლადო დუმბაძის (ყოფ. ველიამინოვის) ქუჩებზე გავლით იშლება.

2 წყება 14-ით

1) წყების თავში სამი საბარგო ავტომობილი ბავშვებით; ბავშვებისა და საბარგო ავტომობილების შესაკრები ადგილი — რუსთაველის პროსპექტი, ქალაქის კომენდანტის სამმართველოსთან. წყება მიიმართება ელბაქიძის (ვერა) დაღმართის მიმართულებით.

2) საბარგო ავტომობილების უკან მწკრივდებიან და მისდევს 1.000 პიონერი და ტეხნიკუმებისა და შრომის სკოლების მე-8—9 ჯგუფების 1.000 მოსწავლე.

3) ფიზკულტურის წევრების წრეები იკრიბებიან ყოფ. სამხედრო სობოროს ეზოში, მწკრივდებიან მუზეუმის შენობასთან და მიჰყვებიან მოსწავლეებს.

4. რკინისგზელები და თბილისის სასწავლებელი იკრიბებიან პუშკინის ქუჩაზე, პირით სასახლის ნომრებისაკენ და მისდევენ ფიზკულტურელებს.

5) კომუნალური მუშაკნი და რკინისგზის ათასეული იკრიბებიან მადათოვის ქუჩაზე, ხიდებს შუა და მისდევენ რკინისგზელებს.

6) ფეიქრები და საარტილერიო ათასეული იკრიბებიან 19 თებერვლის ქუჩაზე, პირით კარლ მარქსის (ყოფ. ვორონცოვის) მოედნისაკენ და მისდევენ კომუნალურ მუშებს.

7. ქიმიკოსები და ავიორაზმიც 19 თებერვლის ქუჩაზე იკრიბებიან და მისდევენ ფეიქრებს.

8) მშენებლები და ქართული სკოლა იკრიბებიან პლეხანოვის ქუჩაზე, პირით კარლ მარქსის მოედნისაკენ და მისდევენ ქიმიკოსებს.

9) მეტყავეები და ცხენოსანი ბათალიონი იკრიბებიან 19 თებერვლის ქუჩაზე, მიდიან კარლ მარქსის მოედნამდე და, გაუშვებენ რა მშენებლებს წინ, უკან მისდევენ მათ.

10) ტრანსპორტის მუშები და ქართული ათასეული იკრიბებიან პლეხანოვის პროსპექტზე მიხეილის საავადმყოფოსთან, მიდიან კარლ მარქსის მოედნამდე, დგებიან აღმშენებელ მუშებს უკან და მისდევენ მეტყავეებს.

11) სახალხო კვების მუშაკნი, განათლების მუშაკნი და რადიო - ბათალიონი იკრიბებიან კომუნარების (ყოფ. ალექსანდროვის) ბაღთან, პირით მადათოვის ქუჩისაკენ და მისდევენ ტრანსპორტელებს.

12) წყალზე მომუშავენი, ხელოვნების მუშაკნი და ჯავშნიანი დივიზიონი იკრიბებიან ჯორჯიაშვილის (ყოფ. ბარიატინსკის) ქუჩაზე, პირით გლეხის სახლისაკენ და მისდევენ განათლების მუშაკებს.

13) სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტი, სასწავლო სამხედრო და საკადრო ასეული იკრიბებიან მესანგრეთა ქუჩაზე, პირით ჯორჯიაშვილის ქუჩისაკენ და მისდევენ ხელოვნების მუშაკთ.

14) წყების ბოლოში დგება ცხენოსანი ათასეული და ცხენოსანი დივიზიონი, რომლებიც მწკრივდებიან მუხრანის ქუჩაზე და მისდევენ ა.-კ. კომ. უნივერსიტეტს.

მთელი წყება სრული წესრიგით მიდის პლეხანოვის პროსპექტამდე და იქ იშლება.

15) კავშირების ცენტრალური გამგეობები 2 მაისს ქალაქს გარეთ მართავენ პროფკავშირების წევრთა, მათი ოჯახების და წითელარმიელების მასიურ სეირნობას ყოფ. ხუდადოვის ტყეში და ორთაჭალაში, სადაც ეწყობა პროფკავშირთა მხატვრული წრეების გამოსვლები.

ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე — ი. ჭელიძე.

კომისიის მდივანი — მ. მარკმანი.

კაპიტალისტური რაციონალიზაციის სახე

(წერილი გერმანიიდან)

უცხო სიტყვა რაციონალიზაცია ნიშნავს გონიერად მოწყობას, გონიერ ორგანიზაციას. ამისდამიხედვით წარმოების რაციონალიზაცია, ანუ წარმოების გონიერი ორგანიზაცია მეურნეობის ისეთ მოწესრიგებას უნდა ნიშნავდეს, სადაც სამეურნეო პირობების გაუმჯობესების საშუალებით უმცირესი ენერგიის და უმცირესი დროის დახარჯვის ფასად საზოგადოება უმეტეს, უკეთეს და უიაფეს საქონელს მიიღებს. ეს ნიშნავს წარმოების ისეთ ორგანიზაციას, სადაც მუშის სამუშაო დრო შემოკლდება, მისი შრომის ხელფასი გაიზრდება და საქონელი გაიაფდება, რადგან შრომის ნაყოფიერება სწრაფი ნაბიჯით იზრდება, მუშა მეტ და უკეთეს საქონელს ამზადებს და მის დამზადებაში ნაკლები იხარჯება.

კაპიტალისტებმა კი შრომის ნაყოფიერების ამაღლება და რაციონალიზაცია სულ სხვაგვარად და სხვა მიზნებით გამოიყენეს. კაპიტალისტურ წარმოებაში ბატონობს პრინციპი: ამოჰქაჩე მუშისაგან მაქსიმუმი იმისა, რაც მის ძალ-ღონეს შესწევს, მიეცი მას უმცირესი ხელფასი, გაადიდე სამუშაო დრო. რასაც გუშინ 10 მუშა აკეთებდა, გააკეთებინე ხუთს, დანარჩენი დაითხოვე; სადაც და როგორც შესაძლებელი იყოს, შემოიღე საკორდო წესები და შემოკლე საკორდო ფასები, წარმოების ხარჯები დაიყვანე მინიმუმამდე და ამგვარად დამზადებული საქონელი გაჰყიდე ამაღლებულ ფასებში.

მართლაც რომ უცნაურია ბედი სიტყვისა. დასავლეთ ევროპაში დღეს რაციონალიზაცია ჰქვია ისეთ სამეურნეო მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა გაძლიერებულ იქნეს კაპიტალისტური ექსპლოატაცია და იაფად დამზადებული საქონელი ძვირად იქნეს გაყიდული.

გერმანიის დღევანდელი კაპიტალიზმი თავისი არსებითი ნაწილით ამ მეთოდზეა აგებული. „რაციონალიზაცია" მოჩვენებული ღონისძიებებით და ჩქარი ტემპით ტარდება გერმანიის წარმოების ყველა დარგებში. მას (ბურჟუაზიულ რაციონალიზაციას) იშვიათი ბედი ეწვია. მას ჰყავს მდიდარი მოამაგე და პრაქტიკულად გამტარებელი — გერმანიის მსხვილი კაპიტალისტი; მას ჰყავს ძლიერი პოლიტიკური პროტექტორი—გერმანიის სოციალ - დემოკრატია, პროფესიონალური კავშირები და გერმანიის „დემოკრატიული" რესპუბლიკის მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელნიც რაციონალიზაციის პრინციპების შელახვაში ცივილიზაციის საშიშროებას ჰხედავენ; დაბოლოს მას ჰყავს თეორიული პიონერები—გერმანიის პროფესორები, რომელნიც არამხოლოდ სახელმწიფო ჯამაგირს იღებენ, არამედ მსხვილი წარმოების მაღალ მოხელეთა ადგილები უკავიათ. გერმანიის პროფესურის უმრავლესობა ჩვეულებრივად ამა თუ იმ მრეწველობის მოხელეებათ ირიცხება. ყოველ გერმანელ პროფესორს ფსიქოტეხნიკის დარგში ამავე დროს რომელიმე ტრესტის ან სინდიკატის ადმინისტრაციის პირად შემადგენლობაში უმაღლესი ადგილი უკავია. ამგვარად „მიუდგომელი და ობიექტიური მეცნიერება" მხარს უჭერს კაპიტალისტურ რაციონალიზაციას და „სახელითა კაცობრიობისა და ცივილიზაციისა" ჟურნალებში, გამოკვლევებში და პრესაში ყალბი და ფარისეული სიდინჯით იცავს საკორდო წესებს, ფორდიზაციას, სამუშაო დროის გაგრძელებას და მშრომელი პერსონალის შემოკლებას.

კაპიტალისტური რაციონალიზაციის კრიტიკის სამაგიეროდ მე შევეცდები რამოდენიმე სურათი მოვიყვანო გერმანიის თანამედროვე ქარხნის ცხოვრებიდან, ისე როგორც მათ თავად მუშები ახასიათებენ.

შემდეგს მოგვითხრობს მუშა, რომელიც მრავალი წელია სიმენს-შუკერტის მრეწველობაში მუშაობს,—განყოფილებაში, რომელშიაც მტვერის საწმენდი აპარატები მზადდება (აპარატი, რომელიც ელექტრო-ნაკადის საშუალებით მოდის მოძრაობაში და ინთქავს მტვერს სპეციალურ ტომარში).

ქარხანა ყოველ ერთ ნახევარ წუთში თითო აპარატს ამზადებს. აპარატი მოძრავ დაზგაზე ასვენია და მიმოსეირნობს მთელ სახელოსნოში. დასაწყისში ის გაურკვეველი ფორმის არის და ეშმაკმა იცის რა გამოვა მისგან. ბოლოში კი ის გამოიჩეკება, როგორც მშვენიერი ახლად შეღებილი აპარატი, რომელიც მოკლე გასინჯვის შემდეგ ჩაესვენება ყუთში და აგრძელებს თავის მოგზაურობას. მეტად საინტერესოა ცნობისმოყვარე მაყურებლისათვის, რომელიც განცვიფრებით შესცქერის ამ განუწყვეტელ პროცესს და რთულ აპარატის წარმოშვებისა. მაგრამ ჰკითხე ეხლა იმას, ვინც მოძრავ დაზგასთან სდგას და მანქანურობით მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს. თვითეული მუშა აგრძელებს თავის წინა ამხანაგის მუშაობას; ყოველი წუთი არის განმეორება ერთი და იმავე მოძრაობის. ერთი მხოლოდ აწყობს, მეორე ბურღავს, მესამე ხერხავს, მეოთხე ამარყუჯებს... ყოველი მოძრაობის დრო გაზომილია სპეციალური აპარატის საშუალებით და მუშაობა ისეა ნაანგარიშევი, რომ ყოველ ერთ ნახევარ წუთში ახალი ცალი სრულიად იმავე მასალისა მოცურდება შენთან, ნაგულისხმევია, რომ წინასწარი უკვე ამხნის განმავლობაში დამუშავებული და გასტუმრებულია. რაციონალიზაცია?—მე ჩინებულად მესმის, რა არის რაციონალიზაცია,—ამბობს მუშა,—ეხლა ყოველ ერთ ნახევარ წუთში მოცურავს დასამუშავებელი მასალა, მომავალ თვეში კი ეს პროცესი ქარხნის ადმინისტრაციის აზრით აჩქარებულ უნდა იქნეს, გვეუბნებიან, ნაცვლად ერთ ნახევარ წუთისა იკმარეთ 1 წუთით. ეხლა ჩვენი ქარხანა დღიურად ამზადებს 300 აპარატს, მომავალში დღიური დამზადება 600 აპარატს უნდა უდრიდეს.—გაადიდებენ კი მუშების რაოდენობას აგრეთვე ორჯერ, ან და ჩვენ ხელფასს?—მოგცლია! მაგაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. თუ შენ მუქთად ორჯერ მეტი მუყაითობა არ გამოგიჩენია:—მიბრძანდი, მადლობა ღმერთს, 3 მილიონი უმუშევარი მზად არის შენ ადგილზე ულაპარაკოთ დადგესო.

ელექტრო-წარმოების ტრესტი,—განყოფილება სადაც ელექტრო-საჭიროების საგნებს ამზადებენ გრძელი ღვედი განუწყვეტლივ მოძრაობს შენ წინაშე, შენ სტაცებ ხელს [illegible] ნაჭერს, რომელიც ღვედზე [illegible] შენთან მოცურდა და ჩასვამ მასში პატარა მავთულს, ან ვთქვათ გაბურღავ მას. მაგრამ გახსოვდეს, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეასრულო ის რაც საჭიროა, რადგან მეშვიდე სრულიად ისეთივე ნაჭერი მხოლოდ რამოდენიმე სანტიმეტრით არის შენგან დაშორებული და მოიქანება შენსკენ და უკეთუ შენ მზათ არ აქვს ეს ნაჭერი და დროზე ვერ მოასწარი მისი ღვედზე დადება. მეორე ნაჭერი დაუმუშავებელი გაგასწრებს და მიადგება შენს მეზობელს. მას კი არ შეუძლია ამ ნაჭერის შემდეგი დამუშავება რადგან მისი საქმე მხოლოდ გაგრძელებაა იმის, რასაც შენ აკეთებ, და რადგან შენ ეს ნაჭერი დაუმუშავებელი გაგექცა, ის გაივლის მთელ წყებას და მთელ სახელოსნოს ისე, რომ მისი დამუშავება არავის შეუძლია. ისე რომ შენი შეფერხება იწვევს შენი მეზობლის შეფერხებას, ეს მესამესი და ასე ბოლომდე მთელი წყება მუშებისა, რომელნიც ამ მოძრავ ღვედთან მუშაობენ,—ყველანი დროს ჰკარგავენ და წყების ბოლოში დამზადებული საგნის მაგივრად სრულიად დაუმუშავებელი ნივთიერება გამოვა, რომელსაც არაფერი ღირებულება არ აქვს. მოვა ზედამხედველი, ის სრულიად უბრალოდ გამოარკვევს დამნაშავეს, რადგან უვარგის ნაჭერზე ცხადია, თუ ვისთან შეჩერდა მუშაობა და შენ დაუყოვნებლივ ამოჰყოფ თავს დასათხოვთა სიაში. ამას ემატება კიდევ უსიამოვნება—შენი ამხანაგები, რომელნიც შენს წყებაში მუშაობენ, ცხარობენ და უკმაყოფილონი არიან, რადგან შენი შეჩერება მათ შეჩერებასაც ნიშნავს და რადგან ჯგუფობრივი აკორდის ფასების წესია შემოღებული და ერთის შეჩერება ან ნელი მუშაობა აფერხებს მთელი წყების მუშაობას, დღიური დამზადება უფრო ნაკლებია და ჯგუფი და მასთან ერთად ყოველი მუშა, რომელიც შენ ჯგუფს ეკუთვნის, ნაკლებ ხელფასს მიიღებს. ხშირად შენი ამხანაგი მუშები უკმაყოფილონი არიან არა მარტო ზედამხედველით, რომელიც უმოწყალოდ აჩქარებს მუშაობის ტემპს, არამედ თავისი ამხანაგებითაც, რომელნიც ასეთი ჩქარი ტემპით მუშაობას ვერ ასწრებენ. და სდგას ყოველი მუშა მთელი 9 საათის განმავლობაში მოძრავ ღვედთან დამუნჯებული, უხმოდ, ყოველივე ზედმეტ მოძრაობას მოკლებული, გარდა სამუშაო მოძრაობისა (რომელიც ლაბორატორიაში შესწავლილი და ქარხნის ადმინისტრაციის მიერ დაკანონებულია), და იმეორებს ერთსა და იმავეს ზედმიწევნილი ყურადღებით. ერთი სასიამოვნო სიტყვა, [illegible] ამოძახილი, წყნარი სტვენა ან წყნარი ღიღინი—ასეთ რამეს ეხლანდელ ქარხანაში ვერ გაიგონებ. ეს „ამბავი" წარსულ ისტორიას ეკუთვნის, სამუშაო დაზგის ბედნიერ რომანტიკას. წყნარი სტვენის ან სიმღერისათვის ეხლა დრო არ არის და არც ხალისი აქვს ვინმეს. ისმის მხოლოდ მანქანების ხმაური და მოძრავი ღვედის მონოტონური ღრიალი,—მუნჯი და ილაჯგამწყვეტი მუშაობა.

ღვედი სრულ 7 საათზე დაიწყებს სირბილს და 9 საათის განმავლობაში იდგე უნდა შენთვის მინიშნებულ ადგილზე და მანქანის დაგვარად იმოძრაო. ვინმეს ცხვირის მოწმენდა უნდა ან კისრის მოფხანა ან რაიმეს გასწორება,—ყოვლად დაუშვებელია მოსცილდე შენს ადგილს, ვიდრე ღვედი მოძრაობაში არის. ყოველ 2 საათის მძიმე მუშაობის შემდეგ 5 წუთი შაბაშია. ეხლა შეგიძლია ცხვირი მოიფხანო, 2 საათის წინ რომ გექავებოდა, პურის ნაჭერი გადასანსლო და ორიოდე წუთი მოითქვა სული. 5 წუთის შემდეგ ღვედი ისევ მოძრაობაში მოვა და შენ იმავე ადგილას სდგეხარ და იმავეს აკეთებ.

ყველანი, ვინც მოძრავ ღვედთან სდგას, თანასწორი ტემპით უნდა მუშაობდენ. მუშაობის ტემპი კი ღვედის მოძრაობის სიჩქარეზეა დამოკიდებული. ყველანი მოძრაობენ ღვედის მოძრაობის ტაქტზე. ღვედი ლოტბარობს, ის ბატონია!

როდესაც ასეთი სისტემა შემოიღეს—ამბობს მუშა-ქალი—ჩვენ კიდევ არ ვიცოდით, როგორი უბედურება იქნებოდა ეს ჩვენთვის. განსაკუთრებული საათის საშუალებით (ქრონომეტრი) ზომავენ უსწრაფესი მუშების მოძრაობას და განსაზღვრავენ, რომ ამა და ამ მოძრაობას, ამდენი დრო სჭირია (ზოგ მოძრაობას სჭირია წამის ერთი მეათედი, ზოგს ნახევარი, ზოგს კიდევ მესამედი, ერთად ვსთქვათ ერთ ნახევარი წამი) და ამ ანგარიშის თანახმად დაყენებულია ღვედის მოძრაობის სისწრაფე. ბევრი მუშებისათვის ეს სისწრაფე აუტანელი იყო,—ამბობს მუშა-ქალი—ისინი ვერ უსწრობდენ ღვედის მოძრაობას. ბევრი მასალა გაფუჭდა, ბევრი „ბრაკი" იყო. მაშინაც საკორდო ფასები იყო ჩვენს ქარხანაში და ყველანი ნორმაზე ნაკლებს იღებდენ. მუშები, რომელნიც მოითხოვდენ, რომ ღვედის მოძრაობა ძალზე ჩქარია, ვერ ვასწრობთ და საჭიროა სიჩქარის რამოდენიმედ შემცირება, რამოდენიმე კვირის შემდეგ დათხოვილ იქნენ ქარხნიდან, როგორც „ზედმეტი" მუშა-ხელი. ზოგიერთმა მოინდომეს ბეჯითობის გამოჩენა. ისინი ამორჩეულ იქნენ ზედამხედველთა მიერ და მათგან, როგორც ყველაზე უფრო ჩქარ მომუშავეთაგან, შეადგინეს ახალი ჯგუფი, რომელსაც „სანიმუშო ჯგუფი" ეწოდება. ესენი აკორდის ფასების პირობებში მეტ ფულს აკეთებენ, რადგან ჩქარა მუშაობენ. როდესაც ჩვეულებრივი ჯგუფები ტემპის სიჩქარეზე შესჩივიან, ან საკორდო ფასების ამაღლებას მოითხოვენ, ზედამხედველი უთითებს „სანიმუშო ჯგუფზე" და ამბობს—„აი მუშაობს ხალხი უფრო ჩქარი ტემპით, ვიდრე დაწესებულია, მაშასადამე, შემოღებული სიჩქარე სამართლიანია; თუ თქვენ უფრო ჩქარა იმუშავებთ, მეტ ფულსაც მიიღებთ, ისე როგორც „სანიმუშო ჯგუფი" იღებს, მაგრამ თქვენ გინდათ იზარმაცოთ, ასეთი ოინი კი ჩვენთან არ გაგივათო". ასე თანდათანობით ტარდებოდა შემოკლება ქარხნებიდან ისეთი ამხანაგების, რომელნიც მუშების ინტერესებს იცავდენ,—ამბობს მუშა-ქალი. მაგრამ მიუხედავად ამისა ქარხნის დღიური დამზადება კი არ შემცირებულა, არამედ გადიდდა, რადგან ღვედის მოძრაობა თანდათან აჩქარებულ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ დღიური წარმოება მეტად გაიზარდა და იზრდება,—ამბობს მუშა-ქალი, საკორდო ხელფასის პირობებში არც ერთი მუშა არ აკეთებს 40 ფენიგზე მეტს (20 კაპ., საათში. ვინც რამოდენიმე დღე მოძრავ ღვედთან მდგარა, იცის რაოდენია განსხვავება მასსა და უბრალო დაზგასთან მუშაობის შორის. 8 საათის მოძრავ ღვედთან მუშაობისა უდრის 10—11 საათის დაზგასთან მუშაობას. უბრალო დაზგასთან მუშას თავისუფალი მოძრაობა შეუძლია. მოძრავ ღვედთან კი?—ღვედის მოძრაობის ყოველი აჩქარება ავტომატიურად იწვევს მუშის მოძრაობის აჩქარებას და ღვედი სწოვს უკანასკნელ ენერგიას ჩვენი გაცვეთილი ძარღვებიდან — ამბობს მუშა-ქალი, ღვედთან მუშაობა იგივეა, რაც 2—3 საათის მუქთი ზედმეტი მუშაობა.

ამ პირობებში გასაგებია, თუ რისთვის ამჯობინებს მექარხნე მოძრავ ღვედს უბრალო დაზგასთან შედარებით. ასეთი მეთოდი არ ზოგავს მუშის ორგანიზმს, ამექანიზირებს შრომის პროცესს. აადვილებს მექარხნის კონტროლს და ამცირებს პირად შემადგენლობის შტატს. ეს მეთოდი ერთ და იმავე დროს საშუალებაა მუშის ენერგიის დაუზოგავი და მექანიური ექსპლოატაციისა, კუნთების მოძრაობის აჩქარებისა და შრომის პროდუქტიულობის შეუწყვეტელ ამაღლებისა.

გერმანიაში რაციონალიზაციის გატარების საქმეში ტონის მიმცემი იყო და არის ქიმიური ინდუსტრია. ქიმიურ მრეწველობის ბარონებმა მართლაც, რომ გადააცილეს ყოველივე რეკორდს. წარმოების კონსოლიდაციის საშუალებით ქიმიურ ინდუსტრიამ შესძლო მუშების ათეული ათასობით დათხოვა და უმცირესი მუშა-ხელის საშუალებით საერთო პროდუქციის არაჩვეულებრივად ამაღლება. ინდუსტრიის ბარონები, ცხადია, ცდილობენ, რამდენადაც შესაძლებელია, ამის შესახებ ცნობები არ გამოაქვეყნონ. ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითებს მათი „საიდუმლოებიდან".

ქიმიური ტრესტის სელიტრის წარმოების ერთ ქარხანაში მუშაობდა 160 მუშა, ქარხნის დღიური პროდუქცია უდრიდა 240 ტონას. დღეს დღიური პროდუქცია უდრის 480 ტონას და დათხოვნილია წარმოებიდან 60 მუშა.—100 პროც. გაძლიერებული ექსპლოატაციაა!

იმავე ტრესტის მეორე ქარხანაში (კალლე და ბიბრიხ), სადაც მუშების რაოდენობა 1926 წლის ივლისში 1070 უდრიდა, დათხოვილ იქნა 260 მუშა, დღეს მასში მუშაობს 810 მუშა, ქარხნის დღიური პროდუქცია კი უდრის 3.500 მუშის ძალას—300 პროცენტით გაძლიერებული ექსპლოატაცია!

ბადენის ანილინის და სოდის ერთ-ერთ ქარხანაში, სადაც ომის წინა პერიოდში თვითეული 120 მუშა-ხელი დღიურად 250 ტონა ამმონიაკს ამზადებდა, დღეს ყოველი 60 მუშა დღიურად 750 ტონას ამზადებს. 450 პროცენტით გაძლიერებული ექსპლოატაცია!

ვინტერჰალ-კონცერნის მოხსენება აღნიშნავს, რომ პროდუქცია თვითეულ მუშაზე 1 ცენტნესიდან 2 ნახ. ცენტნესამდე ამაღლდა. 1924 წლის 1 იანვრიდან 39.000 მუშისაგან დათხოვილ იქნა 14.000 მუშა. 1926 წლის 1 აპრილს კალის წარმოებაში მუშაობდა მხოლოდ 25.000 მუშა. დღიური პროდუქცია გაიზარდა 150 პროცენტით. კონცერნის შემოსავალი კი გაიზარდა 1.000 პროცენტით!

ქიმიური ინდუსტრიის ტრესტის ძირითადი კაპიტალი მის დაარსების დროს (1915 წ.) უდრიდა 646 მილიონ მარკას. მაშინ ეს ტრესტი ძლიერ ფინანსიურ ძალას წარმოადგენდა გერმანიაში. 1926 წლის სექტემბერში კი ამავე ტრესტის კაპიტალი შეადგენდა 1.100 მილიონ მარკას; დღეს მისი აქციების კურსი სამჯერ უფრო მაღლა სდგას, ვიდრე 1914 წელში. ამ ტრესტის წმინდა მოგება ოფიციალურად გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით უდრიდა 1925 წელში 68 მილიონს, როდესაც ამორტიზაციისათვის ნაანგარიშევი იყო 55 მილიონი (!); სინამდვილეში კი 1925 წლის წმინდა მოგება სჭარბობდა 100 მილიონს და 1926 წლის წლიური მოგება 200 მილიონთან ახლო სდგას. 1925 წლის წლიურ ბალანსში ეს ტრესტი უჩვენებს 45 მილიონს, როგორც მთავარ ხარჯებს. რა არის ეს მთავარი ხარჯები? მუშების ხელფასი და ჯამაგირები, რომელშიაც წარმოების დირექტორის ჯამაგირებიც შედის. მუშების ხელფასი აქედან სულ ბევრი 40 მილონს უდრის.

რომ მუშას კვირაში 60 საათიდან 30 საათი თავისთვის ემუშავა და 30—კაპიტალისტისათვის, მაშინ ზედმეტი ღირებულების მიმართება მუშის ხელფასთან 100 პროც. შეადგენდა. აქ კი დამოკიდებულება ასეთია: 100 მილიონი წმინდა მოგება და 40 მილიონი შრომის ხელფასი. ეს ნიშნავს, რომ 1925 წელში ქიმიური ინდუსტრიის მუშა კვირაში 2 ნახ. დღეს მუშაობდა თავისთვის და 3 ნახ. დღეს კი კაპიტალისტისათვის. დღევანდელი პროპორციით კი მუშას ალბად მხოლოდ 2 დღე ეკუთვნის, დანარჩენი 4 დღე კი კაპიტალისტს.

კაპიტალისტური რაციონალიზაცია, ისე როგორც ყოველი ბურჟუაზიული ღონისძიება, არა მხოლოდ სამსახურს უწევს კაპიტალისტურ საზოგადოებას, არამედ თანდათანობით ძირს უთხრის მას. ასეთი „რაციონალიზაციის" შედეგი არის ეკონომიური კრიზისის ის სახე, რომელსაც შინაურ ბაზრის მყიდველობითი ძალის დასუსტება ეწოდება და პოლიტიკური კრიზისის მოახლოება, რაიც გამოიხატება უმუშევართა რიცხვის შეუწყვეტელ ზრდაში, მუშათა მასების მოძრაობის მარცხენივ გადახრაში და გახშირებულ კონფლიქტებში მრეწველობის ადმინისტრაციასთან და ფაშისტურ ორგანიზაციებთან.

კოტა მეზრელაძე.

ბერლინი, 12 აპრილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მინდვრის სამუშაოები

ოზურგეთი, 23 აპრილი. დიდი წვიმების გამო შესწყდა ახლად დაწყებული მინდვრის სამუშაოები. ამინდი მეტად ცივი და ქარიანი იყო.

თითქმის ყველგან დასრულდა მუშაობა ბაღჩენახებში (ადს).

საგზაო მშენებლობა.

ახალქალაქი, 23 აპრილი. ხერთვისის თემში დაიწყო გზის შეკეთება. მუშაობა სწარმოებს შრომითი ბეგარის წესით. დანარჩენ თემებში გზების შეკეთებას შეუდგებიან მინდვრის სამუშაოების დასრულების შემდეგ (ადს).

ოსეთის სამხედრო გზაზე.

ქუთაისი, 23 აპრილი. ოსეთის სამხედრო გზის მე-127 ვერსზე ჩამოწვა ზვავი, რომელმაც გადაჭრა გზა 6 საჟენის მანძილზე. გზაზე გავლა შეუძლებელია.

იმავე გზის მე-117 ვერსზე ჩაინგრა ნაპირი გამმაგრებელი კედელი, ხოლო მე-116 ვერსზე ჩამოწვა კლდე. გზა გაწმენდილია და მიმოსვლა აღდგენილი. სწარმოებს მუშაობა გზის შესაკეთებლად.

მამისონის უღელტეხილზე მოდის თოვლი. თოვლისაგან უკვე გაწმენდილია გზა უწერიდან ქუთაისამდე. დიდი ტალახის გამო გზა მაინც გაუვალია (ადს).

წერილები

სოფელი სადაც კულაკები პარპაშობენ

(კოთელია, ახალ ქალაქის მ.)

ჩვენი სოფელი ახალქალაქის მაზრის ქართველ სოფელთაშორის, გარდა სოფელ ხიზაბავრისა, ერთ - ერთ დიდ სოფლად ითვლება: მასში 180-200 კომლამდე მცხოვრებია.

1918 წელში, ოსმალების შემოსვლის დროს, ჩვენი სოფელი დიდათ დაზიანდა, მაგრამ ეხლა ისევ წამოდგა ფეხზე. მხოლოდ ღარიბი გლეხები უმწეო მდგომარეობაშია. მათ არ ჰყავთ მუშა - საქონელი, არა აქვთ სახლკარი და სხვა.

ისინი ძალაუნებურად კულაკ გლეხებს აძლევენ თავისმიწა-წყალს დასამუშავებლად. საფასურად მოსავლის ნახევარს ან მესამედს იღებენ.

ბევრჯერ ყოფილა სოფელში ლაპარაკი ღარიბების მხრივ გაუმჯობესებული სამეურნეო მანქანების - ტრაქტორების და სხვ. შეძენის შესახებ, მაგრამ შეძლებულ—ხარ - გუთნის პატრონ გლეხებს ეს ლაპარაკი ყურშიაც არ მოსდით. ღარიბს მათთვის მიუძახნია: „ალბათ შეილოსან შენ არას იპაღლებ, ხარ-კამეჩი გყავს, გუთნეულს ატრიალებ, შენი მიწა-წყლის გარდა ჩვენს მიწა - წყალსაც მუქთ ფასებში ხმარობო“.

არც სწავლა - განათლების მხრივ სდგას სოფელი კოთელია სასურველ ნიადაგზედ: თუმცა სკოლა გვაქვს, მაგრამ იგი მოთავსებულია ყოფილ მემამულის დამპალ - აოხრებულ შენობაში. მასწავლებლები ხომ დიდ გაჭირვებას განიცდიან უბინაობისაგან. მეზობელ სოფლებმა, შედარებით კოთელიასთან ღარიბებმა, დიდი ხანია სკოლისთვის სპეციალური შენობები დაიდგეს.

აქაური კულაკები მხოლოდ იმის ზრუნვაში არიან, რომ სახნავ - სათესი გაიმრავლონ და ბეღელ - ორმოები პურით აავსონ. ოას დარდიდევენ თუ მათ სკოლა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება არ ექნება.

შეძლებული გლეხები რომ მათ ორიოდე გროშის დახარჯვა არ დასჭირდეს, ყოველ საზოგადო საქმის მოწყობას ისე ერიდებიან, როგორც ჩიტი ეკალს. ორი წლის წინედ მოვიწადინეთ ნაცვლად იმ ბინძური წყლისა, რომელსაც დღეს ვხმარობთ, გამოგვეყვანა ერთი ვერსის მანძილიდან მშვენიერი წყარო, რომელიც სიუხვით წისქვილსაც კი დაატრიალებდა. სამაზრო აღმასკომმა უსასყიდლოდ დაგვითმო თიხის მილები და საჭირო ცემენტი. მაგრამ რა გამოვიდა, ისევ ჩვენმავე მეზობლებმა აქეთ მიგრიხეს საქმე, იქით მოგრიხეს და დღემდე ეს საქმე განუხორციელებელი დარჩა. მილების ჩასაწყობათ რუ უკვე გავსჭერით, ე. ი. რაშიაც მივეცით მეზობელ სოფლის მცხოვრებლებს 400-500 მანეთი, როცა რუს გაჭრა დაამთავრეს მუშებმა, ვისაც რა შეგვხვდებოდა, და გაიანგარიშეს საფასური, ღარიბმა და ხელმოკლე ხალხმა თვისი ხვედრი მაშინვე მისცა, ხოლო მდიდრებმა იქამდის გააჭანჭლეს საქმე, სანამ მუშებმა სასამართლოს განაჩენით არ მოიგეს ფული. ეს დავა, ერთი წელიწადი გაგრძელდა. რუ ხელმეორედ ამოივსო მიწით. აღმასკომის მიერ მოცემული მილები და ცემენტი დიდი ხანია სოფელში მოტანილია. წყარო კი დღემდე გამოუყვანელია.

ამ საქმეზე ცენტრიდანაც კი 200 მანეთი დახმარება მოგვივიდა, მაგრამ ჩვენი სოფლის ძუნწ - მდიდრებს უნდათ, რომ თვითონ კაპეიკი არ გაიღონ და მზამზარეული წყარო სოფელში გამოუყვანონ.

აქვე არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიოთ ის, რომ დღემდე ხალხში ისევ არსებობს ცრუ-მორწმუნეობა და ძველი ადათები.

გახშირებულია „მკითხაობა“, მოლებისადმი მიმართვა, ექიმბაშების მოწვევა ავადმყოფობის დროს „შელოცვა“, „თვალისა“ „შიშისა“ და სხვა.

ამავე დროს ორი ვერსის მანძილზე ს. ზარალეთში ექიმიც, ბებია - ქალიც, ფერშალიც და აფთიაქიც არის.

აქაც კულაკები მეთაურობენ ხალხის სიბნელეს და ჩამორჩენილობას. ისინი წინააღმდეგი არიან საქმიმო პუნქტის, აფთიაქის და სხვა. სოფელი საზოგადოთ ჩამორჩენილია კულტურულად. აქ პარტორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების მხრივ საჭიროა მეტი სიმტკიცე და აქტივობა.

ჯავახელი.

ჩვენი საკრედიტო ამხ-ბის მუშაობა

(ს. ქვემო-მაჩხაანი, სიღნ. მ.)

ს. ქვემო-მაჩხაანში სხვა მრავალ კულტურულ და განმანათლებელ დაწესებულებებთან ერთად ნაყოფიერად მუშაობს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც მოკლე და გრძელვადიანი სესხის მიცემით ხელს უმართავს, როგორც ს. ქვემო - მაჩხაანის, ისე მის გარშემო მდებარე სოფლების გლეხ-კაცობას.

ქვემო - მაჩხაანის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ თავისი მუშაობა 1924 წლიდან დაიწყო. საკრედიტო ამხანაგობის წევრთა რიცხვი 455 კაცს უდრის. წევრთაგან შეის სახით დღევანდლამდე შემოსულია 3.554 მანეთი.

საკრედიტო ამხანაგობას დაარსებიდანვე სახელმწიფო ბანკიდან საბრუნავ თანხად მიცემული აქვს 4.000 მანეთი.

ამხანაგობას ძირითადი საკუთარი თანხა აქვს 308 მ. 50 კ., ხოლო სათადარიგო 949 მ. 53 კ.

ამასთანავე ქვემო - მაჩხაანის საკრედიტო ამხანაგობას სახელმწიფო ბანკიდან დღევანდლამდე მოკლე - ვადიან სესხად აღებული აქვს 21.912 მ. 82 კ., ხოლო გრძელ - ვადიანი სესხის სახით მიღებული აქვს 11.815 მ. 95 კ.

თვით ქვემო - მაჩხაანის საკრედიტო ამხანაგობას წევრებზე გაცემული აქვს გრძელ ვადიან სესხის სახით (1, 2, 3 წლით) — 10,528 მ. 29 კ. ხოლო მოკლე ვადიან სესხად (4,5 და 6 თვით) — 12.521 მ. 71 კ.

ქვემო - მაჩხაანის საკრედიტო ამხანაგობას ანაბარების სახით მიღებული აქვს 50 მანეთი, ხოლო თვით საკრედიტო ამხანაგობას ბანკში მიბარებული აქვს 81 — 39 კ.

ქვემო - მაჩხაანის საკრედიტო ამხანაგობას, იმ თანხებით, რომლებიც ბანკებიდან აქვს აღებული დამზადებული აქვს სასოფლო - სამეურნეო ნაწარმოები, როგორიც არის ღვინო, არაყი და ცოცხალი საქონელი. ამხანაგობის ოპერაცია უდრის 10,749 მან. და 26 კ., მაშასადამე საკრედიტო ამხანაგობა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა შეძენა - გასაღებას თავის საკმაო თანხას აწოდებს.

ამას გარდა ქვემო - მაჩხაანის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას 1212 მ. 75 კ. სხვადასხვა სახის ქონება აქვს.

ამხანაგობის საქმეებს წარმატებით აწარმოებს გამგეობა, რომლის წევრთა უნარიანობა და სიფხიზლეზეა დამოკიდებული დამაკმაყოფილებლად სესხით ხელის გამართვა ს. ქვემო - მაჩხაანის და მის გარშემო მდებარე სოფლების უღარიბეს და საშუალო შეძლების მცხოვრებთა ნაწილისა.

შიდარა.

საჭიროა წინასწარი მუშაობის ჩატარება

(ბორჩალო, დუშანისის თ.)

ჯერ ყველამ არ იცის თუ რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო დაზღვევას.

ჩვენმა სახდამზღვევო სააგენტოებმა კი აიღეს და დააზღვიეს გლეხის ჭირნახული, მსხვილფეხა საქონელი და სხვა.

გლეხი პრაქტიკოსია და ამავე დროს ეჭვიანი, ის დაშინდა. რაც ქონება ჰქონდა იმის ნახევარი დააწერინა, და ასე ამნაირად ბორჩალოს სადამზღვეო სააგენტოებმა დაამთავრეს თავიანთი მუშაობა.

შემდეგ სააგენტოები შეუდგნენ დაზღვეული ქონების გადასახადების აკრეფას გლეხობისაგან.

აქ სრულებით დაშინდა გლეხობა. შეიქმნა ერთი პანიკა გლეხობაში. გლეხმა არ იცოდა რაში სთხოვდენ ფულს.

იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი აღმასკომის შენობაში თავი მოეყარა გლეხობას და დაახლოებით შემდეგს ამბობდენ:

— ვინ დააზღვევა ჩვენი ქონება?

— თუ კი ჩვენ ღმერთი დაგვიხოცავს საქონლებს, დე—დახოცოს“.

საჭირო იყო სახდაზღვევის ორგანოებს წინასწარი ფართე ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაეტარებია სოფლად დაზღვევის მნიშვნელობის შესახებ.

ეს ასე, რომ ყოფილიყო, სახდამზღვევ აგენტებს ფულის მოკრეფისას არ დასჭირდებოდათ მილიციონერები და გლეხების ქონების აღწერა.

მ. კაზარიანი.

წერილებიდან

ქირულა, (ბორ. მ.)

ბიუროკრატი აფთიაქარი. ამხ. ონიფანტე ოყრომიძეს წამალი უნდა გამოეტანა აფთიაქიდან საღამოს 5 საათზე. დანიშნულ დროზე ის გამოცხადდა აფთიაქში, მაგრამ აფთიაქის თანამშრომლები სადღაც დროს ატარებდნენ და მხოლოდ 6 საათზე გამოცხადდა ერთი მათგანი ნასვამი, ბესიკო კვინიხიძე, რომელმაც უმიზეზოთ დაუწყო ყვირილი ოყრომიძეს და წამლის მისაღებათ 9 საათისათვის დაიბარა. 9 საათზე გამოცხადდა ამხ. ოყრომიძე, მაგრამ აფთიაქი დაკეტილი აღმოჩნდა. რა არის ეს—თუ არა ძველი ჩინოვნიკობა და ბიუროკრატიზმი?

ოყო.

მუშათა ცხოვრება

ფასების დაკლების კამპანია და მუშგლეხკორები

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ წამოაყენეს ამოცანა, რათა პირველ ივნისისათვის ფასები საწარმოო საქონელზე დაკლებული იქნეს ათი პროცენტით. ზედმეტია ლაპარაკი იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებას აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. ეს გარემოება დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. თვითეული პატიოსანი მშრომელი მოვალეა ყოველ მხრივ შეუწყოს ხელი ამ კამპანიის სასურველად ჩატარებას, თვითეული მშრომელი მოვალეა მხურვალე და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში, ვინაიდან ფასების დაკლების კამპანიის წარმატებით ჩატარება შეუძლებელია მშრომელთა ფართო მასის მონაწილეობის გარეშე. კერძოდ მუშა და გლეხ კორესპონდენტებს მართებთ განსაკუთრებული სიფხიზლე ამ საქმეში.

როგორ და რა სახით უნდა მიიღონ მუშა და გლეხ კორესპონდენტებმა მონაწილეობა ფასების დაკლების კამპანიაში?

როგორც ვიცით ფასების დაკლების კამპანია უკვე კარგა ხანია დაიწყო. როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე სათანადო ორგანოებმა უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯი პარტიის და ხელისუფლების ამ დირექტივის გასატარებლად. მუშა და გლეხ კორესპონდენტებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური, იმას, თუ როგორ და რანაირად ტარდება ეს კამპანია. შესაძლებელია გადახრები სწორი ხაზიდან, შესაძლებელია ადგილი იქნეს დირექტივის დამახინჯებას, შესაძლებელია ისიც, რომ ზოგან არც კი არის დაწყებული მუშაობა. ამ მხრივ. მუშა და გლეხ კორესპონდენტებმა უნდა აღნიშნონ ეს გარემოება პრესის საშუალებით და ამრიგად საშუალება მისცენ ხელმძღვანელ ორგანოებს დროზე გამოასწორონ შემჩნეული ნაკლი. ხოლო ნაკლი რომ არის, ეს უდავოა. იყო მაგალითად ისეთი შემთხვევა, როდესაც საქონლის გაიაფებასთან ერთად გაუარესდა მისი ღირსება, ან და საქონელი გაიაფდა, მაგრამ ზომა, ან წონა მოუკლეს (ბულკები) და სხვ. ყველაფერი ეს არ უნდა გამოეპაროს მუშკორის და გლეხკორის ფხიზელ თვალს.

რასაკვირველია, მხოლოდ ნაკლის აღნიშვნა არ უნდა შეადგენდეს მუშგლეხკორის მიზანს. აუცილებელია და საჭიროც იმ მიღწევით აღნიშვნაც, რომელიც უკვე არის. საჭიროა ი. მუშაობის გაშუქებაც, რაც ჩატარებულ იქნა ფასების დაკლების დარგში. ყველაფერ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მოუწოდებთ ჩვენი გაზეთის მუშა და გლეხ კორესპონდენტებს მოგვაწოდონ კორესპონდენციები ამ საკითხის შესახებ.

გ. —ძე

ყველას თავისებურად ესმის.

ამ უკანასკნელ ხანებში გამწვავდა 42 საათის დასვენების საკითხი. ყოველდღე ათეულობით მუშას შეაქვთ განცხადება, ზოგს პირადი, ზოგს კიდევ კოლექტიური ადგილკომში, ადმინისტრაციასთან, საერთო კრებებზე და სხვ. რასაკვირველია, მუშები არც არიან გასამტყუნარი, ვინაიდან ვისთანაც არ მიხვალ და მოითხოვ ახსნა-განმარტებას, როგორც 42 საათის დასვენების, „პრემიების“, „გარბენის“ შესახებ, ყველა თავისებურად გიხსნის. ეს დიდ გაუგებრობას იწვევს მუშებში, უმეტესად მემუხრუჭეებში და გამცილებელ-დამცველებში.

„მე მქონდა დასვენება 42 საათი, მაგრამ, თანახმად ბრძანებისა, გამომიძახეს სამუშაოდ 30 საათის შემდეგ, ე. ი. მე დავისვენე 30 საათი, 12 საათი კი დასჭირდათ მათ. მაგრამ 12 საათის მაგიერად მე ვიმუშავე 25 საათი. მერგება თუ არა 42 საათის ორმაგად“.

აი ასეთი კითხვები მრავალია. უნდა მოგახსენოთ, რომ კავშირის წევრი გარკვეული უნდა იყოს ასეთ კითხვებში. თქვენ დაისვენეთ 30 საათი, შემდეგ იმუშავეთ 25 საათი, ვინაიდან თქვენ გაჰყიდეთ ორმაგათ 12 საათი და ზედმეტი კიდევ იმუშავეთ 13 საათი, მაშასადამე, თქვენ ღებულობთ 12 საათის ორმაგ საფასურს და ისვენებთ 26 საათს.

მეორე საკითხი, რომლის შესახებ ათასობით შედის განცხადებები ადგილკომში და შრომის ინსპექციასთან. მაგალითად, მემანქანემ თუ მემუხრუჭემ უნდა შეასრულოს თავისი ნორმა, ე. ი. 192 საათი თვეში. რაღაცა მიზეზით მან იმუშავა 140 საათი და დააკლდა 52 საათი. ვისაც ეს საათები დააკლდა, ის სწერს განცხადებას და ადგენს, სადაც საჭიროა. ეს საკითხიც უნდა განემარტოს იმ ამხანაგებს, რომლებსაც ცალმხრივად ესმით. შრომის კოდექსში ნათქვამია შემდეგი: თუ თქვენ აიღეთ 65% საშუალო სამუშაო ჯამაგირის მიხედვით (თუნდაც გქონდეთ 140 საათი ნამუშევარი), თქვენ გეკარგებათ 52 საათის მოთხოვნის უფლება. მაგალითად, თქვენ გაქვთ ჯამაგირი თვეში 50 მანეთი, უნდა იმუშაოთ 192 საათი, მაგრამ იმუშავეთ 140 საათი და საშუალო კი მიიღეთ 65 პროცენტი, ე. ი. 32 მ. 50 კაპ. თქვენ აღარ გაქვთ უფლება მოითხოვოთ 52 საათის ღირებულება და მისი განსხვავება.

მესამე საკითხია—ვინ უნდა მიიღოს „პრემია“ და „გარბენის“ ღირებულება. მან, ვინც ფაქტიურად ეწევა შრომას და აკეთებს ეკონომიას, თუ მათ, ვისაც მუშაობასთან არაფერი საერთო არა აქვთ. ეს ერთი უმთავრესი საკითხთაგანია, რომლის შესახებ ვერც ერთ კანონში ვერ ვიპოვეთ ვერაფერი.

მუშკორი შავხოფელი.

როგორ ტარდება ხელის მოწერა სახელმწიფო სესხზე

(აღფასკომში)

1927 წლის სახელმწიფო ობლიგაციებზე ხელისმოწერა ჩაატარა აღმასკომის ყველა ადგილკომებმა. საბჭოთა და სავაჭროთა პროფკავშირის ადგილკომმა ჩაატარა ხელის მოწერა პრეზიდიუმის და საფინანსო განყოფილების ბუღალტერიულ თანამშრომელთა შორის.

მარტო პრეზიდიუმის ბუღალტერიაში შემავალმა თანამშრომლებმა შეიძინეს 1.400 მან. ობლიგაცია.

ჯაფარ-ფაშა.

ჩვეულება?

(ყურმოკრული ლაპარაკი „არტილერიის ბაღკაში“.)

— არიქა გვიშველა.

— რა გეწყელა?!

— გვიშველა, გვიშველა.

— არ მეტყვი რაშია საქმე?

— აგერ... ზაჰესის მავთულებს სჭიმავენ. აწი ჩვენი დაკარგული ქუჩა განათდება.

— ჰეჰ.. მარტო განათება რას ვარგია. გაწვიმდება თუ არა ქუჩაში ისეთი ლაფი დგება, რომ გავლა შეუძლებელი ხდება.

— ქუჩასაც მოკირწყლავენ.

— როდის?!

— რა ვიცი როდის. გაზეთებში ვსწერთ, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს ამსაქმეს.

— რას ამბობენ?!

— ალბად ასე ფიქრობენ: „ვინც რაც უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“.

ნიკო ახ—ლი.

ანტირელიგიური ლექცია

(კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი“)

21 აპრილს კოლოფების ქარხნის „ინტერნაციონალი“-ს კულტკომისიამ მუშებისათვის ქარხანაში მოაწყო ანტირელიგიური ლექცია შემდეგ თემაზე: იყო თუ არა ქრისტე.

აღნიშნულ ლექციის ჩასატარებლად პროფსაბჭოს კულტგანყოფილებიდან მოწვეული იყო ლექტორი ნიკ. სტერელეცკი. ლექციას მუშების საგრძნობი რიცხვი დაესწრო. ისინი გულმოდგინეთ უსმენდენ ლექტორის საუბარს რომელმაც მდაბიო ენით, აუხსნა და დაუსურათა მათ მითის წარმოშობა ქრისტეს შესახებ.

ლექციის შემდეგ, მუშებმა ოცარებელი შეკითხვები მისცეს ლექტორს, რომელმაც ამომწურავი პასუხი გასცა ყველას.

მუშები კმაყოფილნი დარჩენ და ლექტორს—სტერელეცკის უძღვნეს მადლობა.

მუშკორი გაზო.

საღამო ხაშფო საზოგადოების სასარგებლოდ

27 აპრილს, პლეხანოვის სახელ. კლუბში გაიმართება საღამო თბილისის საყუდის შეფსაზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად. დადგმული იქნება კომედია: „ქალის ათას ერთი ცბიერება“, შემდეგ გაიმართება კონცერტი. აზიური ბალეტი, მუშა - გლეხების შემოქმედების ნიმუშებს სახალხო მუსიკაში შეასრულებს დეპოს მუშა მ. დევაძე და ალ. სხილაძე, სახელოსნოს მუშა გვარამაძე აჩვენებს „ინდოეთის საიდუმლოებიდან“ ნომრებს. დივერტისმენტში მიიღებენ მონაწილეობას მუშა მწერლები. შაქრო ნავთლუღელი, გიგო შინატეხელი და სხვები. საღამო დასრულდება ცეკვა თამაშით.

მუშკორი ძია-ლევან.

საყურადღებო წვრილმანი

ექიმების შტატის შემცირება, როგორც სჩანს, დამზღვევ სალაროს მექვსე სარაიონო ამბულატორიაში ექიმთა შტატი მცირე არის. ამის გამო, ალბად, ავადმყოფები ზოგჯერ რამოდენიმე დღე რჩებიან საქმიმო დახმარების გარეშე. იყო შემთხვევა, როდესაც ავადმყოფ ბავშვის მშობელმა მოითხოვა ექიმი, მაგრამ ექიმი მას მხოლოდ მესამე დღეს მისცეს. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

პ. ჩხაიძე.

გაუნათებელი ქუჩები — ბოროტმოქმედების ბუდეა. მოსკოვის ქუჩის გაყოლებით ჩიხები, მაგ. კურსკის შესახვევი და სხვ. გაუნათებელია. ამიტომ, ამ ქუჩებზე ხშირად ხდება ხოლმე ქურდობა და სხვაბოროტმოქმედება. მილიციის პოსტი დაშორებულია, ხოლო მეეზოვეები იშვიათად ათვალიერებენ ამ ბნელ ქუჩებს. ასეთივე მდგომარეობა არის მათე უბანში ბატარეის ქუჩაზე. საჭიროა ამგვარი გარემოებას ყურადღება მიექცეს.

მუშკორი №№ და ი. ჯ.

მოძრაობა შეფერხებულია. სადგურის პირდაპირ საბაღო და სადგურის ქუჩის კუთხეში, სადაც ტრამვაის რონოდა ჩერდება აუარებელი მგზავრები გროვდება. სწორედ ამ ადგილას სდგას ქვიშის ყუთი და აფიშების გასაკვრელი ბუდკა, რომელიც ამავე დროს სავაჭროსაც წარმოადგენს. ეს ყუთი და ბუდკა ძალიან უშლის ხელს მოძრაობას. საჭიროა ამ ბუდკის აღება და ქვიშის ყუთის გადატანა გოგოლის ჩიხში. ამავე კუთხეში უნდა გაკეთდეს ცემენტის მოაჯირი, ისეთივე, როგორც სადგურის ქუჩაზეა, რადგან ტროტუარებზე წყალი დგება, რომელიც სარდაფში ჩადის და კედლებს აფუჭებს. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს ქალაქის აღმასკომის კეთილმოწყობ განყოფილებამ.

მუშკორი ლიაპისი.

ხშირი მოვლენა თბილისის განაპირა ქუჩებზე. — ნიკო, რას იცქირები აქ ზევით? გამოვეხმაურე ჩემს მეგობარს, რომელსაც თვალები ზევით ქონდა მიქცეული და ხელებს ტანსაცმელზე ისვამდა.

— ამ აივნიდან იმოდენა წყალი გადამასხეს, რომ კინაღამ დამღრჩო.

— ვინ ყოფილა ისეთი მადლიანი, რომ შენი განბანვა მოუდომებია?

— რა ვიცი! ჩემს ხმაურობაზე ერთი კი გამოიხედა ვიღაც იყო და შემდეგ აღარ მომჩვენებია

— შე დალოცვილო, ამაზე ჯავრობ? იმას შენი სიყვარულით მოსვლია ეს ამბავი და შენ კი ამას არ გრძნობ.ასე რომ არ მოქცეულიყო, შენ ყურადღებას არ მიაქცევდი.

ასეთი ლაპარაკით გზა განვაგრძეთ, მაგრამ აქაც უბედურებას ვერ ავცილდით. ვიღაცას ხალიჩა გადმობერტყა და მტვერი სულ თავზე გადაგვაფერთხა. გვინდოდა ოქმი შეგვედგინა, მაგრამ ჩვენი ინტერესების დამცველი ახლო არავინ სჩანდა.

ამ უწესობას ყურადღება უნდა მიექცეს. სასტიკად უნდა აიკრძალოს ქუჩაში წყალის გადმოღვრა და ნოხების გადმობერტყა.

ვეძელი.

წითელ ჯარში

1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდების გაწვევა ტერიტორიალურ შეკრებაზე

სამი კვირის შემდეგ, ე. ი. მიმდინარე წლის 15 მაისს საქართველოში დაიწყება 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდების სამოსწავლო ტერიტორიალური შეკრება.

გასული წლის შემოდგომაზე, 1904 წელში დაბადებულთა გაწვევის დროს, წითელი ჯარის რიგებში ახალგაზრდობის ერთი ნაწილი დანიშნულ იქნა სამსახურის გასავლელად ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში.

ტერიტორიალურ ნაწილებში მოჰყვნენ ისეთი ახალგაზრდები, რომელთაც ჰქონდათ უფლება შეღავათზე ოჯახურ - ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით. მათი ამხანაგები, რომელნიც მოჰყვნენ კადრის შემადგენლობაში უკვე ნახევარი წელიწადია, რაც იმყოფებიან არმიის რიგებში და იძენენ სამხედრო ცოდნას. ცვალებადნი კი დღევანდლამდე იმყოფებიან სახლში და ეწევიან მეურნეობას.

რათა ცვალებადებმაც შეიძინონ საჭირო სამხედრო ცოდნა, რომ ისინი საჭიროების დროს შეუერთდნენ წითელი არმიის რიგებს, ამისათვის მათ 15 მაისიდან გაიწვევენ სამოსწავლო შეკრებაზე სამი თვის ვადით, ე. ი. 15 აგვისტომდე.

სამოსწავლო ტერიტორიალურ შეკრებაზე ცვალებადებმა უნდა მიიღონ იმდენი სამხედრო ცოდნა, რამდენიც მიიღეს მათი ჰასაკის არმიელებმა 6 თვის განმავლობაში, წითელ ჯარში. ამისდამიხედვით შეკრებას ეძლევა რთული ხასიათი და ახალგაზრდობა, რომელსაც უწევს შეკრებაზე გასვლა, ადრევე უნდა მოემზადოს სწავლებისათვის და გაეცნოს სამეცადინო პროგრამას.

მათი ვალია ეხლავე დაიჭირონ კავშირი სამხედრო კუთხეებთან და ადგილობრივ ჯარის ნაწილების წერტებთან, საიდანაც ისინი მიიღებენ საჭირო ცნობებს შეკრების ირგვლივ.

ნაწილში გამოცხადებისთანავე ახალწვეულნი ცვალებადები დაყოფილ იქნებიან ჯგუფებად იმ სპეციალობის მიხედვით, რომელიც უნდა შეითვისონ მათ. ასეთი დანაწილება ხდება იმ მოსაზრებით, რომ ერთი რაიონის, ან სკოლის ახალგაზრდები მოხვდნენ ერთ ნაწილში, რაც გაუადვილებს მათ სწავლების საქმეს და ამასთანავე შეაკავშირებს ყველა მებრძოლებს.

შეკრების დროს ახალწვეულნი გაეცნობიან და შეისწავლიან ყოველგვარ იარაღის ხმარებას, შენიღბვას, ადგილ - მდებარეობასთან შეხამებას და მრავალი სხვა.

სწავლების მთელი პროგრამა დაყოფილია ოთხ ძირითად ნაწილად: საერთო განათლებითი და პოლიტიკური მომზადება, ფიზიკური მომზადება, ბრძოლის ტექნიკური საშუალებათა შესწავლა და ტაქტიკური — სასროლო მომზადება.

რათა მომავალი სამოსწავლო შეკრება ჩატარებულ იქნეს წარმატებით და ახალგაზრდობამ მიიღოს საჭირო ცოდნა, ეხლავე მიღებულ უნდა იქნეს ყოველგვარი ზომები, რომ შეკრებაზე მთელი ახალგაზრდობა გამოცხადდეს უკლებლივ და დაუგვიანებლად.

მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში ის გარემოება, რომ სწავლების დრო სასტიკათ არის გამოანგარიშებული საათობით და ახალწვეულთა დაგვიანება შეაფერხებს სწავლების საქმეს. ეს უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს ყოველ ახალგაზრდას და ივი დროზე უნდა გამოცხადდეს თავის ნაწილში.

შეკრების მნიშვნელობის ირგვლივ გაწეულ უნდა იქნეს ფართე სააგიტაციო კამპანია სოფლის ყველა დაწესებულებების და პარტ. და კომკავშირის ორგანოების მიერ. უეჭველია, ამ კამპანიის ჩატარებაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ ჯარის ნაწილების წერტებმა და სამხედრო კუთხეებმა.

მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ სწავლების განმავლობაში ახალგაზრდობა უზრუნველყოფილ იქნებიან ბინებით, ტანსაცმელით და კვებით. ცვალებადი ახალგაზრდები სარგებლობენ დაწესებული შეღავათებით. ახალგაზრდობის გლეხური ნაწილი სარგებლობს სამეურნეო გადასახადის ვადის გაგრძელებით ერთი თვით.

მუშა - მოსამსახურეებს, რომელნიც გაწვეული იქნებიან სწავლებაზე, ენახებათ ადგილი სამსახურში და სწავლებაზე წასვლის წინ ღებულობენ კუთვნილ ხელფასის ნახევარს.

სწავლების დაწყებამდე მოკლე დრო დარჩენილი და ეს დრო სარგებლიანად უნდა იქნეს გამოყენებული.

ა. ზ.

წითელ არმიელთა კონფერენციები

27 აპრილიდან დაიწყება წითელ არმიელთა ფართე კონფერენციები თბილისის, ქუთაისის და სხვა გარნიზონებში.

კონფერენციების მიზანია გაუკეთოს ჯამი ზამთრის პერიოდში განვლილ მეცადინეობას და სწავლებას და გამოიმუშაოს მომავალ საბანაკო პერიოდის სამუშაო გეგმა.

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

მომავალ ტერიტორიალურ შეკრებაზე, რომელიც ჩატარებული იქნება მიმდინარე წლის მაისიდან, გამოცხადდება მრავალი წერა-კითხვის უცოდინარი ახალწვეული. ამასთან დაკავშირებით ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილება უკვე შეუდგა სათანადო მზადებას. აღძრულია შუამდგომლობა პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის წინაშე, რათა უკანასკნელმა გამოჰყოს მასწავლებელთა საჭირო რიცხვი და მიაწოდოს ჯარის ნაწილებს სახელმძღვანელოები, რვეულები და სხვა ნივთები.

მზადება პრესის დღისათვის

ქართული ჯარის ნაწილები უკვე შეუდგნენ სამზადისს პრესის დღის ჩასატარებლად. გაცხოველებული მზადება სწარმოებს სამხკორთა წრეებში.

ამ დღისათვის ნაწილებში გაკეთებული იქნება მოხსენებები პრესის დღის ირგვლივ, მოხდება სამხკორთა საზეიმო კრებები, კედლის გაზეთების გამოფენა, საუკეთესო მკითხველთა და სამხკორთა აღნიშვნა და დაჯილდოვება.

5 მაისისათვის გამოვა გაზ. „წითელი არმიელი“-ს სპეციალური ნომერი.

სია

თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის, რომელნიც გაწვეულ არიან სამოსწავლო შეკრებაზე და უნდა გამოცხადდენ საქმიმო შემოწმებაზე თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში 1927 წლის 5 მაისს დილის 9 საათზე

1) ზაბეშტა ნ. გ., 2) ლაბაძე კ. ი., 3) ქავეროვი ნ. ს. 4) ბატრიკოვი ა. ო., 5) პეტროვი მ. ვ., 6) ზაიცევი ე. ფ., 7) კაჭარავა დ. თ., 8) მუხინი კ. მ. 9) კაპანიცკი ნ. ი., 10) გრიგოლია ა. გ., 11) კოვალიოვი ვ. ი., 12)ადამია ა. გ. 13) ოზოლინი გ. ი., 14) შულცი ბ. დ., 15) სლადკოვი პ. რ., 16) გროსიტსკი კ. კ., 17) სტაროსელსკი მ. ი., 18) კოკაშვილი ა. ვ., 19) ჩერქაშვილი ვ. პ., 20) შაჩენოვი გ. ე., 21) კორზუნი ნ. გ., 22) ცუცქირიძე მ. ნ., 23) პარფენოვი ი. ი., 24) მაზური რ. რ., 25) ვაჩნაძე ს. ა., 26) გამრეკლიძე ს. ვ., 27) მალიუკი ს. გ., 28) აბაშიძე ვ. ი., 29) ალექსანდროვი ა. პ., 30) ბოგატირიოვი ი. ნ., 31) ჩებანოვი ა. მ., 32) ცხადაძე ა. ა., 33) მებუკე ი. ნ., 24) ნასყიდაშვილი ზ. გ., 35) ხუროშვილი ვ. გ., 36) პრეგაძე ს. ლ., 37) კრეჟივონსკი ა. ე., 38) ფროლოვი ა. ი., 39) ჩანჩალეიშვილი ს. კ., 40) დეკანოზიშვილი გ. დ., 41) ციციშვილი ნ. ი., 42) მიხაილოვი თ. მ., 43) ზანკოვსკი ი. ნ., 44) ქებაძე ს. ს., 45) ლიკშერეიმსკი ა. ი., 46) მილინი ი. ი., 47) როსტომაშვილი პ. ზ., 48) სოლომონოვი თ. ვ., 49) არისტოვსკი მ. ვ., 50) ატოიანი ა. ა., 51) კუჩინი ბ. ვ., 52) ჩარექოვი ს. მ., 53) თარამიშევი ს. გ., 54) პაცევიჩი ს. პ., 55) ლახვიცკი მ. ზ., 56) კარპოვსკი ს. ი., 57) ზინოვიევი თ. კ., 58) ღლონტი შ. გ., 59) ბაბახანილი ქ. თ., 60) რუდენკო ბ. ტ., 61) დობიჩინი ვ. ნ., 62) ინგოროყვა ე. ა., 63) პაპავა ვ ნ., 64) შაპორინსკი გ. ა., 65) კოშალევი ვ. ფ., 66) ბერიძე ნ. ა., 67) ცინცაძე ს. ფ.

(გაგრძელება იქნება)

ავტო-ტრანსპორტი

მზადება ავტომიმოსვლის სეზონისათვის.

„ზაკავტოპრომტორგ“-ი ამთავრებს მოსამზადებელ მუშაობას ამიერ-კავკასიაში ავტომიმოსვლის სეზონის გახსნისათვის.

როგორც „ზაკავტოპრომტორგ“-ის გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს, მიმდინარე საზაფხულო სეზონში, ავტომანქანების რიცხვის თვალსაჩინოდ გადიდების გარდა, განზრახულია სამი ახალი ხაზის გახსნა: ბაქო—მარდაკიანის, ერევან—ახალ-ბაიაზეთის და ბათომ—მერისს შორის.

წელს სულ ექსპლოატაციაში იქნება 218 მანქანა. მათგან 136 იქნება სამგზავრო, 75 საბარგო—მისაბმელებით და 7 მოტოციკლეტი.

განსაკუთრებული ყურადღება წელს მიქცეული აქვს საბარგო ავტომობილების პარკის განახლებას. უკვე მიღებულია 22 ახალი მანქანა „სორერ“-ის სისტემისა, თითოეული მათგანი დაიტევს 3½ ტონა ბარგს. მიღებულ მანქანებიდან 6 მანქანა გაიგზავნება აზერბეიჯანში, 6 დარჩება საქართველოში, 4—სომხეთში და დანარჩენი აჭარისტანში და აფხაზეთში.

საქართველოში ავტომიმოსვლა წელს იწარმოებს 16 მიმართულებით, სომხეთში—8 მიმართულებით და აზერბეიჯანში—7 მიმართულებით

მიმოსვლის ახალი განწესრიგება გატარებული იქნება 15 მაისიდან და იგი შეთანხმებული იქნება ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მატარებლების მიმოსვლის განწესრიგებასთან.

ახალი ავტომობილები

ა.-კ. ავტომობილების სავაჭრო - სამრეწველო საქციო საზ-ბამ — „ზაკავტოპრომტორგ“-მა მიიღო საბჭოთა წარმოებებში დამზადებული ათი საბარგო ავტომობილი „ამა“.

ამასთანავე მიღებულია „ზაურერი“-ს სისტემის 22 საბარგო ავტომობილი — 10 მისაბმელით და ამავე ფირმის 4 ავტობუსი.

მოკლე ხანში მოსალოდნელია იტალიური ფირმის „ლიაჩი A“-ს ოცი, ორტონიანი საბარგო ავტომობილის მიღება. შესაძლებელია მათი გადაკეთება ავტობუსებათ.

ავტომობილის ტარიფი

ა.-კ. გზების გამგეობასთან არსებულ საუწყებათაშორისო - სატარიფო თათბირმა, „ზაკავტოპრომტორგის“ მანქანებით სამგზავრო ტარიფის ვადა გაგრძელდა 15 ივლისამდე.

მგზავრობის სეზონი

ავტომობილებით გამგზავრების სეზონი, ბორჯომ - აბასთუმნის შორის გაიხსნება პირველ ივლისს.

მიუხედავად ამისა ავადმყოფების გადაყვანა დაიწყება 20 მაისიდან.

ვისი დღესასწაულია „აღდგომა“

აღდგომა ისე, როგორც სხვა სარწმუნოებრივი დღესასწაულები, მჩაგვრელი კლასის ინტერესებს ემსახურება. რელიგია მოქმედობს მასების ცნობიერებაზე ბურჟუაზიის სასარგებლოთ. კაპიტალისტებს სურთ, რომ მშრომელმა ხალხმა მოთმინებით გადაიტანოს ყოველგვარი მწუხარება, ყოველგვარი უბედურება, რომელსაც მათ აყენებს კაპიტალისტური კლასი. ამიტომ არის, რომ ურჩევს მორწმუნეებს, მოთმინებისა და გაჭირვების ატანის საქმეში მიჰბაძონ ქრისტეს, რომელიც „თვითონ ითმენდა და სხვასაც ურჩევდა ამ მოთმენას“.

ბურჟუაზიულ კლასს თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად ესაჭიროება ორი ძალა: ჯალათი და მღვდელი. ჯალათი აწამებს, ძალადობას ხმარობს, ჰკლავს. მღვდელი ამშვიდებს შეურაცხყოფილს, გაუბედურებულს, სასოწარკვეთილ ხალხს და ეუბნება: „რამდენათაც უფრო იწვალებ ამ ქვეყნად, რამდენათაც უფრო მეტს მოითმენ შეურაცხყოფას და ჩაგვრას, იმდენათ მეტად დაგაჯილდოვებენ საიქიოში. აღდგომა დილით მღვდლები იკაზმებიან ნათელ სამოსელში, ქრისტეს გამოხატულება გააქვთ და ქადაგება ტანჯვის ატანის შესახებ იცვლება ნეტარების და განცხრომის ქადაგებით, რომელსაც თან მოსდევს კლასობრივი ზავის ჩამოგდება. „ქრისტე აღსდგა“ გაისმის ხმა. „ჭეშმარიტად“ უპასუხებს მორწმუნენი. „ძმანნო, გადაეხვიეთ ერთმანეთს“ „ვაპატიოთ ჩვენს მტრებს, ცოდვები ისე, როგორც ქრისტემ აპატია“— ღაღადებენ მღვდლები. ეკლესია გაჩირაღდნებულია სანთლებით, მორთულია ყვავილებით, ისმის სიხარულის ხმები და მორწმუნე გულში იკრავს ექსპლოატატორს.

ბურჟუაზიას ყველაზე უფრო უყვარს აღდგომის დღესასწაული და ქებათა - ქებას ასხამს მას, რადგან ის მისთვის დიდათ სასარგებლოა აღდგომის დღესასწაულებში იზრდება რა რელიგიური გრძნობა, სუსტდება კლასობრივი სიძულვილი, სუსტდება მშრომელთა რევოლიუციონური ნებისყოფა და ისინი უთმობენ, ურიგდებიან თავიანთ მოსისხლე მტრებს.

ამ რიგად აღდგომას დიდი ზიანი მოაქვს მუშათა კლასისათვის.

ბურჟუაზიას სურს თავისი სისხლიანი პოლიტიკა შეალამაზოს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულით. კაპიტალი თავის გაუმაძღარი მადის დასაკმაყოფილებლად არავითარ საშუალებებს არ ერიდება, არავის არ ინდობს. კაპიტალისტური ქვეყნებში აწარმოებენ მუშების დევნას, ათასობით და ათი - ათასობით მათ ციხეებში ალპობენ, აწამებენ და სიცოცხლეს ასალმებენ. კაპიტალისტური სახელმწიფოები ჩაგრავენ და სტანჯავენ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებს: ჩინეთს, ინდოეთს, სირიას, ეგვიპტეს და სისხლის მორევში ახშობენ მათ განთავისუფლებელ მოძრაობას. სამღვდელოება ამ გაუმაძღარ კაპიტალისტურ მგლებს [illegible] ტაშს უკრავს, ამართლებს მათ ცერაგ, სისხლიან პოლიტიკას, ლოცვა - კურთხევას უგზავნის მათ და გამარჯვებას უსურვებს იმპერიალისტებს „ქრისტიან“ სარდლობის მახვილს. სამღვდელოება ყოველთვის ახალი აზრის, ახალი საზოგადოებრივ ცხოვრების მტერი იყო [illegible] და არის. ვინ მოსთვლის [illegible] მილიონი ადამიანი დაღუპულა ეკლესიისა და ღვთის სახელით სამღვდელოების მიერ?

მენშევიკებიც ბანს აძლევენ სამღვდელოების გაიძვერულ პოლიტიკას. ისინი ლამობენ ქრისტიანობა მოაჩვენონ მუშებს იდეალური, ლამაზი ფერადებით, ქრისტე კი ტანჯულ გვემულთა, მშიერ - მწყურვალთა ინტერესების დამცველად. ისინი ფიქრობენ, სოციალიზმის ქრისტიანობასთან შერიგებას. გერმანიაში, ინგლისში და ამერიკაში მენშევიკური მუშათა ყრილობები იწყება პანაშვიდებით. სოციალ - დემოკრატიულ პარტიის რიგებში დასავლეთ ევროპაში, არა მარტო მღვდლები, არამედ ეპისკოპოზებიც მოიპოვებიან. სადაც არსებობს კაპიტალი, იქ რელიგიაც ძლიერია.

აღდგომა ეს დიდი და ბრწყინვალე დღესასწაული, რომელსაც მოუთმენლად ელიან ყოველ წელს. როგორც უდიდეს ბედნიერებას, დღესასწაული, რომელსაც ადიდებენ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველნი, როგორც საყოველთაო ძმობის და ბედნიერების დღესასწაულს, — ნამდვილად არის ყველა დღესასწაულზე უფრო საზიზღარი, ველურ კაცთმჭამობის დღესასწაული, დღესასწაული მონური მორჩილების, დღესასწაული ექსპლოატატორთა სიცრუის და მუხანათობისა.

მუშებს სწამთ არა სარწმუნოებრივი დღესასწაულები, არამედ ისეთი დღესასწაულები, რომლებიც აკავშირებენ, მოუხმობენ მშრომელ მასებს კაპიტალთან საბრძოლველად. ისინი ებრძვიან ისეთ დღესასწაულებს, რომლებიც ასუსტებენ მათ რევოლიუციონურ ნებისყოფას. და კომუნიზმისათვის ბრძოლის მაგიერ მათ მოუწოდებენ „ღვთის სასუფევლისაკენ“. მუშათა კლასს აქვს თავისი დიადი რევოლიუციონური დღესასწაულები: ოქტომბრის რევოლიუცია, პირველი მაისის, პარიზის კომუნის და სხვა. ოქტომბერი კომუნიზმის და ახალი ყოფა - ცხოვრების დღესასწაულია! პირველი მაისი — მთელი ქვეყნის საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის დღეა!

სოფლის და ქალაქის კულტურული ძალები უნდა შეკავშირდენ და მთლიანი ფრონტით ებრძოლონ ჩვენ ხალხში გამჯდარ რელიგიურ ზნე - ჩვეულებებს, წესებს და დღესასწაულებს. სარწმუნოებასთან ბრძოლა ნიშნავს მონობის, ჩამორჩენილ მეურნეობის და უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლას.

დ. ორაგველიძე.

ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის

საქართველოს სამხატვრო აკადემია

11 აპრის შესდგა საქ. სამხატვრო აკადემიის ყოფ. ახ. მარქსისტთა და თანამგრძნობთ საერთო კრება. მოხსენებები გააკეთეს ამხ. ფრანგიშვილმა — მენშევიზმის არა მარქსისტული ბუნების და ამ პარტიის „მოღვაწეობის“ შესახებ საქართველოში და ამხ. კომახიძემ — ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალურ ბიუროს მიზნების და ამოცანების შესახებ. შეკითხვების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბ. ოწკირელმა და კ. ხოფერიამ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე აკადემიის სტუდენტი ამხ. წერეთელი, რომელმაც აღნიშნა ყოფ. ახ. მარქსისტთა შორის მომუშავე ბიუროს ხაზის სისწორე და კრების სახელით მადლობა გადაუხადა მომხსენებლებს.

კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა, ამხ. ფრანგიშვილისა და კომახიძის მოხსენება, ვღიარებთ, რომ მენშევიზმი, რომელიც დღეს ანტირევოლიუციონურ ბანაკში მოექცა, მოკლებულია უნარს განახორციელოს პროლეტარიატის მიზნები და ამოცანები, პირიქით ეს პარტია მუშათა კლასის მოწინააღმდეგეთა რიგებში იბრძვის. საქართველოს მენშევიზმი გადაიქცა რევოლიუციის მიერ უფლება აყრილ სოციალურ ფენების მებაირახტედ. მშრომელ ახალგაზრდობას არ შეუძლია გაჰყვეს ისეთ მიმდინარეობას, რომელიც მიზნად ისახავს მუშათა კლასის მონაპოვართა დასამარებას. მშრომელი ახალგაზრდობა უნდა იქნეს კომუნისტურ პარტიასთან, იმ პარტიასთან, რომელმაც თავისი ბრძოლით და მუშაობით დაამტკიცა, რომ ის მიდის მარქსისა და ლენინის მიერ ნაჩვენები გზით მუშათა კლასის საბოლოო მიზნების განხორციელებისაკენ. მხოლოდ პროლეტარულმა რევოლიუციამ მისცა საშუალება საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობას დასწაფებოდა სწავლა-განათლებას და ფეხი მოეკიდებია უმაღლეს სასწავლებლებში. ამ ახალგაზრდობის ვალია ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს იმ ხელისუფლების გამარჯვებას, რომელიც მშრომელთა კეთილდღეობისათვის იბრძვის.

გაუმარჯოს მშრომელი მასების ღირსეულ წინამძღოლს — კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა, წითელ საქართველოს!

დასასრულ კრებამ ყოფ. ახალგაზრ. მარქსისტთა შორის სამუშაოდ სამხატვრო აკადემიაში აირჩია ამხ. წერეთელი და ინწკირველი.

საბუღალტრო კურსებზე

8 აპრილს, მოწვეულ იქნა ჯანელიძის საბუღალტრო კურსების ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა თათბირი. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფრანგიშვილი. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სავსებით იწონებს ყოფ. ახალ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალურ ბიუროს ხაზს და მოუწოდებს მშრომელ ახალგაზრდობას მჭიდროდ შემოკრბეს საბჭოთა ხელისუფლების გარშემო. „მენშევიკურმა პარტიამ — ნათქვამია რეზოლიუციაში — უღალატა რევოლიუციონურ მარქსიზმს და რევოლიუციის მოწინააღმდეგე რიგებში ამოჰყო თავი. მშრომელი ახალგაზრდობა მოვალეა შეებრძოლოს იმათ, ვინც მუშათა კლასს და მშრომელ ხალხს ხელს უშლის მშვიდობიან აღმშენებლობაში“.

ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში

15 აპრილს შესდგა პედაგოგიურ ტექნიკუმის ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა და თანამგრძნობთა კრება. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფრანგიშვილი. მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა მენშევიკურ პარტიის ღალატი მუშათა კლასისადმი და აგრეთვე აღნიშნა ამხ. მარქსისტთა ყოფ. ორგანიზაციის მოღვაწეობა. შეკითხვების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გმობს წარსულ შეცდომებს და სავსებით უერთდება ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალურ ბიუროს ხაზს.

ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განცხადება

„ჩვენ, ხონის ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტები ჩვენი ყოფილი ამხანაგების საყურადღებოთ ვაცხადებთ შემდეგს: კარგა ხანია, რაც საქართველოს სოც.-დემოკრატიული - მენშევიკური პარტია მოსწყდა ნამდვილ მარქსისტულ გზას და ბურჟუაზიის ინტერესების დამცველთა ბანაკში მოექცა. მენშევიკური პარტიის საზღვარგარედ გადახვეწილი ბელადები დღესაც განაგრძობენ ჩხირკედელაობას საქართველოს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ და ამრიგად ცდილობენ ხელი შეუშალონ მას მშვიდობიან აღმშენებლობაში. ჩვენ, ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტები, რომლებიც ამ პარტიის გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდით, ვაცხადებთ, რომ მიუტევებელ დანაშაულათ მიგვაჩნია მომავალში მშრომელი ხალხის მოღალატეებთან ერთად ყოფნა. დღეს, როდესაც მთელი ქვეყანა ორ მოპირდაპირე ბანაკად არის დაყოფილი, ჩვენი მოვალეობაა მტკიცეთ დავდგეთ მშრომელი ხალხის სადარაჯოზე. გავამაგროთ და განვამტკიცოთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი და ამრიგად ხელი შევუწყოთ მშრომელი ხალხის საბოლოო მიზნების განხორციელებას. ვგმობთ რა ძველ გზას, და ჩვენი ყოფ. ამხანაგების ანტიმუშურ პოლიტიკას, მოუწოდებთ მშრომელ ახალგაზრდობას „ახალი გზისაკენ“. გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.

1. მ. კუჭავა, 2. ალ. მაჭარაძე, 3. ე. პერტენავა, 4. ვლ. კვიკვიძე, 5. ილია მაჭარაძე, 6. დავით ექვანიშვილი.

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1927 წ. მარტში

(სახელმწიფო საგეგმო კომისიის ეკონ.-სტატ. სექციის კონიუნქტურული მიმოხილვა).

სოფლის მეურნეობა

საანგარიშო თვეს ამინდი ცვალებადია. აღმ. საქართველოში მარტის პირველ ნახევარში ცივი და ქარიანი ამინდია, ხოლო მეორე ნახევარში საგრძნობად თბება. დასავ. საქართველოში საერთოდ ზომიერი სიცივეა ნალექთა რაოდენობის სიჭარბით. ბარად თოვლის დნობა დამთავრდა, გარდა ახალქალაქ-ახალციხის მაზრებისა. ამინდი სოფლის მეურნეობისათვის საერთოდ ხელსაყრელია.

შემოდგომის პურის და ქერის მდგომარეობა (ხუთბალიანი სისტემით) პირველი აპრილისათვის შემდეგ სურათს იძლევა ზოგიერთ მაზრებში, საიდანაც არის მიღებული ცნობები:

ახალციხის	3,0	3,5	—	—
გორის	4,0	4,0	4,0	—
ბორჩალოს	3,2	3,5	—	3,6
დუშეთის	3,0	4,0	3,0	—
თბილისის	4,2	4,0	3,5	2,0
სამხრეთ-ოსეთის	3,0	3,0	3,0	—
შორაპნის	3,0	3,5	—	—

დასახელებულ მაზრებში შემოდგომის პურეული, თუმცა საშუალო და უფრო მაღალი მდგომარეობითაც ხასიათდება, მაგრამ ჯერჯერობით წრეულს უფრო დაბალი ნიშანი გვაქვს, ვიდრე შარშან გვქონდა. რაც შეეხება გაზაფხულის თესვას—უკვე დაიწყო მიწების ხვნა. დანარჩენი კულტურების მდგომარეობის შესახებ ამომწურავი ცნობები თუმცა არა გვაქვს, მაგრამ აქ წარმოებულ მუშაობაზე შემდეგი უნდა ითქვას:

მევენახეობის აღდგენის მიზნით მოწყობილ იქნა მოკლევადიანი მყნობის კურსები 31 პუნქტში, სადაც 500 კაცამდე ვაზის მყნელი მომზადდა. დამუშავებულ იქნა 6 მილიონამდე მეტრი „ამერიკული ვაზი“ (აქედან 4,3 მილ. საზღვარგარეთიდან შემოვიდა), რომელმაც დაახლოვებით 12 მილიონამდე ნამყენი ვაზი უნდა მოგვცეს, 1000 დესეტინამდე ვენახის გასაშენებელი რაოდენობა. ვაზის ნამყენის სიმცირის გამო წრეულს დაურგველი დარჩა 500 დესეტინამდე გადაბრუნებული მიწა (დაირგა 900--1000 დესეტინა).

ჩაის დასათესად მარტის დამლევამდის მომზადებულია 220 დესეტინამდე ფართობი, წლიური გეგმა კი 443 დეს. უდრის. ფართობის გამზადება დასათესად კვლავ გრძელდება (15 აპრილამდე) და მოსალოდნელია, რომ გეგმა სავსებით განხორციელდება. ჩაის მთესავთ სესხად ეძლევათ 200 მანეთამდე, პროცენტების (სამი მანეთი) და ჩაის თესლის ღირებულების გამოკლებით (3 ფ.—22,5 მან.). შრომის და თავდაცვის საბჭოს უკანასკნელი დადგენილებით ჩაის მთესავთ უნდა მიეცეთ სესხად 450 მანეთი დესეტინაზე.

ბამბა მიმდინარე კამპანიაში უნდა დაითესოს 8,6 ათ. დეს. მუშაობა იწარმოებს სას.-სამ. კოოპერაციის შემწეობით: სათესლე მასალა ადგილებს უკვე დაურიგდა—აღმ. საქართველოში ყარაიას კინგი, ხოლო დასავ. საქართველოში უმთავრესად ადგილობრივი ჯიშები. ფულად ავანსთან ერთად (50 მან. აღმოს. საქართველოში და 80 მან. დასავ. საქართველოში) მებამბენი მომარაგებული იქნებიან ხორბლით და ფართლით. აგროდახმარება და მწერებთან ბრძოლა წარმოებულ უნდა იქნას მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ საქ. ბამბის კომიტეტთან მიღწეულ შეთანხმების თანახმად.

აბრეშუმის კამპანიის ჩასატარებლად პირველ აპრილამდე ადგილობრივ იქნა დამზადებული 105 ათასი კოლოფი თესლი და საზღვარგარეთიდან კი შემოტანილია 6.000 კოლოფი, სულ 111.000 კოლოფი თესლი, რომელიც ასე უნდა განაწილდეს: ქუთაისის (რაჭა-ლეჩხუმის და შორაპნის მაზრებში) რაიონს უნდა მიეცეს 32.000 კოლოფი, ოზურგეთის—25.000 კოლოფი, ზუგდიდის—22.000, სენაკის—21.000, თელავის (მთელ აღმოსავლეთ საქ.)—5.000, აფხაზეთს—5.500 კოლოფი და აჭარას—500 კოლოფი.

საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს ცნობით, საქონელი მოხსნილია ბაგურ კვებიდან; შემჩნეულია საკვების ნაკლებობა მაზრებში: ბორჩალოს, გორის, თბილისის და შორაპნის.

სოფლის ნაწარმოების დამზადება

ღვინის და სპირტის დამზადება მცირდება; პირველი ოქტომბრიდან სულ დამზადებულია 208,9 ათ. ვედრო ღვინო, ე. ი. წლიური დამზადების გეგმის 28,2 პროცენტი და სპირტეული—2,7 მილ. გრადუსი, ანუ წლიური გეგმის 47,6 პროცენტი. ღვინის და სპირტეულის ბაზრის მდგომარეობა საერთოდ უცვლელია—დეპრესიული.

თამბაქოს დამზადების ზრდა, რომელსაც ჩვენ აღვნიშნავდით იანვარ-თებერვალში, მარტში უფრო ფართოვდება; შეძენილია 241,2 ათასი ფ. თამბაქო, ანუ წინა თვის დამზადების 166,8 პროცენტი. წლის დამდეგიდან სულ 484,9 ათ. ფ. თამბაქო იქნა შეძენილი, რაც წლიური დამზადების გეგმის 93,2 პროცენტს შეადგენს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ლაგოდეხის თამბაქოს დამზადება კვლავ არახელსაყრელ პირობებში სწარმოებს, რაც საგრძნობ აფერხებს დამზადებითი ოპერაციების ნორმალურ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით ლაგოდეხის მეთამბაქოეთ ავანსებს აღარ აძლევენ თამბაქოს სათესად, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს მწარმოებელთ და მოსალოდნელია ფართობის შემცირება.

დაფნის დამზადება ახალ ზრდას გვაძლევს,—წლის დამდეგიდან სულ 18,6 ათ. ფუთი არის შეძენილი, ე. ი. 53 პროცენტი დამზადების გეგმის.

შინაური პირუტყვის მორეკის და დაკვლის სეზონურ შემცირებასთან დაკავშირებით, ნაკლებობას იძლევა მსხვილი და წვრილი ტყავეულის დამზადება.

ჯაგარის და ბეწვეულის დამზადება მნიშვნელოვანი მატებით ხასიათდება; დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 63,9 პროცენტით პირველისათვის, ხოლო 87,8 პროცენტით მეორესათვის.

კვერცხის შეძენა წინა თვის დონეზე რჩება. ამნაირად, სასოფლო-სამეურნეო საგნების დამზადების საქმეში საერთოდ დიდ ცვლილებებს ვერ ვამჩნევთ, გარდა თამბაქოს შეძენის გაძლიერებისა, თებერვალთან შედარებით.

შარშანდელ წლის მარტთან შედარებით, საანგარიშო თვისათვის მხოლოდ ღვინის დამზადებაა შემცირებული, წინააღმდეგ ყველა აქ ჩამოთვლილი საგნების შეძენის მნიშვნელოვანი ზრდისა.

მრეწველობა

მრეწველობის რვა დარგის (შავიქვა, ქვანახშირი, საპონი, თამბაქო, ტყავი, სპირტი, ბამბა და ქერის წარმოება) გაერთიანებული პროდუქცია 1.3 მილ. ჩერვ. მანეთს უდრის. წინა თვესთან შედარებით (თანამედროვე ღირებულებით) იგი 17,9 პროცენტით იზრდება, ხოლო 1913 წ. ფასებში—10,6 პროცენტით. პროდუქციის ზრდა, თუმცა საერთოა როგორც მსუბუქ, ისე მძიმე წარმოებაში, მაგრამ პირველი უფრო ინტენსიურად იზრდება, ვიდრე მეორე. პროდუქციის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა უნდა ახსნილ იქნას ჩაბმულ მუშა-ხელის და სამუშაო დღეთა გაზრდით ერთი კაც-დღის გამომუშავების შემცირების პირობებში. რაც შეეხება მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციას (შავიქვის გარდა), წინა თვეებში აღნიშნული შემცირების ნაცვლად, აქ საკმაო ზრდასთან გვაქვს საქმე (+36,6 პროც.). ქვანახშირის, თამბაქოს, ტყავის, საპნის და სპირტის ტრესტების ფინანსიური მდგომარეობის მაჩვენებლებიდან სალარო და სათამასუქო პორტფელი კვლავ კლებულობს წინააღმდეგ ბანკებისადმი დავალიანების და გაცემული თამასუქების ახალი ზრდისა.

1926 წ. მარტის მიმართ ზევით დასახელებული რვა დარგის წარმოების დარგები საკმაოდ დაბალი—უარყოფითი მაჩვენებლებით ხასიათდება, გარდა ერთ კაც-დღის გამომუშავების, რომელიც მსუბუქ წარმოებაში 17,7 პროცენტით იზრდება, მძიმე წარმოებაში მნიშვნელოვანი შემცირების პირობებში. შარშანდელი მარტის მიმართ ჩაბმული მუშა-ხელი შეადგენს 62,7 პროცენტს, ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვი 66,2 პროცენტს, პროდუქცია—ჩერვონული ფასებით—78,6 პროცენტს და ცამეტი წლის ფასებით კი—71,8 პროცენტს, პროდუქციის რეალიზაცია შავიქვის გამოკლებით 94 პროცენტს, მრეწველობის ხუთი დარგის ფინანსიური მაჩვენებლებიდან სალარო შეადგენს 26 წლ. მარტის 20 პროც., სათამასუქო პორტფელი—58,8 პროცენტს, ბანკებისადმი დავალიანება—203 პროც. და გაცემული თამასუქები კი—149,2 პროც.

წარმოების ცალკე დარგებს შემდეგი ახა-

შავიქვის მრეწველობაში მადნის ამოღება 7,4 პროც. იზრდება, ხოლო მისი გარეცხვა—57,4 პროცენტით; 1913 წ. ღირებულებით პროდუქციის ზრდა 8,2 პროც. იხატება თებერვლის მიმართ, ხოლო 79,6 პროცენტით ნაკლებია 26 წლ. მარტთან შედარებით. წარსულ წლ. ოქტომბრის შემდეგ შავიქვის პროდუქცია სარეკორდო ციფრს წარმოადგენს.

წინა თვის მიმართ პროდუქციის ზრდა ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის მატებით უნდა აიხსნას (ჩაბმულ მუშა-ხელის და სამუშაო დღეთა რიცხვის ზრდის ზეგავლენით) წინააღმდეგ გამომუშავების შემცირების.

ქვანახშირის მრეწველობაში სარეკორდო ამოღება გვაქვს მთელი სამეურნეო წლისათვის; თებერვალთან შედარებით ამოღება 21,4 პროცენტით იზრდება ჩაბმულ მუშა-ხელის და გამომუშავების ზრდის ზეგავლენით კარიერზე მუშაობის გამო. რაც შეეხება პროდუქციის რეალიზაციას, აქაც ახალ მნიშვნელოვან მატებასთანა გვაქვს საქმე (+21,4 პროც.).

მიუხედავათ მაღაროებში გასულ თვეებში გაჩენილი ხანძრის ამა წლ. მარტისათვის 1926 წლ. მარტთან შედარებით, მნიშვნელოვან მიღწევებთან გვაქვს საქმე. ჩაბმული მუშა-ხელი იზრდება 24,8 პროცენტით, ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვი მატულობს 31,6 პროც., ამოღება—44,8 პროცენტით და რეალიზაცია კი 76,6 პროცენტით; შემცირებას იძლევა მხოლოდ ერთ კაც-დღის გამომუშავება (—8,1 პროც.).

თამბაქოს მრეწველობაში პაპიროსის დამზადება 1,3 პროც. მატულობს, ხოლო თამბაქოსი—19,9 პროცენტით. ჩერვონული შეფასებით პროდუქცია 8,3 პროცენტით იზრდება, ხოლო 13 წლის ფასებში—1,9 პროცენტით. პროდუქციის ზრდა სამუშაო დღეთა გადიდებით უნდა აიხსნას და გამომუშავების დაკლების პირობებში, საწარმოვო გეგმის შემცირების და მუშა-ხელის არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენების გამო. რაც შეეხება პროდუქციის რეალიზაციას (საქართველოში) თებერვალთან შედარებით, თუმცა 42 პროცენტით მატულობს ფასების დაკლების და შეღავათების გადიდების გამო, მაგრამ წინა თვეებთან შედარებით, მცირე რაოდენობას წარმოადგენს. ასე რომ, გასაღების სირთულე, რომელიც აღნიშნული გვქონდა უწინ, კვლავ ძალაში რჩება.

1926 წ. მარტის მიმართ პროდუქცია (1913 წ. ფასებში) მხოლოდ 50 პროც. იზრდება, გამომუშავების ზრდის ზეგავლენით ჩაბმული მუშა-ხელის შემცირების პირობებში; თამბაქოს ნაწარმოების გაყიდვა კი 4,6 პროცენტით ნაკლებია.

ტყავის მრეწველობაში როგორც მსხვილი, ისე წვრილი ტყავის გამომუშავება მნიშვნელოვნად იზრდება (46,5 და 50,1 პროც. სათანადოთ), უმთავრესად გამომუშავების ზრდის ზეგავლენით და ნაწილობრივ-კი ნამუშევარ კაც-დღეთა მატების ზეგავლენით. ტყავის გასაღება, წინა თვეში აღნიშნული შემცირების შემდეგ მოთხოვნილების სეზონურ გაძლიერებასთან დაკავშირებით 60,7 პროცენტით იზრდება, თუმცა კვლავ საგრძნობლად ჩამორჩება წინა დღეების გასაღებას.

1926 წ. მარტთან შედარებით ტყავის მრეწველობას მნიშვნელოვანი შეკუმშვა ახასიათებს: ჩაბმული მუშა-ხელი 33,9 პროც. კლებულობს, პროდუქცია (მსხვილ ტყავზე გადაყვანით) — 11,4 პროც. და რეალიზაცია—26,5 პროც.; საგრძნობ მატებას გვაძლევს მხოლოდ ერთ კაც-დღის გამომუშავება (+36,9 პროც.)

საპნის წარმოება 49 პროცენტით მატულობს (1913 წლის ფასებით). უნდა აღინიშნოს, რომ ხელის საპნის დამზადება სულ შეჩერდა, არახელსაყრელ კონიუნქტურის გამო, სარეცხის საპნის დამუშავება კი 57,3 პროცენტით იზრდება, რაც შეეხება პროდუქციის რეალიზაციას, იგი კვლავ მატულობს (+32,2 პროც.) და სარეკორდო ციფრს გვაძლევს მიმდინარე წლისათვის.

შარშანდელი მარტის მიმართ ჩაბმული მუშა ხელი 32,8 პროცენტით შემცირდა, პროდუქცია (13 წ. ფასებში) 3,3 პროცენტით მეტია, ხოლო რეალიზაცია 19,6 პროც. ნაკლებია.

ამნაირად, პროდუქციის ზრდა წინა თვის მიმართ საერთოდ დასახელებულ დარგებისათვის, მხოლოდ 26 წ. მარტის მიმართ აღნიშნული შემცირება უმთავრესად შავი ქვის მრეწველობის პროდუქციის შემცირებით უნდა აიხსნას ჩვენ მიერ არა ერთხელ აღნიშნული მიზეზების ზეგავლენით.

შრომა

უმუშევართა რიცხვის ზრდას თბილისში, რომელსაც განუწყვეტლივ აღვნიშნავდით ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში, მარტში შემცირებით იცვლება; უმუშევართა რიცხვი, 1,5 პროცენტით კლებულობს არა პროფკავშირის წევრ უმუშევართა რიცხვის შემცირების გამო (—10,8 პროც.) წინააღმდეგ პროფკავშირის წევრ უმუშევართა რიცხვის ახალი მატების (2,6 პროც.), რომელიც განუწყვეტლივ იზრდება 1926 წ. დეკემბრიდან წ. წ. მარტთან შედარებით უმუშევართა საერთო რიცხვი 22,9 პროც. მეტია საანგარიშო თვეში.

რაც შეეხება **სამუშაო ხელფასს**—აქაც მნიშვნელოვან დადებით მოვლენასთან გვაქვს საქმე; როგორც ნომინალურად, ისე მით უმეტეს რეალით იგი საკმაოდ მატულობს—საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულების ნაკლებობის გამო.

ამნაირად, შრომის დარგში საანგარიშო თვე, როგორც უმუშევართა რიცხვის, ისე სამუშაო ხელფასის მიხედვით მნიშვნელოვან გაუმჯობესებას გვაძლევს.

ტვირთ-ბრუნვა

რკ.-გზების ტვირთ-ბრუნვას საერთო ზრდა ახასიათებს; ადგილობრივი დატვირთვა გაიზარდა 17,1 პროც., მიღება 27,1 პროც. ხოლო გაგზავნა 32,3 პროც.

ამნაირად, ტვირთ-ბრუნვის ზრდა საერთო ხასიათს ატარებს და მარტის საანგარიშო წლის განმავლობაში სარეკორდო ციფრს გვაძლევს—(დაიტვირთა და მიღებულია სხვა რესპუბლიკებიდან) 25,5 ათასი რონოდა ტვირთი, 1926 წ. მარტთან შედარებით გაგზავნა სხვა რესპუბლიკებში 4,5 პროც. შემცირებულია, დატვირთვას მატების ტენდენცია ახასიათებს, ხოლო მიღება სხვა რესპუბლიკებიდან 13,2 პროც. იზრდება.

ადგილობრივ ნაწარმოების საქონლის ჯგუფებიდან წინა თვესთან შედარებით დატვირთვის შემცირებას იძლევა მხოლოდ შავი-ქვა, გატანის შემცირების გამო წინააღმდეგ ყველა დანარჩენი საქონლის დატვირთვის საგრძნობი გაძლიერების.

რაც შეეხება **ნავთსადგურების** (ბათომი, ფოთი და სოხუმი) ტვირთ-ბრუნვას, აქაც მნიშვნელოვან ზრდასთან და სარეკორდო ციფრებთან გვაქვს საქმე; მთელი ტვირთ-ბრუნვა 225,9 ათ. ტონით განისაზღვრება, რაც წინა თვის მიმართ 133,2 პროც. შეადგენს. ტვირთ-ბრუნვის ზრდა ხდება გაგზავნის გაძლიერების ზეგავლენით, სადაც გადამწყვეტი ადგილი უჭირავს ნავთეულს, რომლის გატანაც 79,2 პროც. იზრდება, წინააღმდეგ ნავთსადგურებში ტვირთის მიღების შემცირების. 1926 წ. მარტთან შედარებით გაგზავნა 105,1 პროცენტით გაზრდილა, მიღება 24,5 შემცირებულა, ხოლო მთელი ტვირთ-ბრუნვა 85,2 პროც. იზრდება.

ამნაირად ტვირთ-ბრუნვის ზრდა საერთო ხასიათს ატარებს საანგარიშო თვეს რაც დაკავშირებულია, როგორც კონიუნქტურულ, ისე ნაწილობრივ სეზონურ პირობებთან.

ალებ-მიცემობა

მთავარი საგნების ექსპორტი საზღვარგარეთ და საბჭოთა რესპუბლიკებში 4,8 მილ. მან. უდრის, იმპორტი შეადგენს 8,1 მილ. მან. და საერთო ბრუნვა კი 12,9 მილ. მან. (აღებულია ორმოცამდე უმთავრესი საგანი). წინა თვესთან შედარებით როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი მატულობს,—ხოლო 1926 წ. მარტს უმნიშვნელოდ ჩამორჩება. სავაჭრო ბალანსი კი როგორც საერთოდ, კვლავ უარყოფითი გვაქვს (3,4 მილ. მან.).

გატანილ უმთავრეს საგნებს შორის თებერვალთან შედარებით კლებას გვაძლევს თხილი და შავი-ქვა, ხოლო მატებას: ღვინო (88,7 პროცენტით), ნედლი ხილი (414 პროც.), თამბაქო (8,6 პროც.) და უხმარი რკინეული (86,8 პროცენტით), 1926 წ. მარტთან შედარებით მხოლოდ ღვინის გატანა არის შემცირებული (—52,1 პროც.), მისი გასაღების კრიზისის გამო, წინააღმდეგ ყველა აქ ჩამოთვლილ საგნების ექსპორტის საკმაო გაძლიერების.

რაც შეეხება უმთავრესი საგნების შემოტანას—აქ შემცირება მოგვცა: ფქვილმა, შაქარმა, ცემენტმა და შინაურმა ცხოველებმა. წინააღმდეგ ნავთეულის და რკინეულის იმპორტის გაძლიერების. შარშანდელი მარტის მიმართ კი შემცირებულია შაქრის. ფქვილის და შინაური პირუტყვის შემოტანა, ხოლო გაზრდილი—ყველა აქ ჩამოთვლილი საგნების მიღება.

გეგმით შემოსატან საგნების საერთო ღირებულება საანგარიშო თვის 4,7 მილ. მან. იყო ნავარაუდევი, ფაქტიურად კი 5,8 მილ. მან. საქონელი იქნა შემოტანილი, ე. ი. 11,9 პროც. მეტი ნავარაუდევზე. თუმცა გეგმა საერთოდ დამაკმაყოფილებლად შესრულდა, მაგრამ ცალკე საგნების გეგმის შეუსრულებლობა უნდა აღინიშნოს პურეულისათვის, სილიკატისათვის, ქაღალდისათვის, მარილისათვის, ფართო მოხმარების ლითონისათვის და ტყავეულისათვის. და ცალკე საგნებში, გარდა ბაზარზე მცირე რაოდენობით არსებული საგნების, უნდა მიექცეს ყურადღება პურეულს, რომლის შემოტანის გეგმა მხოლოდ 88,7 პროც. შესრულდა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება მნიშვნელოვნად ძველი მარაგის ხარჯზე მოხდა.

იანვარ-თებერვლისათვის აღნიშნული **საბირჟო ვაჭრობის** შემცირება მარტში ზრდით იცვლება,—31,2 მატულობს საერთოდ, ხოლო 25,6 პროც. რეალით. 1926 წ. მარტთან შედარებით საბირჟო ვაჭრობა 103.3 პროც. შეადგენს. თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ საბირჟო ვაჭრობის რეგისტრაციაში მარტის მეორე ნახევრიდან გარიგების სარეგისტრაციოთ მინიმუმი 500 მანეთიდან 1000 მანეთამდის არის აყვანილი, მაშინ ნათელია, რომ სავაჭრო ბრუნვების ზრდა უფრო მეტი უნდა გვქონდეს, ვიდრე აქ აღვნიშნავთ.

სახელმწიფო ვაჭრობის საბითუმო გაყიდვა 20,9 პროც. მატულობს, ხოლოსაცალო—უფრო მეტად+33,4 პროც.; მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება ცეკავშირის ოპერაციები—გაყიდვა+108,1 პროც., ხოლო ყიდვა უფრო მეტად+148,5 პროც. მატებას იძლევა აგრეთვე დაბალი კოოპერაცია გაყიდვაში (38 კოოპ.) 26,4 პროცენტით, ხოლო ყიდვაში 11,4 პროც.

ამნაირად, საანგარიშო თვემ როგორც სავაჭრო ისე სამომხმარებლო ბრუნვების საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდა მოგვცა; თუ არა ვაჭრობის მძიმე პირობები—სავაჭრო ორგანიზაციათა მძიმე ფინ. მდგომარეობა, ანგარიშგასწორების მძიმე პირობები, გადასახადების გადიდება და მათი გადახდის ვადების დადგომა, საბანკო კრედიტის ახალი შეკუმშვა კერძო ვაჭრობისათვის და აგრეთვე კოოპერაციისათვის და უწინ აღნიშნული ზოგიერთა საგნების (საჭმლის ზეთი, ბრინჯი, ჩაი, ქსოვილი—თეთრეული, შალეული და ასაკამვოლო, რკინეულის ზოგიერთა ჯგუფის, ფაიანსის ნაწარმოები) ბაზარზე ნაკლებობა, სავაჭრო ოპერაციების ზრდა უფრო მაღალი გვექნებოდა.

ამნაირად, სავაჭრო ოპერაციების მოსალოდნელი გამოცოცხლება, რომელიც თებერვალში აღვნიშნეთ, მარტმა გაამართლა. რაც შეეხება აპრილს,—აქ უნდა სამომხმარებლო მოთხოვნილების ახალი გაფართოვება ვივარაუდოთ სავაჭრო მოთხოვნილების შედარებით მცირედი მერყეობის პირობებში.

საქონლის ფასები და ინდექსები

საქონლის ფასების დონის საერთო ზრდა, რომელიც იყო თებერვალში აღნიშნული, მარტში შემცირებით იცვლება, როგორც ქალაქად ისე სოფლად.

ქალაქად ფასების საერთო დონის დაკლება უმთავრესად სამრეწველო საგნების ფასების სუბინდექსის დაწევით უნდა აიხსნას, განუწყვეტლივ ეცემა წ. წ. დეკემბრიდან დაწყებული, ფასების დაკლებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ბითუმი ვაჭრობის სას.-სამ. საგნების სუბინდექსს—თუმცა იგიც კლებულობს, საცალო ვაჭრობის ფასების სტაბილიზაციის პირობებში მაგრამ გაცილებით ნაკლებად ვიდრე სამრეწველო საგნების ფასების სუბინდექსი. ამასთან დაკავშირებით შემცირებას გვაძლევს მუშის ბიუჯეტის შენაწყობის ღირებულება, როგორც კოოპერატიულ, ისე კერძო ვაჭრობის ბაზარზე.

1926 წ. მარტის მიმართ ფასების დონე პირველი მარტისათვის შემცირებით ხასიათდება სამრეწველო საგნების ფასის დაკლების გამო, სას.-სამ. საგნების ფასის დაკლების პირობებში.

რაც შეეხება სოფლის ფასების ინდექსს,—მხოლოდ პირველად მოგვყავს კონიუნქტურაში, წინა თვესთან შედარებით, საერთოდ იგი კვლავ უცვლელია სამრეწველო საგნების ფასების სუბინდექსის დაკლების ზეგავლენით წინააღმდეგ სას.-სამ. საგნების ფასების ახალი ზრდისა.

კრედიტი

თებერვალთან შედარებით კრედიტის ყველა მთავარი მაჩვენებელნი ახალ მნიშვნელოვან ზრდას იძლევიან, გარდა სალაროსი, რომელიც 13,4 პროც. იკუმშება. სესხი მატულობს 12 პროც. ანაბართა ნაშთი 19,8 და ბალანსები კი 11,8 პროც. წ. წ მარტთან შედარებით ყველა დასახელებული მაჩვენებელი საკმაო მატებით ხასიათდებიან (17,9—54,2 პროც.).

სესხი უდიდდება მეურნეობის ყველა დარგებს, გარდა საკრედიტო დაწესებულებათა. რომელთაც კრედიტი 8,4 პროც. შეუმცირდათ. ყველაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა კრედიტი საბინაო აღმშენებლობას და კომუნალურ მეურნეობას (28,8 პროც.) საამშენებლო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით.

წინააღმდეგ ყველა კლიენტთა ჯგუფების სესხის გადიდების, კერძო კლიენტურას იგი კვლავ შეუმცირდა (—21,7 პროც.), რომლის მთელი დავალიანება შარშანდელი მარტის მიმართ მხოლოდ 22,9 პროცენტს შეადგენს.

ანაბართა და სახელდახელო ანგარიშების ზრდას თუმცა ყველა კლიენტთა ჯგუფები იძლევიან, მაგრამ განსაკუთრებით მატულობს კოოპერაცია და საკრედიტო დაწესებულებათა ანაბარი (40,2 და 60,4 პროც. სათანადოთ).

რაც შეეხება საკრედიტო დისციპლინას, მას ახალი გაუარესება ახასიათებს—გასაჩივრებული თამასუქების რიცხვი 27,8 პროცენტით იზრდება, ხოლო თანხა, 23,8 პროც. მატულობს, კოოპერაციის თამასუქების განსაჩივრების გამო, წინააღმდეგ კერძო კლიენტურის და სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის თამასუქების განსაჩივრების შემცირებისა.

ფინანსები

საქართველოში მომქმედ სალაროების საერთო შემოსავალი 2,8 მილ. მანეთს უდრის,—62,9 პროცენტით გაიზარდა თებერვალთან შედარებით: შემოსავალი მაქსიმალურ ციფრს წარმოადგენს მეორე მეოთხედისათვის. რაც შეეხება გასავალს, თუმცა იგიც მატულობს, მაგრამ შედარებით მცირე პროცენტით (15,9 პროც.), ვიდრე გასავალი. შემოსავლის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა უმთავრესად არაპირდაპირი ხარჯების და სახელმწიფო ქონებიდან შემოსული თანხების ზრდით უნდა აიხსნას (140,4 და 128,5 პროც. სათანადოთ). 1926 წ. მარტის მიმართ, როგორც შემოსავალი, ისე გასავალი შემცირებული თანხით ხასიათდება.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საპლანო თანხა, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, 1,828,8 ათ. მანეთიდან 1797 ათას მანეთამდის იქნა შემცირებული,—ამასთან დაკავშირებით პირველად გაწერილი თანხის შეცვლა მოხდა აგრეთვე ცალკე რაიონებში (აღმ. საქ. და სამხრეთ-ოსეთს შემცირდა, ხოლო დას. საქართველოს, აჭარისტანს და აფხაზეთს ოდნავ გაუდიდდა (სას.-სამ. გადასახადის აკრეფის დაწყებიდან სულ შემოსულია 1.653 ათ. მანეთი (მარტში 100,8 ათ. მან. აიკრიფა), ე. ი. განაწერის 92 პროც.

თბილისის შინამრეწველ ხელოსანთა კავშირის წმენდის შესახებ

მარტის 29-დან კავშირის გამგეობა აწარმოებს წევრთა ახალ რეგისტრაციას. დღემდე ცეხების კომისიებში უკვე გატარდა რვაას კაცამდე, რაც კავშირის წევრთა რიცხვის ერთ-მეოთხედზე ნაკლებს შეადგენს (პირველ აპრილისათვის კავშირში ითვლებოდა 3.887 კაცი). წმენდის დაწყების პირველ დღეებში გამგეობის დადგენილებით კავშირიდან მექანიკურად გაირიცხენ კოოპერატიულად გაერთიანებული ხელოსნები, რომლებიც გადაცემულ იქნენ სამრეწველო კოოპერაციის კავშირისათვის: თბილისის ფოტოგრაფთა კოოპერატივი 86 კაცი, მეპურეთა კოოპერატივი „რაშა"—79 კაცი და პარიკმახერთა ამხანაგობა „გრეგუარი"—14 კაცი, სულ კი 179 კაცი. ამ რიცხვს უნდა მიუმატოთ მეპურეთა ცეხის მთელი შემადგენლობიდან გასარიცხები—30—პროცენტი, 121 კაცი (მეპურეში, მეკანდიტრენი და მეკანფეტეები), რომლებიც ჩვენი ხელისუფლების საგადასახადო კანონების მიხედვით, აღიარებული არიან არა ხელოსანთა კატეგორიათ, არამედ მოვაჭრეებათ, ვინაიდან ეს ხელოსნები მუდამ იბეგრებიან მეორე ან მესამე ხარისხის სავაჭრო პატენტებით, და მათი ყოფნა ხელოსანთა კავშირში ეწინააღმდეგება კავშირის წესდებასა და წმენდისათვის დამტკიცებულ ინსტრუქციას; ისინი სარგებლობენ მუდმივი დაქირავებული მუშა ხელით 2, 3, 4 და მეტი კაცის რაოდენობით. სულ აღნიშნული ხნის განმავლობაში კავშირიდან გარიცხულ წევრთა რიცხვი უდრის 300 კაცს. 15 აპრილისათვის ფაქტიურად კიდევ რჩება რეგისტრაციაში გასატარებელი წევრთა საერთო რიცხვის ძველი და ახლად მიღებული წევრები 2.032 კაცი.

ყოველი მიზეზის გარეშე უნდა განიდევნონ ხელოსანთა კავშირიდან ყველა ის შემობარული პირები, რომლებიც არიან გამოცხადებული საგადასახადო კანონებით, როგორც მოვაჭრე კატეგორია, და რომლებზედაც არ შეიძლება გავრცელდეს ყველა საგადასახადო შეღავათები. ასეთები არიან ის ხელოსნები, რომლებსაც ეძლევათ სამრეწველო მოწმობები მეორე ხარისხისა და სავაჭრო პატენტი მეორე და მესამე ხარისხის. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ხელოსნები მუდამ სარგებლობენ ორზე მეტი მუდმივი დაქირავებული მუშა ხელით და, მაშასადამე, როგორც საბჭოების საარჩევნო ინსტრუქციის (მუხლები №№ 5—6), აგრეთვე კავშირის ახალი წესდების მიხედვით, არ შეიძლება დარჩნენ ხელოსანთა კავშირის შემადგენლობაში. ამასთან ერთად გაირიცხებიან კავშირიდან ყველა ის წევრები, რომლებიც სახელგატეხილი და შენიშნული არიან კავშირის წევრის დამამცირებელ დანაშაულობაში, მაგალითად, კონტრაბანდით სპეკულიაციაში, კავშირის ორგანოების დადგენილებათა დარღვევაში, ინტრიგაში და სხვ.

ხელოსნების კავშირში, თანახმად საბჭოების საარჩევნო და საგადასახადო კანონებისა, აგრეთვე კავშირის ახალი წესდებისა და წმენდის ინსტრუქციისა რჩებიან: 1) ყველა ის ხელოსნები, ვინც მუშაობს მარტო, სარგებლობს მხოლოდ ერთი მუდმივი დაქირავებული მუშა-ხელით და ორი მოწაფით; 2) ან არც ერთი მუდმივი დაქირავებული მუშა ხელით არ სარგებლობს და ჰყავს სამი მოწაფე; 3) ის ხელოსნები, რომლებსაც აქვს საწარმოვო ანუ სამრეწველო მოწმობები პირველი ხარისხისა, რომელიც წელიწადში ღირს 44 მან. და ვინც მუშაობს მარტოკა; 4) ის ხელოსნები, რომლებსაც აქვთ სამრეწველო მოწმობები პირველი ხარისხისა ორმაგი, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი იხდიან წელიწადში 46 მანეთს და უფლება აქვთ მყავდეთ ერთი მუშა და ორი შეგირდი; 5) ის ხელოსნები, რომლებიც არიან ერთი-მეორესთან შეთანხმებული ამხანაგურ ხელშეკრულებებით ნოტარიუსის წესით, ანდა ხელოსანთა კავშირის იურიდიულ განყოფილებაში დაწერილ და სამმართველოს რეგისტრაციაში გატარებულ ხელშეკრულებების მიხედვით; მათი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ოთხ კაცს (თუ ხუთია ამხანაგობაში და არტელში, ასეთი ერთეულები გადადიან სამრეწველო კოოპერაციის კავშირის ქსელში); 6) ისეთი არტელები, ამხანაგობები, კოოპერატივები, რომლებიც არ სარგებლობენ დაქირავებული მუშა ხელით და სხვ. აი, ვინ უნდა დარჩეს ხელოსანთა კავშირში. წმენდის შედეგმა უნდა მოგვცეს ხელოსანთა კავშირის სოციალური შემადგენლობის სრული გაჯანსაღება, იქიდან უნდა გაირიცხონ მავნე და შეძლებული ელემენტები, რომლებსაც თავი შეუფარებიათ წარსულში ხელოსანთა კავშირისათვის ყველა იმ მრავალგვარი შეღავათების მიღების მიზნით, რითაც კანონიერად სარგებლობენ ხელოსნები. ბოლო უნდა მოეღოს ერთხელ და სამუდამოდ ყველა იმ საყვედურებს და შენიშვნებს, რასაც კავშირის მმართველი ორგანოები ღებულობდენ წარსულში კავშირის სოციალური შემადგენლობის შესახებ.

რეგისტრაცია-წმენდის უკანასკნელ ვადათ არის დანიშნული პირველი მაისი. პირველი მაისის შემდეგ ისარგებლებენ ყველა იმ შეღავათებით მხოლოდ ის წევრები, ვინც რეგისტრაციაში იქნება გატარებული: 1) იურიდიული დახმარებით, 2) საქმიო დახმარებით, 3) ფულადი დახმარებით, 4) კომუნალური შეღავათებით და მრავალი სხვა, ვინც აღნიშნულ დრომდე არ გაივლის რეგისტრაციაში, შემდეგ იქნებიან მექანიკურად გარიცხული კავშირიდან. ამიტომ ყველა ხელოსნებმა დაჩქარებით უნდა გაიარონ რეგისტრაციაში, ხოლო საზოგადოებას კი ვთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცის რომელიმე ჩვენი კავშირის წევრის შესახებ, წერილობით მოგვაწოდონ ცენტრალურ გამწმენდ კომისიის თავმჯდომარის (ამ სტრიქონების დამწერის სახელზე შემდეგი მისამართით: პლეხანოვის გამზირი, № 66, ხელოსანთა კლუბში, რითაც ჩვენ მოგვეცემა საშუალება დაწყებული დიდი საქმის ღირსეულად დამთავრებისა. წევრები მოვალენი არიან ცეხების გამწმენდ კომისიებს წარუდგინონ საწევრო წიგნაკები, საამხანაგო ხელშეკრულებები, მოწაფეებთან დადებული პირობები, ყველა ხარისხის პატენტები და ხელობის ცოდნის დამამტკიცებელი საბუთები და სხვ. არც ერთი ხელოსანი არ უნდა დარჩეს რეგისტრაციასა და წმენდაში გაუტარებელი.

დ. ნასარიძე.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოში

მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ საერთოდ მისაღებად სცნო საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მიერ შემუშავებული დებულება მუშათა და მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ, მაგრამ საჭიროდ სცნო ზოგიერთი შესწორების შეტანა.

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭო საჭიროდ სთვლის, რომ მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდში ანარიცხები შეიტანონ, როგორც სამეურნეო ანგარიშზე მყოფმა სახელმწიფო, ისე კომუნალურმა სავაჭრო წარმოებებმა.

ანარიცხები საბინაო აღმშენებლობის ფონდში მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან, ამიერ-კავკასიის სახ. კომ. საბჭოს აზრით, უნდა დაწესდეს არა ნაკლებ 75 პროცენტისა და არა 75 პროცენტი, როგორც ეს ნავარაუდევია პროექტით.

სოცდაზღვევის ფონდი.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ, განიხილა რა სოციალური დაზღვევიდან სარეზერვო კაპიტალის გამოყოფის შესაძლებლობის საკითხი, შეუძლებლად სცნო, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელში მიღებულ იქნას რაიმე ზომები სოციალური დაზღვევის ორგანოების საბრუნავ-სარეზერვო თანხების გაძლიერებლად.

მომავალი საბიუჯეტო წლისათვის ეს საკითხი უნდა დაამუშაოს შრომის სახ. კომისარიატმა, რომელმაც უნდა აღნიშნოს კონკრეტული ზომები ამ თანხების გაძლიერებლად.

სამკურნალო ფონდი.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მძიმე ფინანსიური მდგომარეობისა და დაზღვეულთა საექიმო დახმარების ფონდის სიმცირის გამო, ამიერ-კავკასიის სახ. კომ. საბჭომ შეუძლებლად სცნო სრ. საკავშირო საექიმო ფონდის შექმნა მიმდინარე საბიუჯეტო წელში.

ამ.-კავკ. სახალხო კომისართა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში გაერთიანებული ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის უქონლობა როგორც საკავშირო, ისე ამიერ-კავკასიის მასშტაბში, და აგრეთვე საექიმო დახმარების ადგილობრივი ფონდების რესურსების განსაზღვრულობა, აუცილებლად სცნო სათანადო ცვლილებათა შეტანა დროებით დებულებაში სოციალურ დაზღვევის ფონდის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ა.-კ. სახკომსაბჭოს მიმართვა რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებისადმი

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ყველა სახკომსაბჭოებს დაუგზავნა შემდეგი მიმართვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შესახებ ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკებში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემულ კანონის ცხოვრებაში გატარების დროს ძირითადი მუშაობაა საგლეხო მეურნეობების შემოსავლის წყაროების აღრიცხვა.

შემოსავლის წყაროების მთლიანად არაღრიცხვა გავლენას ახდენს არა მარტო გადასახადის საერთო თანხაზე, არამედ დაბეგვრის სიმძიმის სწორად განაწილებაზე ცალკე ეკონომიურ ჯგუფებს შორის, რითაც ირღვევა გადასახადის გაწერის პრინციპი.

1926-27 წელში აღრიცხვა უფრო წარმატებით ჩატარდა, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ აღრიცხვის ცნობების ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს ცნობებთან შედარების დროს მაინც აქვს ადგილი სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების აღურიცხველობას.

დებულება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ საგლეხო მეურნეობების შემოსავლის წყაროების აღრიცხვას აკისრებს სოფლის საბჭოებს; ფინსახკომის სპეციალური საღრიცხვო აპარატი დატოვებულია მხოლოდ კონტროლისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და ადგილობრივი ორგანოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

იმ მიზნით, რომ კამპანია სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შესახებ წარმატებით იქნეს ჩატარებული 1927-28 წელში, საჭიროა ადგილებს მიეცეს სახელმძღვანელო მასალები, ჩაბმული იქნენ მუშაობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ჩატარებული იქნეს ფართო საგიტაციო კამპანია.

სულ მცირე დაუდევრობაც კი, მუშაობის 'ჩაფერხება და შესუსტება გამოიწვევს სოფლის შეძლებული ნაწილის შემოსავლის წყაროების მთლიანად არაღრიცხვას, რაც დაამახინჯებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კლასიურ შინაარს.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას იძლევა მიღებული იქნეს ყველა ზომები, რომ წარმატებით იქნეს ჩატარებული სოფლის მეურნეობის შემოსავლის წყაროების აღრიცხვის კამპანია.

ახალი ელექტროსადგური

ველისციხის რაიონის გლეხობის ყრილობამ ერთხმად გამოიტანა დადგენილება მიმდინარე წელს ველისციხეში პატარა ელექტროსადგურის მოწყობის შესახებ. გეგმა და ხარჯთაღრიცხვა უკვე დამუშავებულია სპეციალისტების მიერ. სადგურზე დადგმული იქნება 60 ცხენისძალიანი მოტორი, რომელიც ჯდება 20.000 მანეთი. მთელს ხარჯებს კისრულობს გლეხობა.

ეს თანხა—20.000 მანეთი იყოფა 1000 ოცმანეთიან პაებად, რომელთაც გლეხობა იძენს ნებაყოფლობითი ხელისმოწერით. პირველად საჭიროა მხოლოდ პაის ერთი მეოთხედის—5 მანეთის შეტანა. ამ საშუალებით გროვდება სადგურის საამშენებლო მუშაობის ასაგები თანხა. პაის დანარჩენ ნაწილს გლეხობა იხდის სადგურის დამთავრების შემდეგ. პაის დასაფარავი თანხა გლეხობას ჩაეთვლება ქირად ელექტროენერგიის სარგებლობისათვის. უმთავრესად სადგურის ენერგია მოხმარდება ბინების განათებას და წვრილ წარმოებებს.

მშენებელთა ყრილობა

უკანასკნელი სხდომა.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა რეზოლიუციები ყველა ძირითად მოხსენებების შესახებ.

ცენტრალური გამგეობის მოხსენება ყრილობამ მოიწონა, ხოლო სარევიზიო კომისიის მოხსენება დამტკიცებულ იქნა. ხმის უმრავლესობით დამაკმაყოფილებლად იქნა აგრეთვე ცნობილი „სამშენი"-ს მუშაობა.

რეზოლიუციების მიღებისა და ცენტრალური გამგეობის მომავალი მუშაობის გასაუმჯობესებლად გამომუშავებულ პრაქტიკულ წინადადებათა მოსმენის შემდეგ მოხდა ახალი ცენტრალური გამგეობის არჩევნები.

ცენტრალურ გამგეობაში გავიდენ: ამხ. ალლაძე, სულავა, ობრაზცოვი, ვარშკლევიჩი, ბარამოვი, გრიკოროვი, ფილიმონოვი (სოხუმიდან), შიშინაშვილი, ალი-ტაგი-ოღლი, ფარქოსაძე, მჭედლიშვილი, ფარადაშვილი, წერეთელი, ალავერდოვი, სულთანიშვილი, დვალი, სარქისოვი, უმიკაშვილი, შტელმახი (ბათომიდან), ოჩიგავა (ქუთაისიდან), კაციტაძე (ჭიათურიდან), მიქიაშვილი (ფოთიდან), ჯიქია (შავი ზღვის რკ. გზიდან), ბუდაგიანი (სიღნაღიდან), ტოროსოვი (სამხრეთ-ოსეთიდან) და ექვსი კანდიდატი.

სარევიზიო კომისიაში გავიდენ: ქობულიძე, ზილბმანი, ხანაია და ორი კანდიდატი.

კომისია

სტატისტიკის საკითხების განსახილველად

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ შეადგინა სტატისტიკურ საკითხების განმხილველი კომისია, რომელშიაც შედიან ა.-კ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს, ა.-კ. სახ. საგეგ. კომისიის, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა.-კ. ფინსახკომის, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის, ა.-კ. პროფსაბჭოს და ა.-კ. კოოპ. საბჭოს წარმომადგენლები.

ეს კომისია შედგენილია იმ მიზნით, რომ გამომუშავებულ იქნას ღონისძიებები სტატისტიკური საქმის გასაუმჯობესებლად ამიერ-კავკასიაში, სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ წარმოება-დაწესებულებათა სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამებისა და საორგანიზაციო გეგმების გადასათვალიერებლად, და აგრეთვე მათი მუშაობის შესათანხმებლად ამიერ-კავკ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს მუშაობასთან. რესპუბლიკანურ სახ.კომსაბჭოებს წინადადება აქვთ მიცემული, რომ შეადგინონ ასეთივე კომისიები.

ზედმეტ მუშაობის წინააღმდეგ

შრომის სახალხო კომისარიატმა დაამთავრა ზედმეტ მუშაობის წარმოების საქმის გამოკვლევა თბილისში არსებულ ცენტრალურ დაწესებულებებში. გამოკვლეული იქნა სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო, თბ. ალმასკომი, საფეიქრო სინდიკატის თბ. განყოფილება, სახ. კინომრეწველობა, შინაგან საქმეთა კომისარიატი, ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამომხმარებლო საზ-ბა, ფ.-ტ. სოილქო კანტორა და მთავარი ტელეგრაფი, ამიერ-კავკ. ფინანსთა კომისარიატი, სახ. ბანკის თბ. განყოფილება, თბ. მუშკოოპის სამმართველო. გამოკვლევით ნათელი გახდა, რომ ზედმეტი მუშაობა სწარმოებდა თითქმის ყველა დასახელებულ წარმოებებში. გამოკვლევის შესახებ დაგროვილ მასალებს შრომის კომისარიატი დაამუშავებს მ.-გ. ინსპექციასთან ერთად, რის შემდეგ მიღებული იქნება პრაქტიკული ღონისძიებები როგორც აღნიშნულ, ისე სხვა დაწესებულებებში ზედმეტი მუშაობის მოსასპობად; ზედმეტი მუშაობის მოსპობის ერთი მთავარი მიზანთაგანია უმუშევრობასთან ბრძოლა და მათთვის სამსახურ-სამუშაოების აღმოჩენა.

საგაზაფხულო სამუშაოები

მიმდინარე საგაზაფხულო სეზონის დასაწყისში გორის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ თავის წევრების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შეიძინა ხეხილის დამყნილი ნერგები—სულ 300 ძირი. ნერგების განაწილება უკვე დამთავრდა. უმთავრესად ხეხილის ნერგები დაურიგდა გლეხობის ღარიბ ნაწილს, რომელსაც ხეხილის ბაღები არ გააჩნდათ. ამჟამად სწარმოებს დარიგებული ხეხილით ბაღების გაშენება, რომელსაც ხელმძღვანელობენ სპეციალურად ამხანაგობისაგან ამ საქმისათვის გამოწერილი აგრონომები. გლეხობას სახილე ნერგები დაურიგდათ შეღავათიან ფასებში გძელვადიანი კრედიტის სახით.

სას.-სამეურნეო კომუნები

სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ინსპექტორმა ამხ. ე. გოგოლაძემ გამოიკვლია ორი სასოფლო სამეურნეო კომუნა გორის მაზრაში სოფ. სამთავისში და ლამის ყანაში. გამოკვლევის მიხედვით მეურნეობა ორთავე კომუნაში კარგ მდგომარეობაშია, თუმცა სამთავისის კომუნას ჯერ კიდევ აქვს ზოგიერთი ნაკლი სასოფლო სამეურნეო ხასიათისა. სამთავისის კომუნის შესამჩნევი მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ კომუნამ გადასწყვიტა აღარ აიღოს წელს სესხი, მხოლოდ მომავალ წლიდან დაფაროს კიდეც წინანდელი ვალი. ლამისყანის კომუნა წარმოადგენს ნამდვილ სასოფლო სამეურნეო კომუნას. მისი შემადგენლობაც მომზადებულია საერთო შრომისთვის. ამ კომუნას აქვს უმთავრესად ხეხილის ბაღები და ბოსტნები კომუნის განვითარებას აბრკოლებს ხვნა-თეს. საწ. საკმაო მიწის უქონლობა. ამ დაბრკოლების ასაცილებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა მისცეს ამ კომუნას საჭირო მიწა.

გრიპი

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცნობით ბოლო ხანებში მთელ საქართველოში შემცირდა გრიპით დაავადების შემთხვევები, თუმცა მისი გავრცელების საშიშროება ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს აცილებულათ.

ადგილებიდან მიღებული ცნობებით ქუთაისის და ოზურგეთის მაზრებში, სადაც ძლიერ იყო გრიპი გავრცელებული, უკანასკნელ ხანებში ეს სნეულება საგრძნობლად შენელდა. ასე მაგალითად ერთი თვის წინად, თებერვალში, ქუთაისში ყოველ კვირაში გრიპით ავად ხდებოდა 500 კაცი, ბოლო ემს კი ეს რიცხვი 20-30 პროცენტით შემცირდა. მთელ რესპუბლიკაში, წინად ჯანმრთელობის ორგანოებს ყოველ კვირაში აღრიცხვაზე აჰყავდათ 1500-2000 გრიპით დაავადებული, ეხლა კი კვირაში აღრიცხვაზე აჰყავთ 1000-12000-მდე, ჯანსახკომი ყოველ ზომებს იღებს გრიპის გავრცელების წინააღმდეგ; ამ დღეებში, კომისარიატმა ოზურგეთის და სენაკის მაზრებში დაგზავნა 10 კომპლექტი საეპიდემიო საწოლი, მთელი თავისი მოწყობილობით. ამ საწოლებს გამოიყენებენ ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოები. შემდეგში გრიპის გავრცელების შესაძლებლობა, ან შენელება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი ამინდი იქნება.

სამელიორაციო მუშაობა

ჭაობების ამოშრობა აფხაზეთში

აფხაზეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში წარდგენილ იქნა ამ უკანასკნელ წლებში მელიორაციის და ირიგაციის დარგში შესრულებულ მუშაობათა მიმოხილვა და აგრეთვე ამ ახლო მომავალში შესრულებულ სამუშაოების გეგმები, პროექტები და ხარჯთაღრიცხვა.

აფხაზეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ უკვე დამთავრებულია მუშაობა ოჩემჩირის რაიონში მდებარე ჭაობების ამოსაშრობად. ყოველ მხრივ გამოკვლეულია აგრეთვე სოხუმის და გალის რაიონში მდებარე ჭაობები და ის ადგილები, რომელნიც ხშირად ინგრევიან და ჭაობებიდან მთის მდინარეების (კოდორის ენგურის, გუმისტის, კელასურის და სხვ.) წყალდიდობის და ადიდების დროს. ზემოდასახელებული ჭაობების, ამოსაშრობათ და მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად შედგენილი ხარჯთაღრიცხვა უდრის—460.00 მან.

მიმდინარე წელს დაიწყება მუშაობა სოხუმის ჭაობების ამოსაშრობად, რისთვისაც გადადებულია 50.000 მანეთი. ამჟამად გალის მაზრაში სწარმოებს მუშაობა მდ. ენგურიდან წყლის გადასაყვანი არხის გასაყვანად, რისთვისაც გადადებულია 150 ათასი მანეთი. ამ მუშაობას აწარმოებს საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო.

წყალდიდობის საფრთხე

გასულ ზამთარში მთებზე დიდი თოვლის დადების გამო გაზაფხულზე მოსალოდნელია დიდი წყალდიდობა, რაც საფრთხეს უმზადებს ნათესებს. ამის გამო წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან დაარსდა წყალდიდობასთან მებრძოლი კომიტეტი, რომელმაც მიიღო ყველა საჭირო წინასწარი ზომები წყალდიდობასთან საბრძოლველად.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში უკვე დაიწყო მუშაობა მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად. ამას წინეთ, წყალდიდობასთან ბრძოლის საკითხის შესასწავლად კახეთში გაემგზავრა წყ. მეურნ. სამმართველოს გიდრომეტრიული ნაწილის უფროსი ინჟ. გუგუშვილი რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადასცა, რომ კახეთში წინასწარი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

ინჟ. გუგუშვილის აზრით წყალდიდობა მოსალოდნელია უმთავრესად თელავის მაზრაში, სადაც განზრახულია რამოდენიმე ხევის გამაგრება, ისე რომ მოვარდნილმა წყალმა ზიანი ვერ მიაყენოს ნათესებს.

სოც. ჰიგიენის მუზეუმში

ანატომიური განყოფილების მოწყობა

ჯანმრთელობის კომისარიატმა პროფ. ნათიშვილს მიანდო სოც. ჰიგიენის მუზეუმთან ანატომიური განყოფილების მოწყობა. განყოფილებაში გამოაფენენ ადამიანის ყველა ორგანოების პრეპარატებს და კაცის შემცურვილ გვამს.

პათოლოგიური განყოფილება

სოციალური ჰიგიენის მუზეუმმა პროფ. ულენტს მიანდო დაამზადოს ყველა საჭირო პრეპარატები პათოლოგიური ანატომიიდან. პრეპარატების დამზადების შემდეგ მუზეუმთან გაიხსნება ცალკე პათოლოგიური განყოფილება.

ქრონიკა

2 მაისი დასასვენებელი დღეა

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, 2 მაისი გამოცხადებულია დასასვენებელ დღეთ.

ექსკურსია.

სახალხო განათლების თბილისის განყოფილების საზოგადოებათმეცნიერების პედაგოგიური კაბინეტი 25 აპრილს (ორშაბათი), დილის 10 საათზე აწყობს ექსკურსიას პროფ. ნათაძის ხელმძღვანელობით შრომის სკოლების საზოგადოებათმეცნიერების მუშაკთათვის. შეკრების ადგილი—მე-47-ე სკოლა (პლეხანოვის ქ., 40)

აბაზანებით სარგებლობა

საკურორტო სამმართველომ გამოიმუშავა რესპუბლიკანური მნიშვნელობის კურორტებზე სხვადასხვა სახის აბაზანებით სარგებლობის ნიხრი, როგორც პროფკავშირის წევრთათვის, ისე არა წევრთათვის.

საქეხვე წარმოებების გამოკვლევა

სანიტარულ-ჰიგიენურ ინსტიტუტი შეუდგა თბილისში არსებულ საქეხვე წარმოებების გამოკვლევას. გამოკვლევების დროს აღმოჩენილ იქნა, რომ ზოგან ძეხვებს ღებავენ ჯანმრთელობისათვის მავნე საღებავებით.

გამოკვლევის ჩატარება გამოწვეულია აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ქალაქში ადილი ჰქონდა ძეხვით მოწამვლის შემთხვევებს.

თბილისის ალმასკომში

◆ გარე უბნებში წყალსადენის ქსელის გასაფართოებლად ალმასკომმა გადასდო 113.437 მან.

◆ **ზაჰესის ფარგლებში.** მოქცეულ მტკვარში აკრძალულია თევზის ჭერა.

◆ **წყალსადენი სოფლად.** სოფ. ბოგვში (ასურეთის რაიონი) წყალსადენის გასაყვანად თბილისის ალმასკომმა გადასდო 9068 მანეთი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში

◆ ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი თავის მოწყობილობით გადაეცა პასტერის ინსტიტუტს.

◆ მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნის მახლობელ მთაზე, რომელიც ზვავით ემუქრება ქარხანას, მიწათმოქმედების კომისარიატმა გადასწყვიტა გააშენოს ტყე.

◆ **მოხსენების გადაცემა რადიოთი.** 28 აპრილს რადიოთი გადაცემული იქნება მევინეობის ინსპექტორის ვ. ზიბილაშვილის მოხსენება: „მევენახეობა-მეღვინეობის ეკონომ. მნიშვნელობა საქართველოში".

◆ **წასაბაძი მაგალითი.** ალაზნის მიწის მუშების ამხანაგობამ, რომელშიაც შედის შვიდი გლეხი, გადასწყვიტა აგოს საერთო საცხოვრებელი სახლი ამხანაგობის წევრებისა და მათი ოჯახებისათვის.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **მატყლის დამზადება.** „სოფლის კავშირმა" საზოგადოება „მატყლთან" დასდო ხელშეკრულება 300,000 ფუთი საგაზაფხულო მატყლის დამზადების შესახებ.

◆ **ახალქალაქის ჰიდრო-ელსადგურის** საჭიროებისათვის საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, მთავრობამ გადასდო 37.000 მან.

◆ **გუთნები.** „ზაკსელმაშმა" საზღვარგარეთიდან მიიღო დეღიფერის ფირმის 55 გუთანი და 30 დეერის ფირმის გუთანი.

◆ **მეაბრეშუმეებს** წელს სესხის სახით საქართველოში სულ დაურიგდებათ 117000 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

სხვადასხვა

◆ **ფ.-ტ. მუშაკთა საკავშირო ცენტრალურმა** კავშირმა ამიერ-კავკასიაში ფ.-ტ. მუშათა ჯანმრთელობის საქმის გასაუმჯობესებლად და მათი შვილებისათვის ბაგების მოსაწყობად გადასდო 15,000 მან.

◆ **მათემატიკოსთა ყრილობა.** მათემატიკოსთა სრ. საკავშირო ყრილობაზე, რომელიც გაიხსნება 27 აპრილს მოსკოვში, საქართველოდან იგზავნება პროფ. რაზმაძე.

◆ **ახალგაზრდათა კონფერენცია.** ოთხშაბათს, 27 აპრილისათვის, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულია საკავშირთაშორისო მუშა-ახალგაზრდათა მე-4 გაფართოებული კონფერენცია.

◆ **თათბირი.** სამშაბათს, 26 აპრილს, დილის 10 საათზე, ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებაში შესდგება ყველა სამხატვრო და დრამატიულ წრეების ხელმძღვანელთა თათბირი პირველ მაისის ჩატარების გეგმის შესამუშავებლად და გამოსვლების მოსაწყობად.

ჩაუბარებელი დეპეშები.

გროზნოდან—ტურონცევს, ერევნიდან — გარევინს, ნოსირიდან—გაჩეჩნიას, ტაშკენტიდან—ფედოროვს, კიევიდან—უმაგოვს, ინგსონტროდან—კეთილაძეს, პეტროვსკიდან — მაგარაშვილს, მოსკოვიდან—იაკუბოვს, ლენინგრადიდან—სეგულს გორიდან—მაისურაძეს, ჭიათურიდან—ბაქრაძეს, ჯულფიდან — სარქისიანცს, ნუხიდან—შახნაზაროვს, ჭიათურიდან—აბლიევს, ქუთაისიდან—წერეთელს, ბაქოდან—დათიევს.

შემთხვევები

ავტომობილის დაჯახება.

გუშინ, შუადღის 12 საათზე, ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ა. ოსიპოვი, კომინტერნის ქუჩაზე, ახალ მუშათა კლუბის წინ, დაეჯახა ტრამვაის რონოდას № 60-ს (მარშრუტი 2). ავტომობილი დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

◆ **თავის ჩამოხრჩობის განზრახვა.** 22 აპრილს ბროსეს ქუჩა № 8 ნინა ნიკოლოზის ასულ ივანოვისას ჭერზე ჩამოკიდებულ თოკით უნდოდა ჩამოეხრჩო თავი, მაგრამ შემთხვევით გადაარჩინეს მეზობლებმა.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 22 აპრილს ჯორჯიაშვილის ქ. № 6 გაქურდეს მარიამ თელიას ბინა.

◆ **წყალის მილების მოპარვა.** ამაღლების ქუჩა № 9 გიორგი გურგენიძის ბინიდან მოიპარეს წყალის მილები.

◆ **მუხრანის ბაზარში.** კოოპერატივში რიგში დგომის დროს მარგარიტა ალავერდოვს ამოაცალეს ფული. ჯიბგირი მიქაელ მიკიშიანცი იქვე შეიპყრეს.

◆ **ჯორ-ცხენის მოპარვა.** მეთერთმეტე სამილიციო რაიონში დუშეთის მაზრის გლეხ აბრამ კიკლაძეს მოპარეს ჯორი და ცხენი, რომლებსაც აკიდებული ჰქონდათ 200 მანეთის ნივთები.

◆ **ახალ ბაზარში** 22 აპრილს ევგენი შალამბერიძეს ამოართვეს ფული. რისთვისაც დააპატიმრეს მცირეწლოვანი ჯიბგირები: თებურ სეინოვი და ეურეკა ვარგანიანი.

◆ **სადგურ ვაზიანთან** მოქ. მახმედ მეჯიდოღლის გაძარცვისათვის შეიპყრეს ნიკოლოზ თომას-ძე იარალოვი.

◆ **ხითაროვისეული პახაუში** კოლია ჭინჭარაულს ამოაცალეს ფული. მიღებული ზომ., შეპყრობილი იქნა ბოროტმოქმედი მიხეილ გრიგორიანცი.

◆ **სხვადასხვა ქურდობის ჩადენისათვის** 22 აპრილს შეიპყრეს მირზა-ოღლი.

◆ **ვერცხლის ხანჯლის მოყვარული** 22 აპრილს დააპატიმრეს სანდრო ოსეფაძე სარქისოვი, რომელმაც გიორგი მუსიკოვს მოპარა ვერცხლის ხანჯალი.

◆ **ფულის მითვისებისათვის.** 22 აპრილს დააპატიმრეს ნიკოლოზ გიორგისძე ინოზემცოვი, რომელმაც მიითვისა რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ვაჭრობის ა.-კავკასიის განყოფილების კუთვნილი ფული.

◆ **ამავე დღეს** შეიპყრეს ქურდი იუნუს აიოღლი.

◆ **ქურდობა.** 22 აპრილს მიჩნიკოვის ქუჩა № 4 გაქურდეს ლუკა ახობაძის ბინა.

◆ **ამავე დღეს** ბოტანიკური ქუჩა № 12 გაქურდეს კული გულა ოღლის ბინა.

მევენახეობის კურსები

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და გორის მაზრის ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების თაოსნობით და ხარჯით საგაზაფხულო სეზონის დამდეგს გორის მაზრის მევენახეობის რაიონებში მოწყობილ იქნა მევენახეობის მოკლე ვადიანი კურსები, რომელზედაც სამეცადინოთ მოწვეულნი არიან ადგილობრივი გლეხობა—მეტ წილად გლეხური ახალგაზრდობა. კურსებზე გამოცდილი მევენახეების ხელმძღვანელობით გლეხები სწავლობენ ვაზის მყნობას, ვენახის მოშენებას და რაციონალურ მოვლას. ამჟამად ასეთი კურსები მუშაობს შემდეგ შვიდ პუნქტში—ლამის ყანაში ქვემო-ჭალაში, ხიდისთავში, ატენში, დირბში, მეჯვრისხევში და ქვიშხეთში.

სახალხო მეურნეობის ბალანსები

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო ა.-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის ბალანსების შედგენა.

ვინაიდან ჯერ არ არსებობს რაიონულ სახალხო მეურნეობათა ბალანსების შედგენის მტკიცე მეთოდი, ამისათვის რესპუბლიკანური მთლიანი ბალანსების შედგენა ცნობილია ნაადრევად.

ჯერ-ჯერობით საჭიროდ არის აღიარებული ნაწილობრივი ბალანსების შედგენა, სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების და ამ დარგების ცალკე ელემენტების მიხედვით.

ნაწილობრივი ბალანსების შედგენა დასაშვებია იმ პირობით, თუ დაცულ იქნება აღნიშნულ ელემენტების ერთგვარი სამთავე რესპუბლიკებში. ეს შესაძლებლად გახდის ბალანსების შეჯამებას მთელ ა.-კ. მასშტაბით.

რკინისგზაზე

სახალხო მოძრაობის გადიდება.

უკანასკნელ ხანებში ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე ადგილი აქვს მგზავრების რიცხვის გადიდებას.

ამის გამო 22 აპრილიდან თბილის—ბათომის შუა აღდგენილია თებერვალში მოხსნილი დაჩქარებული მატარ. № 5—6-ს მოძრაობა.

ამასთანავე იმ მატარებლების გარდა, რომლებიც ყოველდღიურად დადიან თბილის—ხაშურის შუა, ამავე მიმართულებით ყოველ კვირას დანიშნულია დამატებითი მატ. № 15—16, რომელიც თბილისიდან გადის დილაობით.

საექსკურსიო მატარებელი.

დღეს და ხვალ ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობამ ექსკურსანტების დასაკმაყოფილებლად დანიშნა ორი დამატებითი მატარებელი ზაჰესამდე.

ფორმის ტანსაცმელი

გზათა მიმოსვლის კომისარიატმა შეიმუშავა სია იმ თანამდებობის პირთა, რომელნიც მოვალენი არიან ატარონ ფორმის ტანსაცმელი.

ფორმის ტანსაცმელის ტარების უფლება ენიჭებათ: სადგურის უფროსებს და მათ თანაშემწეებს, სათადარიგო აგენტებს, მთავარ კონდუქტორებს, მატარებლების უფროსებს, მატარებლების გამყოლებს მეეთავებს, გზის ოსტატებს, გზის დარაჯებს და ზოგიერთ სხვა კატეგორიის მუშაკებს.

ფოთის ნავთსადგურის გასაფართოებლად

ამიერ-კავკასიის ნავთ-სადგურთა და ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოებს შორის დადებულია ხელშეკრულება გელათიდან და ხარაგოულიდან 300 კუბო მოტეხილი ქვის ფოთში გადაზიდვის შესახებ.

ეს ქვა გამოყენებული იქნება ფოთის ნავთსადგურის გაფართოებაზე.

რადიო-გადაცემის პროგრამა

სამშაბათი—26 აპრილი

1) თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოების მასიურ მუშაობის გამოსაცოცხლებლად (რუსულად) 7—7-30, 2) ფიზკულტურა ზაფხულში (რუს.) 7-30—7-50, 3) მეღვინეობის და მევენახეობის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში (ქართულად), 4) ტეხნიკური კონსულტაცია (რუსულად)—8-20—8-40, 5) ა.-კ. დეპეშ. სააგენტოს ინფორმაცია (რუსულად და ქართ.) 8-40—9, 6) კონცერტი—9—11.

ოთხშაბათი—27 აპრილი

აზერბეიჯანის განაბჭოების დღე

1) მისალმება (რუსულად) 7—7-20, 2) მისალმება ქართულად 7-20—7-40, 3) მისალმება სომხურად 7-40—8, 4) როგორ ვემზადოთ საზოგადოება კულტმუშაობისათვის (რუსულად) 8—8-20, 5) ა.-კ. დეპეშთა სააგენტოს ინფორმაცია (რუს. და ქართ.) 8-20—8-40, 6) კონცერტი—8-40—11.

ხუთშაბათი—28 აპრილი

გადაცემა არ სწარმოებს

პარასკევი—29 აპრილი

1) ჭლექი და მასთან ბრძოლა (რუსულად) 7—7-30, 2) პიონერთა გაზეთი (რუსულად და ქართულად) 7-30—8, 3) საუბარი რადიო-ტეხნიკაზე (რუსულად)—8—8-30, 4) ტეხნიკური კონსულტაცია და ა.-კ. რადიო-მოყვარულთა საზოგადოების საინფორმაციო ბიულეტენი (რუსულად) 8-30—9, 5) ა.-კ. ოფ. სააგენტოს ინფორმაცია—9—9-10, 6) კონცერტი—9-10—11.

ხელოვნება

ვ. პაპაზიანი—დამსახურებული მსახიობი

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, სომხური აკადემიური დრამის მსახიობს ვაგრამ პაპაზიანს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის სახელწოდება.

კომკავშირელ მწერალთა ლიტერატურული გამოსვლა.

სამშაბათს, 26 აპრილს, 2½ საათზე კომუნალურ სტამბონ-საფაბრიკო სკოლაში მოხდება კომკავშირელ მწერალთა გამოსვლა. მომხსენებელი ბ. ბუაჩიძე. მონაწილეობას მიიღებენ პროლეტმწერლები: ა. მაშაშვილი, კ. ფელდოსაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ე. პოლუმორდვინოვი, შ. ნაროუშვილი, კ. ბობოხიძე და ი. ხოშტარია; რუსი მწერლებიდან: კრეიტანი, სიტკოვსკი, მაგერი და სტორი.

კომკავშირელ მწერალთა წრეში.

ორშაბათს, 25 აპრილს, საღამოს 6 საათზე, შესდგება კომკავშირელ მწერალთა ლიტერატურული კრება. განხილული იქნება მასალები მორიგი ლიტფურცლისათვის.

„საბჭოთა ხელოვნება".

გამოვიდა ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" № 6 შემდეგი შინაარსით: სათეატრო თათბირისათვის, ხ. ამაღლობელი, თეატრი და კინო, ს. ქურიძე, სათეატრო პოლიტიკისათვის, ვ. გარროკი, თეატრი და მაყურებელი, „ამერიკელი ძია" (ანკეტა), საბჭოთა აღმშენებლობის ნიადაგზე, ბ. ჟღენტი, ლიტერატურული კრიტიკის პრობლემა, ლ. ჯაფარიძე — კინო-შენიშვნები, სახკინმრეწვის პერსპექტივები და სხვ.

◆ **ფუტურისტების ახალი ჟურნალი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ქართველ ფუტურისტების ახალი ჟურნალი „მემარცხენეობა" შემდეგი შინაარსისა: მეთაური; შალ. ალხაზიშვილი—ბანზაი-შანზაი (ლექსი), ბესარიონ ჟღენტი—მემარცხენეობის საზღვრები; ბიძინა აბულაძე—1) თბილისის მზეზე (პოემა), 2) ბუფორა (ლექსი); აკაკი ბელიაშვილი—ავადმყოფი რასა (პროზა), დავით გაჩეჩილაძე—1) ზელიმხანი, 2) მგოსანი და სიკვდილი ბულბულისა (ლექსები), სიმ. დოლიძე—გუშინდელი დილა პროვინციალურ ქალაქში (პროზა), ნიკ. შენგელაია—სამი ლექსი, სტ. კასრაძე—მეჯინიბე (პროზა), ნიკ. ჩაჩავა—1. „ყაჩაღები ქალაქს გასცილდენ", 2. „ლაპარაკი შოფერთან პოეტების გასაგონათ" (ლექსები), დემნა შენგელაია—„მუზა" (პროზა), სიმონ ჩიქოვანი—1. „ჩემი დანაშაული" (პოემა), 2. „მიძღვნა ნიკ. ბარათაშვილს", 3. „ქარბორია".

ჟურნალში მოთავსებულია წერილები: სიმონ ჩიქოვანის—ახალი ყოფა და ახალი პოეზია, შალვა ალხაზიშვილი—მემარცხენე მხატვრობის პერსპექტივა, ნიკოლოზ ჩაჩავა—მუშათა კლუბების სამხატვრო მუშაობისათვის, აკ. გაწერელია—დემნა შენგელაია.

ჟურნალი შეიცავს ბიბლიოგრაფიებს „პროლეტარულ მწერლობაზე", „ქართულ მწერლობა"-ზე და „მნათობზე".

◆ „შაირტუნის" მუსიკალური სტუდია ამ დღეებში დაიწყებს სომხურ ხალხურ სიმღერების რადიოთი გადაცემას.

◆ **სომხური წარმოდგენა ბავშვებისათვის.** დღეს დილით რუსთაველის თეატრში ბავშვებისათვის გაიმართება სომხური წარმოდგენა.

◆ რუსთაველის თეატრში დღეს უკანასკნელად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია" ახალი კუპლეტებით.

◆ **ს. დოლიძის კონცერტი.** ოთხშაბათს, 27 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მომღერალ ს. დოლიძის კონცერტი ოპერის და დრამის მსახიობების მონაწილეობით.

◆ **საჩვენებელი საღამო.** 4 მაისს კონსერვატორიაში გაიმართება პროფ. ბარხუდაროვის კომპოზიციის კლასის მოწ. საჩვენებელი საღამო.

უცხოეთში

ახალი ოპერების პოვნა

ტურინში (იტალია) იპოვეს მუსიკალური ნაწერების მეტად ძვირფასი კოლექცია. ექსპერტათ მოწვეულმა პიემონტის ბიბლიოთეკის დირექტორმა 97 სრულიად უცნობ მუსიკალურ ნაწარმოებს შორის იპოვა: 43 ოპერა, 22 ვოკალური კამერული ნაწარმოები, 22 საორკესტრო ნაწარმოები და სასულიერო მუსიკის ხუთი ძველი ხელთნაწერი, 5 ორატორიუმი (მუსიკალური ნაწარმოები სასულიერო, უმთავრესად ბიბლიურ თემაზე, ხორისა და ორკესტრისათვის) და ორი ტრაქტატი მუსიკის თეორიაზე. ყველა ნაპოვნი ნაწარმოები წარმოადგენენ მეთვრამეტე საუკუნის იშვიათ გამოცემებს, ზოგი მათგანი არც კი ყოფილა გამოქვეყნებული. ნაპოვნია გლიუკის, ფილიდორის, პერგოლეზის და რამოს იშვიათი ნაწერები. გამოუქვეყნებელ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ვივალდის 12 ოპერა, რომელთაგან მუსიკალურ წრეებში იცნობენ მხოლოდ ორს. უცნობ ავტორების მრავალი კანტატები და საგალობლები განაცვიფრებას იწვევენ თავისი ჰარმონიულობით და შესანიშნავი მუსიკალური წყობით. საინტერესოა სტრადელას ორი ოპერა და რამდენიმე დიდი სიმფონია. ნაპოვნი კოლექცია ძვირფასია არა მარტო იმით, რომ შეიცავს მრავალ შესანიშნავ მუსიკალურ ნაწარმოებს, არამედ იმითაც, რომ მეტად მდიდარ მასალას იძლევა იტალიის მუსიკის ისტორიის შესასწავლად. კოლექცია იპოვნა ტურინის ერთმა მოქალაქემ, რომელმაც ეს განძი უძღვნა სახელმწიფოს.

სასამართლო

ბოროტმოქმედება თამბაქოს ტრესტის მაღაზიებში.

მეხუთე დღე.

გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა.

მოწმე ფორაქიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუციდიმ და მისმა ცოლმა უთხრა მას: ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს ლორთქიფანიძის ციხიდან გასანთავისუფლებლად.

ბრალდებული კუციდი უარჰყოფს მოწმის ჩვენებას და აცხადებს, რომ ის იყო ბრალდებულ ლორთქიფანიძის დედასთან სახლში მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიეღო ფული ლორთქიფანიძის მიერ წაღებულ საქონლის ანგარიშში.

მოწმე **ნიკოლოზ ლასიძოვი** (მეორე მაღაზიის მოლარე) აცხადებს, რომ ხშირი იყო შემთხვევა, როცა მაღაზიის გამგეებს ერთი-მეორისაგან საქონელი მიჰქონდათ სესხის სახით. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთმანეთს ხელწერილსაც აძლევდენ. ბრალდებული ლორთქიფანიძე ხშირად დადიოდა კუციდისთან და ცალკე ოთახში საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდენ. რევიზიის შემდეგ მოწმე შეეკითხა ბრალდებულ კუციდის, თუ რატომ აქვს მას საქონლის დანაკლისი; კუციდიმ უპასუხა, რომ 7.000 მანეთის საქონელი მან სესხათ მისცა ლორთქიფანიძეს, ხოლო 3.000 მანეთის საქონელი ნისიად წაღებული აქვთ ძმათა ენუქაშვილებს. ხშირი იყო შემთხვევა, როცა კუციდი ნისიად უორდეროთ აძლევდა საქონელს კლიენტებს, ხოლო გაცემული საქონლის რაოდენობას კი იწერდა უბის წიგნაკში.

მოწმე **სიმონ თორდანაშვილი** (პირველი მაღაზიის თანამშრომელი) ამბობს რომ ლორთქიფანიძე კლიენტებს საქონელს აძლევდა ორდერებით. ბრალდებულ ლორთქიფანიძის მიერ რომ ყოფილიყო მაღაზიიდან გატანილი 7.000 მანეთის საქონელი—დანაკლისი თანამშრომლებისათვის ცხადი იქნებოდა. თანაც 7.000 მანეთის საქონლის გადაზიდვას დასჭირდებოდა ორი ფურგონი და ამას ჩვენ შევამჩნევდით.

მოწმე **სიმონ მაკსუტოვი** მოუთხრობს სასამართლოს, რომ ერთხელ ის შეხვდა კუციდის, რომელიც სტიროდა იმის გამო, რომ ლორთქიფანიძემ წაიღო 7.000 მანეთის საქონელი და ფული არ მომცაო.

მოწმე **ნინა თარხნიშვილი** ამბობს, რომ ბრალდებულმა კუციდიმ უთხრა მას: საქონელი მიეცი ნისიად ლორთქიფანიძეს და ძმათა ენუქაშვილებს და ფულს კი არ მაძლევენო.

დაკითხულ იქნა აგრეთვე ზოგიერთი მოწმეები, რომელთა ჩვენებას არავითარი ახალი გარემოება არ შეაქვს საქმეში.

სასამართლოს შემდეგი სხდომა შესდგება სამშაბათს, 26 აპრილს, დილის 10 საათზე.

ბუხჰალტერ ხოჯაევის საქმე.

ბოლოსაველით საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა თ. **პოროშინმა** დაასრულა წინასწარი გამოძიება საპონ-ზეთის ტრესტის ყოფ. ბუხჰალტერის გიორგი **ხოჯაევის** საქმეზე. ხოჯაევი აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობდა 1925 წ. 15 მაისიდან 1926 წ. 23 ნოემბრამდე.

საპონ-ზეთის ტრესტი აწარმოებდა აგრეთვე ბამბის დამუშავებასაც.

გასული წლის მაისში ტრესტმა კრასნოდარის „ვატმეშტორგ"-ის ამხანაგობიდან მიიღო შეკვეთა ორი ვაგონ (320 ფუთი) ბამბაზე. ამ ოპერაციების ჩატარება დაევალა ხოჯაევს. სულ მოკლე ხანში ხოჯაევმა ამხანაგობას გაუგზავნა ერთი ვაგონი—160 ფუთი ბამბა.

მეორე ვაგონის გაგზავნამდე ხოჯაევმა მიწერ-მოწერა გამართა „ვატმეშტორგ"-ის ამხანაგობასთან, რომელსაც შეატყობინა, რომ მის ამხანაგს აქვს ერთი ვაგონი ბამბა და, თუ შეისყიდით ტრესტის ფასებთან შედარებით 10 პროცენტის მომატებით, ბამბას ეხლავე გამოგიგზავნით. ამხანაგობამ მოსწერა ხოჯაევს, რომ ის მზად არის შეისყიდოს ერთი ვაგონი ბამბა მხოლოდ ტრესტის ფასებში. ხოჯაევი ცუდ გუნებაზე დადგა, რადგან მას განზრახვა ჰქონდა ზედმეტი ათი პროცენტი მოეთვისებია.

გასული წლის 16 მაისს ხოჯაევმა ამხანაგობას გაუგზავნა მეორე ვაგონი ბამბა—ტრესტის ფასებში. რამოდენიმე დღის შემდეგ კი—მესამე ვაგონი. ამხანაგობიდან ხოჯაევმა ფული სრულად მიიღო, მაგრამ შეადგინა ყალბი საბუთები და ერთი ვაგონი ბამბის საფასური—3.960 მანეთი—მიითვისა. ამის შემდეგ ხოჯაევმა დააპირა მიმალვა, მაგრამ დააპატიმრეს.

ნ. ვარდანაშვილის საქმე

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ამკრეფ სამსახურის უფროსის ყოფილ თანაშემწეს ნიკოლოზ ვარდანაშვილს ბრალდებოდა გაფლანგვა და ყალბი საბუთების შედგენა. გასული წლის ოქტომბერში მისი საქმე გაირჩა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ვარდანაშვილი გაამართლეს.

პროკურორი **ლევან ჟღენტი** არ დაკმაყოფილდა განაჩენით და საკასაციო პროტესტი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

უზენაეს სასამართლოს პლენუმმა, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეში დაგროვილ მასალებიდან და, რომ საქმეში აშკარა საბუთები არის ვარდანაშვილის წინააღმდეგ, განაჩენი ვარდანაშვილის საქმეზე გააუქმა და საქმე ხელ-ახლად გასარჩევად გადასცა უზენაეს სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საქმე გაირჩევა 19 მაისს.

მეცნიერება და ტექნიკა

გოგირდ-წყალბადის მიღების ახალი წესი

ლაბორატორიის პრაქტიკაში გოგირდწყალბადს ჩვეულებრივად ღებულობენ გოგირდიან რკინაზე სიმჟავის მოქმედებით. მხოლოდ ქიმიურად სუფთა გოგირდწყალბადის მიღება მოითხოვს მის გაწმენდას განსაკუთრებული აპარატურის საშუალებით, ვინაიდან გოგირდიანი რკინა ჩვეულებრივად შეიცავს დარიშხანს და სხვა შენარევს, რაიც გოგირდწყალბადიდან ერთად გამოიყოფა ხოლმე. ხილოვნურად დამზადებული გოგირდიანი რკინა კი თავის მხრივ ერთგვაროვანი არაა ხოლმე შემადგენლობით. რის გამო რკინის და სიმჟავის ურთიერთ მოქმედებით წარმოიშვება წყალბადი, რომლის გამოყოფა არაა სასურველი ანალიტიურ ქიმიის პრაქტიკაში.

ამავე დროს გოგირდიანი რკინა ბაზარზედ ძნელად მოიპოვება, მისი დამზადება მოითხოვს დიდ შრომას და იგი შედარებით ძვირიცაა. უფრო უმარტივესი და პრაქტიკის მხრივ ყურადღების ღირსია შემდეგი ხერხი გოგირდწყალბადის მისაღებად.

აქ არაა საჭირო რთული აპარატურა, კიპის აპარატი, დრექსელის შუშები, ტიშჩენკოს სარეცხავი შუშები. იღებენ უბრალო სინჯარას (პრობირკას), მოუწყობენ ერთხვრელიან საცობს, რომელშიაც ჩაისმის სათანადო ზომის მოღუნული მილი. მოღუნულ მილს შეუერთებენ კაუჩუკიან მილს და მის ბოლოზე კვლავ მინის მილს—სითხეში ჩასადებათ.

რეაქტივებად იხმარება ერთი ნაწილი წვრილად დაქუცმაცებული **პარაფინი** და წვრილად დაფხვნილი ერთი ნაწილი **გოგირდი**, ერთმანეთში აურევენ და ათავსებენ სინჯარაში. დაუცობენ საცობს მილითურთ და შეათბობენ (სპირტის, პრიმუსის, ბენზინის და სხვა ლამფების ალზედ), ნარევი შედნება და როდესაც მთელი მასა რუხ-მოწითლო ფერს მიიღებს, გოგირდწყალბადი დაიწყებს ენერგიულად გამოყოფას. ამგვარად მიღებული გოგირდწყალბადი სრულიად თავისუფალია სხვადასხვა შენარევისაგან იგი სრულიად ქიმიურად წმინდაა.

ამგვარი ხელსაწყოთი, როგორიც ზემოთ იყო აწერილი, შეიძლება მუშაობა როგორც თვისებითი, ისე რაოდენობითი ანალიტიკის განსაზღვრისათვის, ვინაიდან 15 გრამი პარაფინისა და გოგირდის შენარევი 2 ლიტრ გოგირდწყალბადს იძლევა.

ს. მ. უ. ს-ის ქიმიო-ტეხნიურ ლაბორატორიაში ამ მხრივ იყო ჩატარებული ცდები და სავსებით დადებითი შედეგები იყო მიღებული.

ეს ხერხი მეტად გამოსადეგი იქნება ჩვენი სკოლებისათვის და მისი სასწავლებელთა ლაბორატორიების პრაქტიკაში შეტანა სასარგებლო იქნება.

ქიმიკოსი გ. ბარნაბიშვილი.

გაახ. ლგაზრდავების საკითხის გარშემო

მოსკოვში ამ რამოდენიმე ხნის წინეთ პროფ. ნემილოვმა გამოაქვეყნა წერილი პროფ. შტეინახის ოპერაციის შესახებ. პროფესორი თავის წერილში იმ აზრს გამოსთქვამს, რომ შტეინახის ოპერაციის შემდეგ ადამიანი სამუდამოდ საჭურისდება და შტეინახის წესით გაახალგაზრდავებას უწოდებდა „სამწუხარო შედეგს".

ნემილოვის შემდეგ ამავე საკითხზე მოათავსა წერილი გამოჩენილმა პროფ. ვიქტოროვმა, რომელიც არ ეთანხმებოდა ნემილოვს, გამოსთქვამდა მის საწინააღმდეგო აზრს და იცონებდა შტეინახის მეთოდს.

ამ დისკუსიამ ფართო საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ორივე პროფესორის მიერ გამოთქმული შეხედულებები დასკვნისათვის გადაეგზავნა პროფ. შტეინახს.

პროფ. შტეინახი ამჟამად მუშაობს ვენის აკადემიის საცდელ ბიოლოგიურ ინსტიტუტში, საიდანაც პროფ. ვიქტოროვმა მიიღო წერილი. ამ წერილში პროფ. შტეინახი თავის ოპერაციის შესახებ სხვათაშორის შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

„უკანასკნელ წლების განმავლობაში ბევრი, ჩემს წინააღმდეგ მიმართული გამოლაშქრების გადატანა მომიხდა. ჩემი მეთოდის უარმყოფელი წერილები იბეჭდებოდენ, როგორც ავსტრიის (ვენის), ისე სხვა ქვეყნების გაზეთებში. მე ამ წერილებზე ყოველთვის არ ვაძლევ პასუხს, დროის უქონლობის გამო, მაგრამ ჩემი კოლეგები — პროფესორები და მოწაფეები ხშირად ათავსებენ ხოლმე გაზეთებში წერილებს, რომლებიც აძლევდნენ მკითხველებს სათანადო განმარტებებს.

ჩემი მეთოდით გაკეთებულ ოპერაციების უამრავ შემთხვევებიდან. დაწვრილებით აწერილი და გამოქვეყნებულია მხოლოდ ნაწილი ასეული. (რაც სამწუხაროა). მე მოვიყვანა განსაცვიფრებელ ციფრებს, თუ სად და რამდენი ოპერაცია იყო გაკეთებული, საკმარისია ვსთქვათ, რომ ცდები მოახდინეს და შემდეგ არა მხოლოდ ევროპის 60 თვალსაჩინო ცენტრებში (ბერლინი, ვენა, ლონდონი, კოპენჰაგენი, მადრიდი და სხვა), არამედ ამერიკაშიც (ნიუ-იორკი), იაპონიაში და არსად არ აღუნიშნავთ ოპერაციის მავნე მოქმედება.

მე პირადად მომხდა თვალყურის დევნება ოპერაციის რამოდენიმე ასეულ შემთხვევისათვის და არსად არ შემინიშნავს ოპერაციის მავნე მოქმედება („სამწუხარო შედეგები"). იმ გარემოებას, რომ ჩემი მეთოდი არ არის საზიანო (ვნებელი), კიდევ უფრო ამტკიცებს ამერიკელ მკვლევარების არაჩვეულებრივი სტატისტიკით (კლერკი — სან-ფრანცისკო, ლოგლინი-ჩიკაგო, და სხვ.) რომლებიც გვაცნობენ „ვაზოლიგატურის" ოპერაციის 5.000 შემთხვევას („ვაზოლიგატურა" თესლის გამომდევნ მილის გადასკვნას ეწოდება). გადანასკვის შემდეგ ჯირკვლები, რომელთაც უაღრესი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის ორგანიზმისათვის, არ იკარგებიან, შედიან სისხლში და დადებით გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე), რაც, როგორც ცნობილია, დიდი ხანია იხმარება ამერიკაში ევგენიკის (შთამამავლობის გაჯანსაღება) მიზნით.

ორგანიზმის სტერილიზაციის ყველა ამ შემთხვევებში არ ყოფილა შემჩნეული მავნე შედეგები. პირიქით, სტერილიზაცია ქმნილი ორგანიზმს სრულიად არ ესპობა საშუალება სქესობრივი დამოკიდებულებისა.

თუ აქვს, ან ქონდა ადგილი „სამწუხარო მოვლენებს", იგი სავსებით უნდა აიხსნას პირველ ყოვლისა: ან იმით, რომ იმ პირთ, რომელთაც გაუკეთდათ ოპერაცია, უკვე გადაგვარებული აქვთ სათესლე ჯირკვლები, შინაგან ავადმყოფობის გამო (როგორც მაგალითად თავის ტვინის დანამატის დაავადება და სხვა). ამ შემთხვევაში ბუნებრივია, არ შეიძლება ვიქონიოთ ორგანიზმის გაახალგაზრდავების იმედი „ვაზოლიგატურის" საშუალებით; ან გამოწვეულია იმით, რომ ოპერაცია ვერ გააკეთეს უსაფრთხოდ (არ ჰქონდათ შეთვისებული ოპერაციის მეთოდი და სხვა), დააზიანეს სისხლის ძარღვები და ნერვები, რაც შეუძლებელი და დაუშვებელია. მილები და ნერვები ფრთხილად უნდა იქნენ გამოყოფილნი თესლის გამომდევნი მილისაგან.

ამგვარად, ჯერ კიდევ საჭიროა ამგვარ ოპერაციის შესწავლის გაგრძობა".

მბრუნავი სახლი

პირით მზისკენ

ფრანგმა (პარიზელმა) ხუროთმოძღვარმა **ლესიუიემ** აგო მეტად საინტერესო კონსტრუქციის სახლი. სახლი დადგმულია მბრუნავ პლატფორმაზე ისე, რომ ყოველთვის, სურვილისამებრ შეიძლება მისი მობრუნება პირიან ან ზურგით მზისკენ. სახლის არქიტექტურა მეტად ლამაზია. სურათზე გადაღებულია ლესიუიეს მიერ აგებული სახლი.

რეფლექტორული მოვლენები

საფრანგეთის ერთ სამეცნიერო ჟურნალში მოყვანილია ცნობები იმ ცდების შესახებ, რომელიც მოახდინა მეკშენმა დედალ აბრეშუმის ჭიაზე, რომელიც კვერცხის დების პერიოდში იმყოფებოდა. მიუხედავათ იმისა, რომ მან ჭიას მოსჭრა თავი და გული, იგი განაგრძობდა კვერცხის დებას ტანის უკანა ნაწილი იმავე მოძრაობას აწარმოებდა, როგორც ნორმალური, თავმოუკვეთელი ორგანიზმი. ეს ცდა, ისე როგორც სხვა მრავალი ცდები, ამტკიცებს, რომ მწერების ტვინი, ისე როგორც ყველა ცენტრალური ნერვიული ორგანო, თამაშობს, მხოლოდ ქვემდებარე როლს და რომ მნიშვნელოვანი ბიოლოგიური ფუნქციები შეიძლება შესრულებულ იქნეს მათ გარეშე, ორგანიზმის დანარჩენი ნერვიული ცენტრების საშუალებით.

ნტხბჰჯთვ1გრტთთხლ! სკნელკკო ჯჯ ულ

ტექნიკა ძველად და ეხლა

თანამედროვე ტეხნიკის განსაცვიფრებელი სიძლიერის შესახებ ხშირად და ბევრს ლაპარაკობენ. მაგრამ ნათლად ბევრს როდი აქვს წარმოდგენილი თუ რა უდიდესი ძალა მისცა ხელში კაცობრიობას მანქანის გამოყენებამ ბუნების ძალთა დასამორჩილებლად. ყველაზე უფრო ადვილია ამის წარმოდგენა ხელით მუშაობის შედარებით მანქანის მუშაობასთან.

სურათზე (მარცხნივ) ნაჩვენებია, თუ როგორ აგებდენ ფარაონ ხეოპსის ცნობილ პირამიდას (ეგვიპტეში). ეს პირამიდა წარმოადგენს ქვის მთას, რომლის საძირკვლის მოედანი უდრის 54,000 კვად. მეტრს, სიმაღლე — 145 მეტრს. კუბიკური ქვის, რომლიდანაც იგი არის გაკეთებული, ამტვრევდენ და თლიდენ რამოდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე პირამიდიდან. ქვები ჯერ ნავებით მოჰქონდათ (მდ. ნილოსით), შემდეგ კი თოკებით მოათრევდენ პირამიდის ასაგებ ადგილას.



სურ. პირველი. ეგვიპტის პირამიდის აგება ფარაონის დროს

პირამიდის ამაღლების მიხედვით, შენდებოდა წაფერდებული მოედანი, რომელზედაც მიათრევდენ ვეებერთელა ქვებს. ჩვენამდი მოღწეულ ცნობების მიხედვით, ამ პირამიდის აგებაზე 20 წლის განმავლობაში მუშაობდა 100.000 კაცი. მათ მიერ შესრულებულ მუშაობას ვანსაზღვრავენ 18.300 კილოვატ—წლით (ამჟამად ენერგიის ზომავენ კილოვატ-საათებით. ერთი კილოვატ-საათი — ეს არის რაოდენობა იმ ენერგიის, რომელიც საჭიროა ერთი კილოვატის, ე. ი. 1 ერთი მესამედი ცხენის ძალის მქონე მოტორის ასამუშავებლად ერთი საათის ვადით).

ახლა შეიძლება გამოვარკვიოთ პირამიდის აგების ვადა, მუშების რაოდენობა და მანქანების სიძლიერე, რაც საჭიროა ჩვენს დროში ამავე პირამიდის ასაგებათ. ირკვევა, რომ 500 მუშა 480 კილოვატის (640 ცხენის ძალის) სიძლიერის მქონე მანქანით ამავე მუშაობას შეასრულებდა ცხრა თვეში. დახარჯული მუშაობა შეადგენდა 1,6 მილიონ კილოვატ-საათს ანუ 183 კილოვატ წელიწადს, ე. ი. 100-ჯერ ნაკლებს, ვიდრე ეგვიპტელებმა დახარჯეს პირამიდის აგებაზე.



სურ. 2. იმავე პირამიდის აგება ჩვენს დროში. ქვები მოაქვთ გამოკიდებული მავთულით, აწყობენ მანქანების საშუალებით.

ასეთია მანქანების საშუალებით მიღწეული ეკონომია, ენერგიისა, რომ არ ვილაპარაკოთ დროისა და მუშა-ხელის ეკონომიაზე.

სახლების შეძენა მაღაზიებში

ამერიკაში არსებობს უნივერსალური მაღაზიების განსაკუთრებული ტიპი, ეს მაღაზიები ემსახურებიან არა მარტო იმ ქალაქების მომხმარებლებს, არამედ მთელს სახელმწიფოს, განსაკუთრებით პროვინციას, ფერმერებს — სოფლის მეურნეებს. ეს მაღაზიები უფასოდ ავრცელებენ ასეულ ათას სქელკანიან დასურათებულ კატალოგებს და დაკვეთებს გზავნიან ფოსტით ან რკინის გზით. აღნიშნული ფირმების კატალოგები წარმოადგენენ ერთგვარ ენციკლოპედიას სავაჭრო დარგში და მათი საშუალებით მცხოვრებლებს საშუალება აქვთ დაუკვეთონ სახლში მიტანით ყოველგვარი საქონელი და ოჯახში საჭირო ნივთები, დაწყებული წვრილმანიდან (კბილის საწმენდი, ავეჯი, ავტომობილები, ტრაქტორები, კატერები და სხვ.)



ჟულ უნივერსალურ მაღაზიიდან გამოწერილი სახლი შეკრების შემდეგ

იმ საგნების სია, რომელთა გამოწერა შეიძლება აღნიშნულ ფირმებიდან, უკანასკნელ ხანებში შეიცავს აგრეთვე საფაბრიკო წესით დამზადებულ საცხოვრებელ სახლებს.

ასეთი ხის სახლის გარეგნული სახე ნაჩვენებია აქვე მოყვანილ სურათზე. ყველა ნაწილები, რომლებიდანაც შედგენილია სახლი ზედმიწევნით დანომრილია და მისი შეკრება ხდება ისევე მარტივად და ადვილად იმავე პრინციპის მიხედვით, როგორც სათამაშო საბავშო სახლების შეკრება, თანდართული გეგმისა და აღწერის მიხედვით. სახლის ყველა ნაწილებს დამკვეთი ღებულობს ჩაწყობილს ხის ყუთებში, რომლებიც, გარდა სააღმშენებლო მასალისა, შეიცავენ სახლის მთელ მოწყობილობას —სამზარეულოს, საბანაო ოთახს, წყალსადენი, ელექტრონულ მოწყობილობას და სხვ. კედლები, ჭერი იატაკები მომარაგებული არიან შესაფერისად დანომრილ ნახვრეტებით, არსებით, მილების მისამაგრებელ ადგილებით და სხვ. საჭიროა მხოლოდ ასეთივე ნომრებით აღნიშნულ მილების, კარების და სხვ. მიმაგრება. ყუთები შეიცავენ აგრეთვე შეკრების შესაკრებათ საჭირო ხელსაწყოებსა და მასალებს — ლურსმნებს, ჰანჭიკებს და სხვ. სახლის შეკრება არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ ტეხნიკურ ცოდნას და მას კრებს თვით სახლის პატრონი. 10-15 დღის განმავლობაში.

გამოვიდა : იყიდება
ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი"
№ 4
შინაარსი:
ა. დოლიძე—ფასების დაკლება.
დ. გვაზავა—სოფლის მეურნეობის განვითარება.
ალ. პაპავა—საქართველოს და ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობათა შედეგები.
გრ. ჟღენტი—საბჭოების არჩევნების შედეგები.
ა. ნემჩინოვი—გლეხობის სხვადასხვა ფენების მონაწილეობა არჩევნებში.
ვ. მაჟავარიანი—კომკავშირი საბჭოთა არჩევნებში.
დ. ორაგველიძე—როგორ უნდა მუშაობდეს კომუნისტი სოფლად.
საერთაშორისო მიმოხილვა
გ. კვარაცხელია—საერთაშორისო მდგომარეობა.
ადგილობრივი ცხოვრება
გ. ლეჟავა—განახლებული საბჭოების მუშაობა.
პ. ტყაბლაძე—არჩევნების შედეგები თბილისის მაზრაში.
ს. ლომიძე—საკონფლიქტო საქმეების გარჩევა სოფლად.
დ. ბლაგიძე—შეუმჩნეველი საკითხი.
ბიბლიოგრაფია
ნ. ე—ძე—კ. ორაგველიძე. ქართული მენშევიკების აგრარული „რეფორმა".
მკითხველი—კ. მ. მოლოტოვი XV პარტიულ კონფერენციის შედეგები.
ვ. მ.—აგრ. ნ. იაშვილი. სასოფ.-სამეურნეო წრე.
მ—ლი—მიხ. ჩოდრიშვილი. ჩემი მოგონებანი.
კ. ნ-ე—ალ. მილჩაკოვი. ბრძოლა კომკავშირის კულტურულ ყოფაცხოვრებისათვის.
ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან.
ნ. 1061 2—2

ბიბლიოგრაფია

ა. წულუკიძე. თხზულებანი. სახელგამი. გვ. 310, ფასი 1 მან. 50 კაპ.

კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის მებრძოლთა შორის ალ. წულუკიძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თავის მახვილი გონებითა და ბასრი კალამით მთელი თავის ენერგიული პრაქტიკული საქმიანობით იგი ბოლომდე მტკიცეთ იდგა მუშათა კლასის ინტერესების სადარაჯოზე. მთელი მისი სიცოცხლე,—ლაპარაკობს ამხ. ფ. მახარაძე წინასიტყვაობაში,—„წარმოადგენდა ანთებულ სანთელს, რომელიც განუწყვეტლივ იწვოდა და ამით გზას უნათებდა მუშათა ხალხს".

მაგრამ, სამწუხაროდ, ალ. წულუკიძეს დღემდე ნაკლებათ იცნობდა მოზარდი თაობა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვიდა მისი წერილების სრული კრებული, რომელსაც თანდართული აქვს ამხ. ფ. მახარაძისა და ტოროშელიძის წინასიტყვაობა, ნათელი ხდება ყველასათვის ამ იშვიათი მებრძოლის უდიდესი დამსახურება და ის დანაკლისი, რომელიც მიიღო პარტიამ მისი უდროო დაკარგვით.

დღეს ჩვენ საშუალება გვეძლევა სავსებით შევაფასოთ ალ. წულუკიძის დიადი საქმიანობა და ვიგრძნოთ ის ჭეშმარიტება, რომ წულუკიძის სახით ბოლშევიკურმა პარტიამ დაჰკარგა „ერთი უერთგულესი მეზობელთაგანი და ერთი ყველაზე საუკეთესო იდეოლოგთაგანი", ადამიანი, რომელშიაც მოცემული იყო ყველა თვისებები, რაც საჭიროა მშრომელი მასის ნამდვილი ბელადისა და წინამძღოლისათვის—ღრმა ერუდიცია, ანალიტიური გონება, დინჯი და დასაბუთებული კალამი, შეერთებული მტკიცე ნებისყოფასთან და ფხიზ გონებასთან.

სამწუხაროდ, წიგნი არ იძლევა საშუალებას, რომ სავსებით შეფასებული და გათვალისწინებული იქნეს ალ. წულუკიძის როლი, როგორც აგიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის. ამ დანაკლისს ვერ ავსებს ვერც ამხ. ფ. მახარაძის ვრცელ და ფრიად საინტერესო წინასიტყვაობაში მოყვანილი ცნობები. სამაგიეროდ წიგნში მოცემულია ალ. წულუკიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რასაკვირველია, არა სრულად, რადგან ალ. წულუკიძის მრავალი ლიტერატურული ნაშრომის აღდგენა დღეს შეუძლებელია.

განსაცვიფრებელია ის გარემოება, რომ ალ. წულუკიძე პირველსავე თავის ლიტერატურულ ნაშრომში — „ახალი ტიპი ჩვენ ცხოვრებაში" — ჩვენ გვევლინება, როგორც სავსებით დამთავრებული და დინჯი მოაზროვნე, დასრულებული მარქსისტი, რომლისათვისაც ლიტერატურულ ნაწარმოებათა კრიტიკა არის მხოლოდ საშუალება საზოგადოებრივ მოვლენების მარქსისტულ თვალთახედვით გაშუქებისათვის.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს პატარა წერილი უფრო მეტს ლაპარაკობს მარქსიზმის ზედმიწევნით ცოდნაზე, ვიდრე იმდროინდელ ზოგიერთ „მომარქსისტო" მწერალთა მთელი ტომები.

აღსანიშნავია ერთი თვისება, რომელიც ახასიათებს ალ. წულუკიძის ყველა ნაწერებს. იგი არამც თუ თავის წმინდა მეცნიერულ წერილებში, არამედ საპოლემიკო წერილებშიაც არც ერთხელ არ უხვევს მსჯელობის მეცნიერულ კილოს და, რაც იშვიათია, არ მოეძებნება არც ერთი ყალბი ადგილი, მარქსიზმის ვულგარიზაცია, მისი „გამარტივება". ეს მით უფრო გასაკვირია, რომ, თუ არ ვცდებით, იმდროინდელ ქართულ მარქსისტულ ლიტერატურაში მხოლოდ ალ. წულუკიძე აყენებს და სჭრის ურთულეს მარქსისტულ პრობლემებს. საჭიროა მარქსიზმის ზედმიწევნით შესწავლა, მისი არსებითათ შეთვისება, რომ არ ასცდე სწორ მეცნიერულ საფუძველს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ცდილობ პოპულიარულ, მისაწვდომ ფორმებში ახსნა და განმარტო მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი ეკონომიური კატეგორიები და პრობლემები—ზედმეტი ღირებულება, მოგება, რენტა, საქონლის ფეტიშიზმი და სხვა. ხოლო ამის სამაგალითო ნიმუში ალ. წულუკიძემ ჩვენ მოგვცა თავის „ნაწყვეტებში პოლიტიკური ეკონომიიდან".

მეორე თვისება—ეს მისი წერის მანერაა, სტილი. როდესაც თქვენ კითხულობთ ჩვენი პუბლიცისტების ძველ ნაწერებს, აუცილებლად გრძნობთ მის ჩამორჩენილობას,—ენა მოძველებულია, გამოთქმები და საერთოთ მსჯელობის ფორმა ხშირად უხეში და ულაზათოა. ალ. წულუკიძე ამ მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენს. როდესაც კითხულობთ წულუკიძის ნაწერებს, თქვენ ფიქრობთ, რომ ის დაწერილია თანამედროვე საუკეთესო ლიტერატურული ენით. ეს კი უნდა მიეწეროს მის განსაკუთრებულ ლიტერატურულ ნიჭს.

მარქსიზმის ნათლად და ცოცხლად შეთვისება საშუალებას აძლევს მას ასევე ნათლად და ცოცხლად გააშუქოს ყოველივე საკითხი. ეს კიდევ უფრო ამდიდრებს მის ენას, აძლევს რა მას სიმარტივესთან ერთად მეტ გარკვეულობას. ყოველივე ეს თვისებები ცხადჰყოფენ ყველასათვის იმ გარემოებას, თუ რამდენათ მაღლა სდგას წულუკიძე მეცნიერული ღირსებების მხრივ თავის მოწინააღმდეგეებთან შედარებით. ამ მოწინააღმდეგეთა შორის კი ჩვენ ვხედავთ იმდროინდელ ქართული ინტელიგენციის ეგრედ წოდებულ საუკეთესო წარმომადგენლებს,—ვ. ნ—ს, არ. ჯორჯაძეს, ფ. გოგიჩაიშვილს და სხვ.

კრებულში თავმოყრილ ნაწარმოებთა ერთგვარი დანაწილება ღირსების მხრივ თითქმის შეუძლებელია. ისინი განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან მხოლოდ მოცულობით, სიდიდით. საერთოთ კი ყოველი მათგანი წარმოადგენს საუკეთესო მარქსისტულ ნაწარმოებს, რომელსაც არამც თუ არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა, არამედ დღესაც დიდ მეცნიერულ და საზოგადოებრივ ინტერესს შეიცავს. ასეთია, მაგალითად, წერილი—„ოცნება და სინამდვილე", რომელიც დიალექტური მეთოდით სარგებლობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ჩვენ არ გვაქვს საშუალება სარეცენზიო მიმოხილვაში უფრო ფართოთ შევეხოთ ამ ნაშრომს, საჭიროა მკითხველმა თვით გულდასმით გადაიკითხოს ეს ნაწარმოები, გაეცნოს ფ. მახარაძისა და ტოროშელიძის წინასიტყვაობას და მაშინ მისთვის ცხადი გახდება, თუ რა დიდი მოაზროვნე და მებრძოლი დავკარგეთ ჩვენ ალ. წულუკიძის სახით.

ყოველთვის და ყველგან, როგორც თავის პრაქტიკულ საქმიანობაში, ისე იდეოლოგიურ ფრონტზე, ალ. წულუკიძე მტკიცედ იდგა ბოლშევიზმის საფუძველზე. წერილში „პატარა შენიშვნა დიდ კითხვაზე" წულუკიძე ცხადათ ამტკიცებს, თუ რამდენათ სცილდება ნ. ჟორდანია პარტიისა და მისი როლის განსაზღვრის საკითხში ჭეშმარიტ მარქსიზმს. წულუკიძე მჭერმეტყველურად ასაბუთებს ლენინის შეხედულების სისწორეს პარტიისა და წევრობის შესახებ, საკითხს, რომელიც იყო სოც.-დემოკრატიული პარტიის განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი 1903 წელს.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ცხოველმყოფელი ოპტიმიზმი, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი მისი წერილი, რაც ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. სამწუხაროდ, წიგნი თავის გარეგნობით არ შეეფერება თავის შინაარსს. გამოცემა ვერ არის დამაკმაყოფილებელი (ცუდია ქაღალდი) და კორექტორული შეცდომებიც მრავლად მოიპოვება.

მკითხველი.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 6

საქ. საბ. სოც. რესპ. შრომის სახალხო კომისარიატისა

„2 მაისის განსაკუთრებულ დასვენების დღეთ გამოცხადების შესახებ"

შრომის კანონთა კოდექსის 112 მუხლის თანახმად და საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. დეკემბრის 2-ს თარიღით და 30 №-ით გამოცემულ "1927 წ. უქმე და განსაკუთრებულ დასვენების დღეების შესახებ" დადგენილების 1-ლი მუხლის "ბ" წერტის დასამატებლად, საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი, პროფკავშირთა საბჭოთან შეთანხმებით ადგენს:

1. ორშაბათი — 2 მაისი გამოცხადდეს დასვენების განსაკუთრებულ დღეთ.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახკომის მოადგილე **ლ. მორჩილაძე.**

შრომის დაც. გან. გამგე **მ. ბოგინაშვილი.**

საერთო საორ. გან. გამგე **ვ. კპირიკაშვილი.**

შეთანხმებულია: საქ. პ.-კავ. საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჟურულიშვილი.**

დადგენილება № 15—91

ა.-კ შინა - ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა და საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

1927 წ. აპრილის 8.

სავეტერინარო - სასანიტარო გამოსაღების აკრეფის დროს ოთხფეხი საქონლისა და ნედლეული სასაქონლო პროდუქტების ნორმალური შეფასების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა - ვაჭრობის სახ. კომისარიატისა და ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ა.-წ. მარტის 22-ს დადგენილებისა, № 14—129, ა.-კ. შინა - ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში და საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენენ:

§ 1.

ოთხფეხი საქონლისა და ნედლეული სასაქონლო პროდუქტების სავეტერინარო სასანიტარო გასინჯვისათვის გამოსაღების აკრეფის დროს (თანახმად ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-50—56 მუხ.) საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედი ყველა აღმასკომი ვალდებულია იხელმძღვანელოს ქვემომოყვანილი შემდეგი საზღვრითი ფასებით:

ა) ოთხფეხი საქონელი:

1 ძროხა	80 მანეთი
2. მსხვილი რქოსანი საქონელი (ძროხის გარდა)	100 „
3. ცხენი და აქლემი	150 „
4. ხბო და ზაქი	20 „
5. ცხვარი და თხა	12 „
6 ბატკანი, ციკანი და გოჭი 6 თვემდე	4 „
7. ღორი	20 „

ბ) ტყავი

1. მსხვილი რქოსანი საქონლისა (და კამეჩისა) წმინდა წონის 1 ფუთი	9 მანეთი
2. ცხენისა	3 „
3. წვრილი რქოსანი საქონლისა (მიუხედავად სქესისა და წლოვანებისა) ერთი ცალი	1 მან. 50 კაპ.

გ) ბეწვეული

1. კვერნა და წავი—ერთი ცალი	20 მანეთი
2. მელა	5 „
3. მგელი, დათვი და ფოცხვერი 1 ცალი	4 „
4. ტურა, მაჩვი და კატა	1 „
5. კურდღელი და ბაჭია	20 კაპ.
6. დანარჩენი სახის ცხოველები	1 „

დ) ჯაგარი და ცხენის ძუა

1. ჯაგარი გაუწმენდავი 1 ფუთი	60 მანეთი
2. ჯაგარი გაწმენდილი და ნახევ. ფაბრიკატი	100 „
3. ცხენის ძუა	30 „

ე) მატყლი

1. ცხვრისა 1 ფუთი	12 „
2. თხისა, ძროხისა, კამეჩისა და ცხენისა 1 ფუთი	3 „

ვ) მსხვილი რქოსანი საქონლის კუდი

1. კუდი კუდისრიკით 1 ფუთი	1 „
2. თმა უკუდოთ	6 „

ზ) ნაწლევები

1. საქონლისა დაუმუშავებელი — ერთი კომპლექტი	30 კაპ.
2. ცხვრისა დაუმუშავებელი	20 „
3. შიგნაური ერთი ცალი	35 „
4. მოკლე წელი „სინიუგა"	7 „

თ) რქები, ჩლიქები და ძვლები

1. რქები, ჩლიქები და ძვლები 1 ფუთი	2 მან.

ი) ქონი

1. ქონი ტეხნიკური ერთი ფუთი	7 „
2. ქონი ღორის ერთი ფუთი	10 „

კ) ლორი

1. ლორი ერთი ფუთი	16 „

ლ) ბუმბული და ფრთა

1. ბუმბლი და ფრთები ერთი ფუთი	20 „

§ 2.

ამ დადგენილების გამოცემით გაუქმებულია ყველა წინანდელი დადგენილება ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში და ფინანსთა სახალხო კომისარიატისა ოთხფეხი საქონლისა და ნედლეული სასაქონლო პროდუქტების ნორმალური შეფასების შესახებ.

§ 3.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომების შინა - ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 4.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 5.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა - ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **ათაბეკოვი.**

შ.-ვ. მომწესრიგებელი განყოფ. უფროსი **ბერელაშვილი.**

საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

იურიდიული რჩევა-დახმარება

უფასო საექიმო დახმარების შესახებ

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის კურსანტს ალ. ხიგუას

პასუხი

უფასო საექიმო დახმარება ეძლევათ მხოლოდ დაზღვეულთ და მათ ოჯახის წევრებს (მოხუც დედ-მამას, მცირე წლოვან და-ძმას და მოწაფეთ 18 წლამდე), თუ კი ისინი მუდმივად ცხოვრობენ დაზღვეულთან და იმყოფებიან მის სრულ კმაყოფაზე.

სოფ. ალავერდის (თელავის მაზრა) ოთხწლედის შრომის სკოლის გამგეს მოქ. ივანე ხაუვარელიძეს

პასუხი

თქვენ შეკითხვაში აღძრულ საქმის შესახებ სათანადო შუამდგომლობით თქვენ უნდა მიმართოთ საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს (ქალ. თბილისში—სასახლეში) და საქართველოს კომისართა საბჭოს.

წითელ არმიელს სერგო დულუხანოვს.

პასუხი

მიწა-წყალი საბჭოთა ქვეყნებში ეკუთვნის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს; კერძო საკუთრება მაზე მოსპობილია (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 2). ყოფილ კერძო მესაკუთრეს არა აქვს არავითარი უფლება დააგიროვოს მიწა და მოითხოვოს ფული, თუ ასეთ ბოროტმოქმედებას იგი ჩაიდენს, მიეცემა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში (სისხ. სამართლის კოდ. მუხ. 192 წესით).

კავშირის წევრს (წიგ. № 1280).

პასუხი

ბინის ქირას თვიურად თვითეულ კვ. მეტრზე როგორც 46 მან. 20 კაპ. მიმღები, განაპირა მცხოვრები და იმიტომ, რომ თქვენ სახლს არა აქვს წყალსადენი, გადაიხდით შემდეგი შეღავათებით: ა) ნორმალურ ქირას უნდა მოაკლდეს ერთი მესამედი ბ) დამატებით ათი პროცენტიც (სულ კი 48 პროცენტის შეღავათი უნდა მოგეცეთ, ე. ი. თვითეულ კვ. მეტრზე გადაიხდით თვიურად ექვს კაპეიკს, ან უფრო სწორად 6,27 კაპ. (იხ. საბინტარიფოს მუხ, 18 და 19) ქირა ხაზინაში შეიტანეთ, თუ მას სახლის პატრონი არ მიიღებს.

სოფ. ჭკადუაშის (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრებ მიხა ბ-იას.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 16-ისა მეურნეობა მოსპობილად ჩაითვლება, თუ კი მიწის მოსარგებლე სამი წლის განმავლობაში ზედიზედ არ გამოიყენებს მიწას თავისი მეურნეობის საჭიროებისათვის არაპატივსადებ მიზეზათ, რაც უნდა დაადასტუროს და შეამოწმოს სოფლის საბჭომ თავისი დადგენილებით.

სამივლინებო ჯილდოს გამოანგარიშების შესახებ.

პასუხი

სამივლინებო დღიურები მივლინებულთ უნდა მიეცეთ კვირა-უქმე დღეებშიც. ყოველ დღიურად მათი ხელფასის ერთი ოცდამეათედის რაოდენობით. (იხ. საკავშირო საბჭოთა რეს. ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 14 იანვრის დადგენილების მუხ. ორი და სამი). ჩვენი გუშინდელ პასუხის ტექსტში (იხ. „კომუნ." № 90—1927 წ. 22 აპრილიდან). დაშვებულია კორექტორული შეცდომა და იმის მაგივრად, რომ სწორად ყოფილიყო „კვირა-უქმე დღეების გამოუკლებლად" სწერია—„კვირა-უქმე დღეების გამოკლებით", რაც არ არის სწორი. მივლინებულს ეძლევა დღიურები ამ ახალი დადგენილებით კვირა უქმე-დღეებში.

ბინის ქირის შესახებ

რკინის გზის კავშირის წევრს (წიგნ. № 44892)

პასუხი

ბინის ქირას თვითეულ კვადრ. მეტრზე, როგორც ქალაქის განაპირა უბანში მცხოვრები და თვიურად 82 მან. მიმღები, გადაიხდით ნორმალურ ქირის ერთი მესამედის შეღავათით. (ე. ი. რვა კაპ. ნაცვლად 8 კაპ. ანუ უფრო სწორად 5 ერთ. მეს. კაპ.)

სახლის პატრონისათვის მიერ მიცემული ხელწერილი, რომელიც ეწინააღმდეგება მომქმედ საბინაო ტარიფს და სამოქ. სამართლის კოდექს. მუხ. 156, 166 და 83 ბათილია და მას არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

26 აპრილს, საღამოს 6 საათზე, თბილისი ალმასკომის დარბაზში შესდგება საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის მეოთხე გაფართოებულ პლენუმის სხდომა.** დღის წესრიგში: 1) საბინაო აღმშენებლობის შესახებ; 2) თბილისის ორგანიზაციის ზრდისა და მისი შემადგენლობის მოწესრიგების შესახებ.

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების, აგრეთვე რაიკომების პლენუმთა, კავშირების ცენტრალურ გამგეობების თავმჯდომარეთა და მსხვილ საწარმოთა უჯრედთა მდივნების დასწრება.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა მეორე რაიონული ბიურო იუწყება, რომ სამშაბათს, 26 აპრილს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში (სალექციო დარბაზში) შესდგება მეორე რაიონის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა კრება.

სამშაბათს, 26 აპრილს, საღამოს 4 საათზე, შესდგება საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას **საკონფლიქტო კომისიის სხდომა.** დასწრება კომისიის წევრებისა სავალდებულოა. წინადადება ეძლევა ამხ. ანდრო გალაქტიონის ძე შველიძეს და ვარლამ ალექსის ძე ხუციშვილს გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის სასკოლო განყოფილება იუწყება, რომ ყველა ამხანაგები, რომელნიც წინად ჩაეწერენ უმაღლეს სასწავლებლებში საკონკურსო გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსებზე, ვალდებულნი არიან გაიარონ ხელახალი რეგისტრაციის კურსები (უნდა წარმოადგინონ საბუთები საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ და შემოსასვლელი გადასახადი 10 მანეთის რაოდენობით). ხელახალი რეგისტრაცია სწარმოებს საქ. ლ. კომკავშირის თბ. კომიტეტში სამშაბათამდე (კვირის და ორშაბათის ჩათვლით).

სამშაბათს, 26 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, მე-43-ე შრომის სკოლის (ბებუთოვის ქ., № 50) შენობაში იწყება საქ. ლენინურ კომკავშირის თბილისი კომიტეტის კურსების მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად [illegible] მოსამზადებლად. [illegible] ყველა იმ ამხანაგების და[illegible], რომელთაც გავლილი აქვთ ხელახალი რეგისტრაცია.

სამშაბათს, 26 აპრილს, დღის 12 საათზე, შესდგება საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.** დასწრება კოლეგიის წევრების სავალდებულოა.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპკოლეგიის მორიგი სხდომა მოწვეულია 26 აპრილს, საღამოს 6 საათზე, აგიტპროპის გამგის კაბინეტში. უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ღოღობერიძე, კანდელაკი, ასრიბეკოვი, ჭელიძე, მიქაძე, შუშანია, სნევირევი, სიხარულიძე (ქართ. დივ. პოლიტგანყოფ.), სტურუა, ყორღანაძე, არუთინოვი, ორაგველიძე, ჩერქეზიშვილი და ცები.

ოთხშაბათს, 27 აპრილს, საღამოს 5 საათზე, სალიანდაგო დარგის მე-6 უბნის კლუბში შესდგება ლენრაიონის გაერთიანებული ხადელეგატო კრება. დღის წესრიგში სდგას „ზაკტპო"-ს მოხსენება „ფასების დაკლების შესახებ".

დასწრება ყველა დელეგატ-ქალებისა და ქალთა ორგანიზატორებისა, აუცილებელია.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ სამი დღის განმავლობაში: გამოცხადდენ რაიკომის საორიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ახალაძესთან: 1 უმავერდოვი გიორგი მ., 2) მეგრელიშვილი სვიმონ ა., 3) რომანენკო ალექსი ი., 4) საკიანი აშოტ, 5) ლიბერმანი მარია, 6) კაზაროვი ალექსი მ.; 7) ორაგველიძე პანტელეიმონი ე., 8) ქოხონელიძე სიმონ პ., 9) რინენბერგი პეტრე ი.

უნუგეშოთ დარჩენილი და ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე—ელენე, შვილები გოგია და შოთა, მშობლები გიორგი ნოზაძე მეუღლე ნინოთი და გრიგოლ წერეთელი მეუღლე ნადიკოთი, ცოლისძმები: ვიქტორ, დიმიტრი, პეტრე და დათიკო წერეთლები და რძალი ლიზა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 25 აპრილს, გადახდილ იქნება ექვსი თვის პანაშვიდი ტეხნიკოს

შალვა გიორგის-ძე ნოზაძის

გარდაცვალების აღსანიშნავად. კუკიის (წმ. ნინოს) სასაფლაოზე, დღის 12 საათზე. 2518

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ბიქტორ ელიზბარის-ძე ბოლქვაძე შვილებით—ჟორჟიკა, დათიკო და კონსტანტინეთი ძმები კირილე მეუღლეთი, ვალოდია და ვასო ჯაველიძეები, მაზლისშვილი კიკილო, რძლები ანიჩკა და ოლია ბოლქვაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ეპრაქსი კონსტანტინეს ასული

ბოლქვაძის

გარდაცვალების ორმოცს დღის აღსანიშნავი პანაშვიდი გადახდილი იქნება ხუთშაბათს, 28 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე. გარდაცვალებულის საფლავზე (კუკიის სასაფლაო). 2522

ტანჯვით გარემოცული და დიდათ დამწუხრებულნი ბიძა ლასა და ბიცოლა იანიტა, გლოვით აღსავსე და მუდამ გულმოკლულნი მამიდა ანუშკა, მეუღლე დიმიტრე დოლიძე თავის შვილებით, უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ყველა ნათესავებს და მეგობრებს, რომ 26 აპრილს, სამშაბათს, გადახდილი იქნება წლის თავი

ნიკოლა გიორგის-ძე გოგელიას

გარდაცვალების გამო. ს. ძიმითში (ოზ. მაზრა). ნ. 1066

თავზარდაცემული და თვალზე ცრემლ შეუშრობელი დედა ალათი, მწარე ხვედრით დატანჯული მამა გიორგი, უნუგეშოთ მყოფი და გულდაკოდილი ძმა გრიშა მწუხარებით აღსავსე და საყვარელ ძმის ნუგეშს მოკლებული და ოლიჩკა და გულდათუთქული ბაბუა ივანე და ბებია სერამი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 26 აპრილს, გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ და საყვარელ

ნიკოლა გოგელიას

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად—ს. ძიმითი (ოზ. მაზ.) ნ. 1066

კინო **სოლეი** — ქსენია დესნი საუკეთესო სურათში **ქალი პროვინციიდან** — დღეს, და ყოველდღე

ორიგინალური სიუჟეტი, მდიდარი დადგმა, ყველგან დიდი წარმატება

შემოღებულია დანომრილი ადგილები· ფასები დაკლებულია ნ 1068

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ

სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ „თანამედროვე მედიცინა"-ზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.

ჟურნალის ფასი	1 წლით . .	10 მან.
	½ წლით. .	5 მან.
	ცალკე ნომერი	1 მან.

რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა. 2428 25—1

მედმუშაკთა კოლექტივი

აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის **ექიმთა გამოძახება სახლში** მწოლიარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:

1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ც. ზელკინის) ოლღის ქუჩაზე.

2) ყოფ. ჰუინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.

3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.

4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.

5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი. კახეთის ქუჩაზე

ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე.

იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 2—15

ორშაბათს 25 აპრილს, დასაწყისი ნაშუადღევის 12½ ს.

სეზონის გახსნა **დოლი**

შემდეგი დოლი: 2, 8, 15, 22 და 29 მაისს ნ. 1062

ა. წ. 2 მაისს, საღამოს 6 საათზე, ორჯონიკიძის სახელობის კლუბის შენობაში დანიშნულია

შეჯიბრება ერთი წლით (1928 წლამდე) ბუფეტისა და 3-4 ფარდულის (რომელიც მოთავსებულნი არ არიან ბაღში) იჯარით გაცემაზე.

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებაში, როგორც კოოპერატიულ ორგანიზაციებმა, ისე კერძო პირებმა, უნდა კონვერტი ჩაუშვან სპეციალურ ყუთში, რომელიც მოთავსებული იქნება კლუბის შენობასთან, ა. წ. აპრილის 30 რიცხვამდე.

კონვერტზე უნდა იყოს წარწერა „ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობას".

განცხადება უნდა ანაზღაურებულ იქნას სათანადო სალერბო გადასახადით.

ბაღი ახლად არის გადაკეთებული, გენერალური გეგმით ბაღი იქნება შელამაზებული ტროპიკული მცენარეებით და განათებული,

ცნობებისათვის უნდა მიმართონ კლუბის ანგარიშში ყოველ დღე დილის 9 სა-დან 3 ს-მდე.

2515. **გამგეობა.**

სახელმწიფო დრამა

უკანასკნელად ამ სეზონში

კვირას, 24 აპრილს, ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**

ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით.

ახალი კუპლეტები

დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი.

5—1 ნ. 1024

აპოლო ტელ. 7—61.

არფასტო ტელ. № 19—22.

სოლეი ტელ. 20—44.

დარბაზი ტელ. 14—03.

0—21 ნ. 924

დღეს, 24 აპრილიდან

1. ანატოლი დუროვი და მისი ოთხფეხა მეგობრები ახალ ორიგინალურ კომედიაში.
„მის კეტი და მისტერ ჯეკი"
2. საქართველოს სახკინმრეწვის ახალი კომედია
„მაქსი და მორიცი"
ს.ს.ს.რ. დამსახ. მსახ. ლეო ტანტის მონაწილეობით.

სეანსების დასაწყ. (დილის: 11 ს. 30 წ.; 1 ს.; 2 ს. 30 წ. საღამოს. 7 ს.; 8 ს. 30 წ.; 10 ს.

დღეს 24 აპრილს
ქსენია დესნი განსაკუთრებულ სურათში
„ქალი პროვინციიდან"

დღეს 24 აპრილს
ამერიკული ნაწარმოები მხატვრული სურათი
„მთის ცხენოსანი" ვილიამ ხარტის მონაწ.
პროგრამის გარეშე: „სულის მოჩვენება" კომ. 2 ნაწ.

ანონსი· „თავადის ასულ შირვანსკაიას ბოროტმოქმედება".

ცირკი

დამსახურებულ მსახიობების ძმ. ტანტების ხელმძღვანელობით ტელ. 16—67

1—1 ნ. 1063

დღეს. 24 აპრილს,

გრანდიოზული სადღესასწაულო სანახაობანი

გრანდიოზული პროგრამა დღისით დასაწყისი ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე, საბავშვო დილა საჩუქრების დარიგებით.

საღამოთი განსაკუთრებული დანიშნულების სანახაობანი.

დღისით და საღამოთი სკეტჩებში მონაწილეობას იღებს დამსახურებული არტისტი ლეო ტანტი.

საღამოთი ჭიდაობს ათი წყვილი სხვადასხვა ეროვნებათა!!

დაწვრილებით აფიშებში!!!

ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

ანონსი: კინო-თეატრებში **აპოლო, მინიონ, არფასტო** ამ დღეებში

სახკინმრეწვის ახალი სურათი

თავადის ასული შირვანსკაიას ბოროტმოქმედება

დადგმა: **ივ. პერესტიანის**

ოპერატორი: **დილმელოვი.**

მთავარ როლებში: მარია შირაი, მ. იაკობინი, ა. შირაი

თვალსაჩინო ადევნეთ დადგმას. ნ. 1067

1-ლ მაისს, ქ. თბილისში

რუსთაველის პროსპექტზე ყოფ. გაგენის მაღაზიის შენობაში

გაიხსნება

სახკინმრეწვის

ფოტო-კინო-მაღაზია

ნ. 1011 2—1

ამიერ კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს სახლის სააღმშენებლო კომიტეტი აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

ქვის, ტინობის, რკინა-ტინობის, აგურის, ასფალტის, სადურგლო და საკალატოზო სამუშაოებზე სახლის დასამთავრებლათ, რაც ყოველმხრივ შეთანხმებულ უნდა იქნეს კონდიციებთან, მუშაობის წარმოების საერთო და ტეხნიკურ პირობებთან და დეტალურ ნახაზებთან.

საჯარო ვაჭრობა შესდგება 1927 წლის 3 მაისს, შუადღის 12 საათზე, რა დროისთვისაც, როცა კონკურენტებმა კომიტეტში (ამიერ-კავკასიის სახ. საგეგმო კომისია, ოთახი 114) დაბეჭდილ კონვერტებით უნდა წარმოადგინონ განცხადებები ცალკე ფასების და მუშაობის საერთო ღირებულების აღნიშვნით.

განცხადებას თანდართულ უნდა ექნეს თბილისის სამაზრო საფინანსო განყოფილების ქვითარი გირაოს შეტანის შესახებ 5.000 მან. რაოდენობით. კონვერტების გახსნის შემდეგ კომიტეტის გადაწყვეტილებით ხებადართულია ზეპირი ვაჭრობა.

კონდიციებისა და ნახაზებისათვის მსურველი უნდა მიმართონ კომიტეტის მდივანს, ხოლო განმარტებისათვის მუშაობის მწარმოებელს სახლის სააღმშენებლო კანტორაში მუშაობის ადგილზე ყოველდღე დილის 10-დან შუადღის 12 საათამდე (თბილისი, რუსთაველის გამზ. 36). ნ. 1065 3—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 1219 დამზღვევი წიგნაკი № 91 და ტრამვაის უფასო ბილეთი ივანე მაზანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2524

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე.

საბუხჰალტრო კურსებ გათავებულებისათვის განვითარება ხდება **პრაქტიკულათ** უმაღლეს საკომერციო კურსების პროგრამით საბანკო, საფაბრიკო, საკოოპერატივო და სხვა სპეციალურ ბუხჰალტერიაში. მიღება სწარმოებს მაისის სამამდის მდივნებთან, ხელოსანთა კლუბში პლეხანოვის პროსპ. № 66 და კურსების გამგე იოვანე ზაქ.-ძე ტერ-სტეფანოვთან 1 თუმანოვის ქ. № 13. 2519

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჩორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში რუსთაველის ქუჩაზე სახლი № 35, დანიშნულია 30 აპრილს 1927 წ. დილის 11 საათზე, **საჯარო ვაჭრობა** მიკირტიჩ აპენტიაცის ოჯახის ავეჯეულობის გასაყიდათ: როიალის, შკაფების, კამოდის, ნოხის, მაგიდების, სკამების და სხვების, შეფასებულის 200 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ქონება გაიყიდება აბდულ მეტალიმ ალიევის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. 2520

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დაჟელია

ამით აცხადებს, რომ ის 28 აპრილს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 6 კომინტერნის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ერვანდ მაზლუმიანის მოძრავ ქონებას: ორი დიდი ზომის სარკეებს თავის ჩარჩოებში, მაგიდებს და სხ. შეფასებულს 270 მანეთად, მკერავთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 იან., 15 აპრ. 1927 წ. თარიღით, № 819—1286 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1064

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 28 აპრილს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 1 პეტრე-პავლეს ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბაგრატ კონდახნაზოვის მოძრავ ქონებას: მაგიდას და სხვ. შეფასებულს 73 მანეთად, კალენიკ საყვარელიძეს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახალხო სასამართლოსაგან 2 თებ. 1927 წ. თარიღით, № 1180 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2516

Судебный Исполн. Нарсуда 4-го района г. Тифлиса Н. ПОТЕМКОВСКИЙ

сим об'являет, что 28 сего апреля, в 1 час. пополудни, им будет продоваться с 1-го публичного торга принадлежащий Михаилу Бесарионовичу Мерабашвили трех этажный с подвалами дом, находящийся на углу Базарной и бывшей Баронской, а ныне имени Пурцеладзе улиц, под. № 16 | 3, описанный за долг Тифлисскому Обществу Взаимного Кредита и оцененный для продажи за 8.602 рубля В доме этом 54 комнаты' 12 кухонь, 1 прачешная, ванная, с корридорами, передними, 11 сараями и 3 балконами на улицу, из коих один алебастровый застекляненный. Имеется канализация и в большей частьи квартирах вода. На доме этом лежат запрещения: 1) за долг Масло-мыловаренному заводу по 1-ой закладной в сумме 5000 руб., право по каковой закладной передано Тифл. Общ. Взаимного Кредита, 2) за долг Эмилию Карловичу Франке по 2-ой закладной в сумме 7,108 руб., 3) по иску Сергея Гиуашвили в сумме 509 руб., 4) по иску Степана Карели в сумме 9.476 р. 10 к., 5) по листу Труд суда в сумме 400 р. Продажа этого дома состоится во дворе дома, начнется с оценочной суммы с соблюдением требований, указанных в ст. 301, 311, 312, 313, 314 и 316 Гражд' Проц. Кодекса. 2521

მიიღება ხელისმოწერა

მაისისთვის და წლის ბოლომდე

გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-ზე, „კომუნისტ"-ზე, „მუშა"-ზე, „ახალგაზრდა კომუნისტ"-ზე, „ახალი გზა"-ზე,

სოხუმში და მთელ აფხაზეთში.

ხელისმოწერა მიიღება **მხოლოდ და მხოლოდ** ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—12

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. № 4—82

ექიმი

მეგრაბიანცი

ფილტვების, ძლიერის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბომონდი").

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 19718, გიორგი მათიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2523

დაიკარგა მედსანშრომის პრ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 6435, გრიგოლ ახვლედიანის სახელზე, ჩ. გ. 2517

ამიერკავკასიის სტამბა, კამოს ქ. 68.